პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— დემონსტრაციები ბერლინში ინგლისელ კონსერვატორების პროვოკაციის წინააღმდეგ.

— დიდი სიმშილობა ჰერცოგოვინაში.

— სტამბოლის ქალაქის საბჭოს დელეგაცია მოსკოვში.

— ინგლისის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა [illegible] დასტოვა.

პარასკევი, 20 მაისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 112 (1857)

საწინააღმდეგო შედეგი

თავდასხმა ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე იძლევა საწინააღმდეგო შედეგებს, ვინემ ამას კონსერვატორები მოელოდენ. როგორც აღნიშნული იყო, მათ ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა უნდობლობის ჩამოგდება საბჭოთა მთავრობის მიმართ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ეკონომიურ ურთიერთობისათვის ხელის შეშლა, საბჭოთა კავშირის ეკონომიურ - ფინანსიურ ბოიკოტის განხორციელება; შეხედეთ, საბჭოთა წარმომადგენლები საქმიანი მუშაობის მაგივრად ცდილობენ იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წყობილების აფეთქებას, სადაც ისინი არიან, რის გამო საბჭოთა კავშირთან სამეურნეო დამოკიდებულების შენარჩუნება და მით უმეტეს გაფართოვება შეუძლებელიაო,—აი, რის დამტკიცებას ლამობდენ ინგლისელი იმპერიალისტები. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ მოაწყვეს მათ თავდასხმა სწორედ მაშინ, როცა ჟენევაში შეკრებილია საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია, სადაც მოსალოდნელია ნიადაგის მომზადება ზოგიერთ კაპიტალისტურ ჯგუფებთან ჩვენი შეთანხმებისათვის აღებ - მიცემობის გასაფართოებლად და კრედიტების საკითხის მოსაწესრიგებლად.

ხიქსების ასეთი განზრახვა უკვე ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს. საბჭოთა წარმომადგენლობაში რაიმე ნამდვილად მამხილებელ საბუთების აღმოუჩენლობამ („დოკუმენტი“, რომელსაც ეძებდენ, თვით ხიქსის ოფიციალური განცხადებით, ვერ იპოვეს, ხოლო დანარჩენ „საბუთების“ გამოქვეყნებას არ ფიქრობენ, ცხადია, იმიტომ, რომ ისინი კონსერვატორების მიზნებისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ) და გაჩხრეკის ბანდიტურმა მეთოდებმა ინგლისის მთავრობას დიდად გაუტეხეს სახელი ბურჟუაზიული „საზოგადოებრივი აზრის“ თვალშიაც კი. ნიუ-იორკის გაზეთი „ბალტიმან სერ“ სწერს: „თუ არ იქნა წარმოდგენილი თავდასხმის მიზეზების დასაბუთებული ახსნა-განმარტება, ეს ნაბიჯი მიიღებს დიდ დიპლომატიურ შეცდომის სახეს და ხელს შეუშლის მოლაპარაკებას ჟენევაში“; ამერიკის მეორე გაზეთი „ნიუ-იორკ ტელეგრამ“ აცხადებს, რომ თავდასხმა საფრთხეში აგდებს საყველთაო მშვიდობიანობას. რომ რაიმე „დასაბუთებული ახსნა-განმარტების“ მიცემა ინგლისის მთავრობას არ შეუძლია, ეს უკვე უდავოა; და ცოტად თუ ბევრად მიუდგომელი კაპიტალისტური წრეები იძულებული არიან აღიარონ, რომ საერთაშორისო ეკონომიურ გაჯანსაღების და მშვიდობიანობის დაცვის საქმეს ხელს უშლის არა საბჭოთა მთავრობა, როგორც შუბლმაგარნი ისწრაფვიან ამის დამტკიცებას, არამედ თვითონ ინგლისის მთავრობა.

თავდასხმამ ვერ შესძლო საბჭოთა კავშირის პრესტიჟის შერყევა. პირიქით, ჩვენმა საპროტესტო ნოტამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ურყევლობა და მისწრაფება დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიურ თანამშრომლობისაკენ და ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისაკენ. ამავე დროს, რაც ხაზგასასმელია, წინააღმდეგ კონსერვატორების მოლოდინისა, თავდასხმის შემდეგ უფრო გაიზარდა საბჭოთა კავშირისადმი საქმიანი ინტერესი სხვადასხვა ქვეყნების და მათი სამრეწველო - საბანკო ჯგუფების მხრით. აღსანიშნავია, „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის ჟენეველ კორესპონდენტის ცნობა, რომ „საბჭოთა წარმომადგენლობაზე ლონდონში მომხდარ თავდასხმამ ჟენევაში შექმნა განწყობილება რუსების სასარგებლოდ“; კერძოდ ამერიკის დელეგაცია უფრო უახლოვდება საბჭოთა წარმომადგენლობას და მათ შორის შესაძლებელია „ზოგიერთ პრინციპიალურ საკითხებში შეთანხმების მიღწევა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო გარიგებათა დასადებადო“. ევროპის და ამერიკის სხვადასხვა ფირმები განცხადებებით შემოდიან საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატში იმ შეკვეთების მათთვის გადაცემის შესახებ. მისაღებ საკრედიტო და სხვა პირობებში, რომლების მოთავსება ინგლისში არ შეიძლება შექმნილი მდგომარეობის გამო. რას მოწმობენ ეს ფაქტები? პირველი, იმას, რომ თავდასხმის ზევით ხსენებული მიზანი არამც თუ არ გამართლდა, არამედ მან საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო; მეორე, იმას, რომ ინგლისს ერთი მხრით და ამერიკასა და ზოგიერთ სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მეორეს მხრით არსებობს ინტერესთა გარდაუვალი წინააღმდეგობა, რის გამო შეუძლებელია მათი მთლიანი ანტისაბჭოთა ეკონომიურ - ფინანსიური ფრონტის განხორციელება; მესამე, იმას, რომ საბჭოთა კავშირი სამეურნეო მხრით იმდენად გაძლიერდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა სულ უფრო ხდება აუცილებელი.

აქედან, გარდა ამისა, ის დასკვნაც გამოდის, რომ ბოლდუინის მთავრობამ თავისი „ველური დიპლომატიით“ (როგორც თავდასხმა ერთ-ერთმა გაზეთმა დაახასიათა) აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა თვით ინგლისის მრეწველობას და საერთოდ მთელ მის ეკონომიკას, ვინაიდან აშკარაა, რომ, თუ ინგლისში ბოლო არ მოეღო თავდასხმით გამოწვეულ მდგომარეობას, თუ არ შეიქმნა მტკიცე და ნამდვილი გარანტია იქ ჩვენი ნორმალური სავაჭრო საქმიანობისათვის,—შემდეგში წარმოუდგენელი იქნება ინგლისთან რაიმე აღებ-მიცემაზე ლაპარაკი. ამ მხრივ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ უკვე მისცა ვაჭრობის კომისარიატს სათანადო დირექტივები, რომ მან ეკონომიური ურთიერთობა აწარმოოს მხოლოდ ისეთ სახელმწიფოსთან, რომელთანაც ჩვენ ნორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულებაში ვიმყოფებით და სადაც საბჭოთა სავაჭრო აპარატისათვის უზრუნველყოფილი იქნება კომერციულ ოპერაციების სრული შესაძლებლობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისის ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტა, თუ ეს ფაქტი გახდა ლონდონის მთავრობის მტრული პოლიტიკის წყალობით. საერთაშორისო კონფერენციის, ევროპის გაღარიბების და კოლონიალურ ქვეყნებში ადგილობრივი მრეწველობის განვითარების პირობებში, პირველ ყოვლისა საბჭოთა ბაზარს შეუძლია ინგლისის ინდუსტრიის ნაწარმოების გასაღების კრიზისის შენელება. ამიტომაა, რომ ინგლისის სამრეწველო ფირმები, მიუხედავად დაბრკოლებებისა, რომლებსაც კონსერვატორების მთავრობა და ბანკები ქმნიან, აფართოებენ ჩვენთან აღებ-მიცემობას. უკანასკნელ წლებში საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის მეტად განვითარდა და მათი ღირებულება მრავალ ათეულ მილიონებს შეადგენს. ბოლო დროს, წესრიგდებოდა კრედიტების საკითხიც საბჭოთა დაკვეთებისათვის. გაბედავს თუ არა ჩემბერლენი საბჭოთა მთავრობასთან დამოკიდებულების გაწყვეტას, ეს მისი საქმეა, მაგრამ იგი ამით ლახვარს ჩასცემს თავის ქვეყნის მეურნეობას, რაც გააძლიერებს თვით საქმიან და დაინტერესებულ კაპიტალისტურ წრეებში ოპოზიციას მის წინააღმდეგ, ხოლო საბჭოთა კავშირი ინგლისის ხარჯზე სხვა ქვეყნებთან გააძლიერებს სამეურნეო ურთიერთობას.

სხვათა შორის, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ თავდასხმას მხედველობაში ჰქონდა კონსერვატორების შინაპარტიული მიზნებიც. უმთავრესად ორი ასეთი მიზანი დგას ამჟამად მათ წინაშე: ნიადაგის მომზადება მომავალი არჩევნებისათვის და პროფკავშირების შესახებ გამოცემულ კანონისადმი ყურადღების შესუსტება ასეთის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხზე გადატანით. უეჭველია, რომ კონსერვატორებს აქაც გაუცრუვდებათ იმედი. თუ ერთხელ სიყალბით გაიმარჯვეს მათ არჩევნების დროს, მას შემდეგ ეს სიყალბე გამოაშკარავდა და მისი განმეორება ვერაფერს სახეიროს უქადის კონსერვატორებს. რაც შეეხება შინაურ კლასობრივ ბრძოლის მიფუჩეჩებას, ეს, აშკარაა, მათ ძალას აღემატება, მით უმეტეს ისეთი მეთოდით, როგორიცაა ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა კავშირთან: ინგლისის მშრომელი მასები ისევე არიან აღშფოთებულნი კონსერვატორების საგარეო ავანტიურებით, კერძოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებით, როგორც ამ კონსერვატორების შეტევით „თავის“ პროლეტარიატზე.

ამგვარად, ინგლისელ შუბლმაგართ ანგარიშები შეეშალათ. მათი უკანასკნელი გამოსვლა ნათლად მოწმობს იმ ღრმა კრიზისს, რომელიც ახასიათებს ინგლისის კაპიტალიზმს, და მაჩვენებელია იმ ნერვიული და უძლური გაბოროტების, რომელმაც ამის გამო მოიცვა მისი მმართველი წრეები.

კომინტერნი სადარაჯოზე

გუშინ მუშაობა დაიწყო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა — ყველა ქვეყნების საუკეთესო კომუნისტების საბჭომ. ის პირობები, რომლებშიაც უხდება მუშაობა კომინტერნის აღმასკომს, და მის მიერ წამოყენებული საკითხები გაცხოველებულ ინტერესს იწვევენ მისი სხდომებისადმი მსოფლიოს ყველა მოწინავე პროლეტარებს შორის.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი სწორედ დროზე შეიკრიბა. ჩვენ ეხლა განვიცდით ისტორიის პასუხსაგებ ხანას, რომელიც საერთაშორისო რევოლიუციის ლენინურ შტაბისაგან მოითხოვს გადაწყვეტილებებს მთელ რიგ მნიშვნელოვან გადაუდებელ საკითხებზე. საერთაშორისო პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი ელის ამ გადაწყვეტილებებს.

იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა. გაძლიერდა ისტორიის მაჯისცემა და მსოფლიო განვითარების რიტმი. გრიგალისებური სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს უდიდესი მნიშვნელობის ამბები. არაჩვეულებრივი სიცხადით სწარმოებს რეაქციის და რევოლიუციის ძალების დიფერენციაცია და დრამატიული ფორმით ჩვენს თვალწინ ხდება წინააღმდეგობათა გამწვავება საერთაშორისო მასშტაბით.

ერთიანდებიან და ერთ ჯგუფში იყრიან თავს საერთაშორისო რეაქციის ძალები, ჩემბერლენი, მუსოლინი, პუანკარე, ჰინდენბურგი, პილსუდსკი, ჩან-ძო-ლინი,— აი, სახელები, რომლებიც ჩაიწერა ისტორიაში სისხლით, ყალბი საბუთებით, ყაჩაღური თავდასხმებით, ჯალათური ეგზეკუციებით და მუშებზე განუწყვეტელი ძალადობით. მაგრამ ეს „სახელები“ ხომ ტონს აძლევენ ევროპის და შეიძლება ითქვას მთელ საერთაშორისო პოლიტიკას.

თანამედროვე კაპიტალიზმმა აშკარად ააფრიალა ფაშისტური რეაქციის შავი დროშა. ის შეტევას აწარმოებს საერთაშორისო პროლეტარიატის და განვითარების სტადიაში მყოფ რევოლიუციის პოზიციებზე. ის ილაშქრებს ევროპის მუშათა კლასის წინააღმდეგ: ყაჩაღურმა კანონმა ინგლისის პროფკავშირების წინააღმდეგ, რომლითაც ინგლისის მუშათა კლასმა უკან უნდა დაიხიოს სწორედ 100 წლით, თვალები უნდა აუხილოს ყველას, იმათაც კი, რომლებსაც ბრმებათ მოაქვთ თავი. კაპიტალიზმი შეტევას აწარმოებს რევოლიუციონურ ჩინეთის წინააღმდეგ: მან აღმართა თავისი ბასტიონები შანხაიში და კანტონში ჩან-კაი-შის და ჩან-ძო-ლინის ხელით და უკვე დაიწყო ჯალათური ომი. ის შეტევას აწარმოებს საერთაშორისო სოციალიზმის ციხესიმაგრის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: ის უკვე ჩუმად კი არ მოქმედობს, არამედ აშკარათ და თავხედურად იწვევს პროვოკაციაზე საბჭოთა სახელმწიფოს.

პროლეტარიატზე, რევოლიუციონურ ჩინეთზე და საბჭოთა კავშირზე შეტევა—ეს არის იმპერიალიზმის მიერ რევოლიუციის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლის სამი რგოლი. ვისაც ეს არ ესმის, მას საერთოდ არაფერი არ ესმის ძალთა ეხლანდელ განწყობილებაში. ის ვერ გაიგებს, თუ რატომ გაიზარდა ასე უკანასკნელი დროის განმავლობაში ომის საშიშროება. იმპერიალისტური კაპიტალიზმი ომებითაა დაორსულებული. მაგრამ ეხლა ეს საშიშროება განსაკუთრებით დიდია, რადგან ეხლა განსაკუთრებით გამწვავებულია წინააღმდეგობანი მთელს საერთაშორისო სისტემაში. რადგან გაძლიერებული რეაქცია იჩქარის სისხლის მორევში ჩაახრჩოს რევოლიუცია, რომელიც განუწყვეტლივ წინ მიდის.

საშიშ სიმპტომებთან ერთად მუშებმა უნდა დაინახონ სასიხარულო ამბები, ფაქტები და მთელი რიგი ტენდენციები, რომლებიც სასარგებლოა რევოლიუციისათვის. ფაშისტური ალი-ბაბა და მისი ორმოცი ყაჩაღი საომრად ემზადებიან. ბრძოლის სადარაჯოზე სდგანან პროლეტარული მებრძოლები და ინტერნაციონალის წითელი რაინდები. საერთაშორისო რევოლიუციონური რიგები არ შეთხელებულა, ისინი შემჭიდროვდენ. კომპარტიები სწავლობენ და იბრძვიან ყოველდღიურ ბრძოლაში. საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდს ემატება ახალი მარქაფი.

მტკიცდება და ვითარდება წითელი რესპუბლიკების კავშირი, რომელიც ჩქარა იდღესასწაულებს თავისი სახელოვანი არსებობის ათი წლის თავს. წითელი დროშა, რომელიც ფრიალებს საბჭოების ქვეყანაზე, სრულებით არ გახუნებულა, ის წინანდებურად წითელი ფერისაა. იმათ, ვინც „გადაგვარებაზე“ და „ნახევრად გადაგვარებაზე“ ლაპარაკობს, შეუძლიათ კარგი ცნობები მიიღონ ჩვენი სახელმწიფოს ხასიათის შესახებ იმპერიალისტებისაგან. სწორედ იმიტომ სისინებენ ბოროტად იმპერიალისტები, სწორედ იმიტომ ანთხევს შხამს მთელი მსოფლიოს შავრაზმული პრესა, სწორედ იმიტომ ქმნიან საბჭოთა კავშირის გარშემო პროვოკაციის და ინტრიგების ქსელს, რომ იმპერიალისტებს ეშინიათ რევოლიუციონურ—პროლეტარული სახელმწიფოსი.

ჩინეთის რევოლიუცია ებრძვის ჯოჯოხეთურ სიძნელეებს და წინ მიდის. ჩინელ ამხანაგებს ბრძოლა უხდებათ ისეთ პირობებში, როდესაც მათ დამიზნებული აქვთ იმპერიალისტების ზარბაზნები და გარშემორტყმული არიან მილიტარისტების, ფეოდალების და მოღალატე ჩან-კაი-შის თეთრი ბანდებით. და მიუხედავად ამისა, ჩინეთის რევოლიუცია მაინც წინ მიდის. მან უკვე მიაღწია უმაღლეს საფეხურს, ის მიზნათ ისახავს ახალ, უფრო გაბედულ რევოლიუციონურ ამოცანების გადაწყვეტას, აგრარულმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. კომინტერნმა, რომელმაც მეშვიდე გაფართოებულ პლენუმზე პრინციპიალურად შეაფასა ჩინეთის რევოლიუციის ხასიათი, უნდა გამოიტანოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჩინეთის საკითხზე.

რასაკვირველია, კომინტერნი ჩინეთის მებრძოლებს დაეხმარება არა ისტერიული წუწუნით, არამედ მდგომარეობის საღი მარქსისტული ანალიზით, ბრძოლის სიძნელეების და შანსების დამშვიდებული აწონ-დაწონვით, ჯერ კიდევ გამოუცდელ ჩინეთის კომპარტიის აუცილებელი შეცდომების გათვალისწინებით და ნათელი ლენინური დირექტივებით.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დღის წესრიგში დასმულია საერთაშორისო სამარი განწყობილების და ბრძოლის საკითხები. ომის საშიშროება, ჩინეთის საკითხი, ინგლისის კანონი პროფკავშირების წინააღმდეგ—ასეთია მთავარი პრობლემები, რომლებსაც განიხილავს კომინტერნი. თავის რეზოლიუციებს კომინტერნი დაუყოვნებლივ გააცნობს მასსებს. მასსებთან კავშირის განმტკიცება და ინტერნაციონალურ ლენინურ რიგების მთლიანობა—ეს კომინტერნის სწორი მუშაობის აუცილებელი პირობებია. საერთაშორისო ბოლშევიკების გაერთიანება მოსალოდნელი საფრთხის წინაშე ეხლა აუცილებელია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ბოროტმოქმედია ის, ვინც სცდილობს ეხლა კომინტერნის რიგების მთლიანობის დარღვევას ანდა ფრაქციული ბრძოლის წარმოებას კომინტერნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა, რომ კომინტერნის აღმასკომი დაიცავს და განამტკიცებს ბოლშევიკურ მთლიანობას, როგორც ეჭვს გარეშეა ისიც, რომ კომინტერნი გამონახავს პასუხს ისტორიის მიერ წამოყენებულ საკითხებზე და სწორ გზას უჩვენებს პროლეტარულ პარტიებს.

„პრავდა“

მოსკოვი, 18 მაისი.

საორგანიზაციო განყოფილება საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით გაუქმებულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საორგანიზაციო განყოფილება და ასეთი დაარსდა სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებას დაკისრებული ჰქონდა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების მოწყობისათვის თვალყურის დევნება, ამ ორგანოებისათვის ინსტრუქციების მიწოდება და მათი მუშაობის ხელმძღვანელობა;
2. საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში პროექტების, ინსტრუქციების და ცირკულიარების დამუშავება;
3. თვალყურის დევნება იმისათვის, რომ საბჭოების, საბჭოთა ყრილობების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები და მოწვევა ხდებოდეს სწორად;
4. განხილვა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისაგან მიღებულ ოქმების, მოხსენებების და სხვ. საინფორმაციო მასალების;
5. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მუშაკთა აღრიცხვა;
6. საარჩევნო სტატისტიკის წარმოება;
7. სამაზრო აღმასკომების საინსტრუქტორო აპარატების ხელმძღვანელობა;
8. რესპუბლიკის და მაზრების ადმინისტრატიულ დაყოფის საკითხების წინასწარი დამუშავება.

აქედან სჩანს, რომ მთელი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო მუშაობა, რომელსაც ატარებს ცენტრი, დაკისრებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. რამდენათ მიზანშეწონილი და კონსტიტუციის თვალსაზრისით სწორია ასეთი მდგომარეობა?

ს. ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-60-ე მუხლის თანახმად, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები თავის მუშაობაში ექვემდებარებიან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს. საბჭოების სამაზრო ყრილობების და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების შესახებ არსებულ დებულების მე-17-ე მუხლის თანახმად, უკანასკნელნი პასუხისმგებელნი არიან სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე; იმავე დებულების მე-12-ე მუხლი ამბობს, რომ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებების და განკარგულებების გაუქმება შეუძლია საბჭოთა ყრილობას, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს.

მაშასადამე, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მოწყობის და მუშაობისათვის თვალყურის დევნება, კონტროლი და ხელმძღვანელობა უნდა ეკუთვნოდეს იმ ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც ემორჩილებიან და ანგარიშს აბარებენ ადგილობრივი ორგანოები და სათანადო აპარატი (საორგანიზაციო განყოფილება) მოწყობილი უნდა იქნეს უშუალოდ ამ ცენტრალურ ორგანოსთან, ე. ი. სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან.

საორგანიზაციო განყოფილების არსებობა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან ჰქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ სამაზრო აღმასკომები იძულებული იყვნენ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის საშუალებით დაესვათ ყველა საკითხები, რომლებსაც სჭრის ცაკის პრეზიდიუმი. ასეთი წესი ერთგვარ დაბრკოლებებს ჰქმნიდა საკითხების გადაჭრაში.

თუ ცაკის პრეზიდიუმს უშუალოთ თავის განკარგულებაში არა აქვს აპარატი, რომელიც მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას გაუწევს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მუშაობას, ის ფაქტიურად მოკლებულია ამ მუშაობის შესრულების შესაძლებლობას.

მაგალითისათვის ავიღოთ თუგინდ საბჭოთა არჩევნები. საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა ეკუთვნის საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს. ცენტრალური საარჩევნო კომისია არსდება საქ. ცაკის პრეზიდიუმთან. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანიას აქამდის ატარებდა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი, ვინაიდან საქ. ცაკს კამპანიის ხელმძღვანელობისთვის არ გააჩნდა სათანადო აპარატი.

მეორე მაგალითი. საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებისა და განმტკიცებისათვის ერთ-ერთი ზომაა ცოცხალი კავშირის გაძლიერება ხელისუფლების ცენტრალურ და ქვედა-საფეხურის ორგანოებს შორის. ამ საკითხის შესახებ ს. ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიამ მიიღო ვრცელი დადგენილება. ეს დადგენილება გულისხმობს შემდეგს: ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახ. კომისართა საბჭოს სხდომებზე პერიოდულად უნდა იქნეს მოსმენილი სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტების მოხსენებები, სახალხო კომისრების მოხსენებები კომისარიატის მიერ სოფლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხის სპეციალურ გაშუქებით; საუწყებო ყრილობებზე და თათბირებზე, რომლებიც იხილავენ სოფლის საკითხებს, მოწვეულ უნდა იქნენ ზოგიერთ სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლები; სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების, ქალაქის და თემის საბჭოების პლენუმებზე პერიოდულად უნდა ისმოდეს მოხსენებები სახ. კომ. საბჭოს და ცალკე სახ. კომისარიატების მუშაობის შესახებ და სხვ.

ამ მეტად მნიშვნელოვან და საჭირო დადგენილებებიდან აქამდის არაფერი არ არის განხორციელებული. ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან არ არსებობდა აპარატი, რომელსაც შეეძლო საკითხების მომზადება პრეზიდიუმში დასასმელად და აგრეთვე თვალყურის დევნება იმისათვის, თუ რამდენად ანხორციელებენ სხვა ცენტრალური ორგანოები დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებებს.

საქ. ცაკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების მუშაობისათვის თვალყურის დევნება და ამ ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ცაკის პრეზიდიუმთან საორგანიზაციო განყოფილების არსებობა ამ ამოცანის სავსებით განხორციელების შესაძლებლობასაც იძლევა.

საორგანიზაციო განყოფილება შესაძლებლობას აძლევს ცაკს განახორციელოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, სახელდობრ, თვალყური ადევნოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ს. ს. ს. რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულების ხელისუფლების ორგანოებს.

ცაკის პრეზიდიუმთან საორგანიზაციო განყოფილების შექმნა მიზნად ისახავს შემდეგ ამოცანებს:

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან უშუალო კავშირის გაძლიერება და მათი მუშაობის ხელმძღვანელობა.
2. ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების მოწყობისათვის თვალყურის დევნება;
3. ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოების მუშაობისათვის თვალყურის დევნების და ხელმძღვანელობის გაძლიერება;
4. ავტონომიურ ერთეულების ხელისუფლების ორგანოთა მუშაობაზე მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის გაძლიერება.

შ. მათიკაშვილი.

ჯონსონ ხიქსის პროვოკაციამ არ გასჭრა

განწყობილება ჟენევაში საბჭოთა დელეგაციის სასარგებლოდ შეიცვალა

საბჭოთა დელეგაციის მოლაპარაკება ამერიკის ფინანსიური წრეების წარმომადგენლებთან

მოლაპარაკება ამერიკა—საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს

სერიოზული უთანხმოება ინგლის-საფრანგეთ-გერმანიისა და ამერიკის დელეგაციებს შორის

ამერიკა-საბჭოთა დელეგაციის დაახლოვება

ჟენევის კონფერენციაზე

ბერლინი, 18 მაისი. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ლონდონში მომხდარმა თავდასხმამ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე ჟენევაში შექმნა განწყობილება რუსების სასარგებლოდ. შემდეგ კორესპონდენტი სწერს:

„ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა ნაბიჯს ახასიათებენ, როგორც შინაურ პოლიტიკურ მანევრს, რომელსაც მთავრობა იძულებულია მიმართოს შუბლმაგართა ზეგავლენით. ჟენევაში თვით ინგლისელებიც იძულებული არიან აღიარონ, რომ ინგლისის პოლიციის ნადავლი ყოვლად უმნიშვნელოა. საბჭოთა წრეებში ფიქრობენ, რომ გაჩხრეკას კავშირი აქვს ინგლისელების ზოგიერთ წრეების ცდასთან ხელში ჩაიგდონ ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა ნავთის სინდიკატმა დასდო ამერიკის ნავთის მრეწველთა კომპანიასთან „სტანდარდ ოილ“-თან.

რუსები ჟენევაში ცდილობენ გამოიყენონ კონფლიქტი ინგლისელებთან, რამაც მორალური მხრით მათ მეტი სარგებლობა მოუტანა, ვინემ ზიანი, და საშუალება მისცა განევითარებია მოლაპარაკება ამერიკელებთან. **საბჭოთა დელეგატებსა და ამერიკის დელეგაციას შორის შესდგა ორი ხანგრძლივი საუბარი** რომელსაც დაესწრნენ ლოსანჟელოსის „ნეიშენელ ბანკ“-ის თავმჯდომარე **რობინსონი**, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **დევისი** და ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე **კლერი**. როგორც სჩანს, **რუსებმა მოახერხეს ზოგიერთ პრინციპიალურ უთანხმოების აღმოფხვრა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო გარიგების დადების საკითხში**“ (ადს).

თავდასხმის შემდეგ

ხიქსი სტყუის

ლონდონი, 19 მაისი. საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციამ გამოაქვეყნა დელეგაციის თანამშრომელ ქალების ამხ. ჩერნოვას და ვოროშილოვას განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „16 მაისს, ჯონსონ ხიქსმა, როცა იგი თემთა პალატაში კენვორტის მიერ მიცემულ შეკითხვაზე უპასუხებდა განაცხადა:

„მე პირადად შევეკითხე ლონდონის პოლიციის სამმართველოს უფროსს და მან განმიცხადა, რომ „არკოსის“ შენობებში არც ერთი ქალი არ გაუჩხრეკიათო. **ჩვენ, ამ განცხადების ხელის მომწერნი აუცილებლად ვსცნობთ აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა ამგვარი განცხადება, მას, ალბად სრულიად არ ჰქონია სწორი ინფორმაცია, ვინაიდან; ჩვენ პირადათ; პოლიციამ გაგვჩხრიკა**“.

„ტან“-ის კომენტარიები

პარიჟი, 18 მაისი. „ტან“-ში საბჭოთა მთავრობის ნოტა მოთავსებულია მთლიანად. უძღვნის რა კომენტარიებს ნოტას, „ტან“-ი სწერს:

„მოსკოვის არგუმენტები სუსტია. ხიქსმა ხომ ჩხრეკა მოახდინა მას შემდეგ, რაც მიიღო ცნობა, რომ არკოსის შენობაში იმყოფება ან იმყოფებოდა მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტი. რაც შეეხება მითითებებს სავაჭრო დელეგაციის და მისი თავმჯდომარის ხელშეუხებლობაზე, ინგლისის მთავრობამ ეს ფორმალურად სადაოთ მიაჩნია. ნოტის პოლიტიკურ ნაწილში ინგლისს ბრალს სდებენ იმაში, რომ მას სურს უკიდურესობამდე მიიყვანოს ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავება“.

შემდეგ, იხსენებს რა „ზინოვიევის წერილს“, მუშათა პარტიების [illegible], კომინტერნის კავშირს პროფკავშირებთან და „საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებას კომინტერნისაგან“, გაზეთი სწერს:

„არავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აგრეთვე არგუმენტი იმის შესახებ, რომ საბჭოთა დელეგაცია ეკონომიურ კონფერენციაზე ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას. საბჭოთა დელეგაცია სისტემატიურად უარს ამბობს იმ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებიც დაფუძნებულია კაპიტალიზმის და კერძო საკუთრების ცნობაზე. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხიქსის ხელში აღმოჩენილ დოკუმენტებიდან ირკვევა ისეთი ფაქტები, რომ მოსკოვი არ უნდა იქნეს მაინც და მაინც კარგ ხასიათზე, თუ მოხდა ურთიერთობის ჩაშლა, მაშინ მთელი ქვეყანა [illegible], რომ ის გამოიწვია მოსკოვის ხრიკებმა“ (ადს).

გერმანიის მუშების ხმა

ბერლინი, 18 მაისი. 16 მაისს გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაში თავდასხმის წინააღმდეგ ლონდონის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა მუშამ. მიტინგზე გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი ებერლეინი, რომელმაც, მოუწოდა მუშებს მხარი დაუჭირონ ახალ იმპერიალისტური ომების საფრთხის აღმოფხვრისათვის ბრძოლას და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას.

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 18 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ კონსერვატორთა დეპუტატმა **რობერტ ხედსონმა** გარეშე საქმეთა მინისტრს თემთა პალატაში მისცა შემდეგი შეკითხვები: მიმართა თუ არა საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა გარეშე საქმეთა მინისტრს თხოვნით 13 მაისს შეხვედრის დროს დანიშვნის შესახებ და თუ მიმართა, რომელ საათისათვის იყო ნათხოვი შეხვედრის დრო დანიშნული? რა პასუხი მიეცა საბჭოთა კავშირის რწმუნებულს? შემდეგ, იმავე საღამოს ითხოვა თუ არა საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა თემთა პალატაში მთავრობის რომელიმე წევრთან შეხვედრის საშუალების მიცემა და თუ ითხოვა, რა პასუხი მიიღო?

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირის რწმუნებული, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა ტელეფონით დალაპარაკებოდა გარეშე საქმეთა მინისტრს, გამოცხადდა გარეშე საქმეთა სამინისტროში 12 მაისს საღამოს დაახლოებით 7 საათზე. ამ დროს მინისტრი და მისი ამხანაგი გავიდნენ სამინისტროს შენობიდან. როზენგოლცი მიიღო სამინისტროს უმცროსმა მოხელემ, რომელსაც არ შეეძლო ამ საკითხზე განცხადების მიცემა, რომელიც მას აინტერესებდა. გარეშე საქმეთა მინისტრი პირადათ შეხვდა როზენგოლცს მეორე დღეს დილის 11 საათზე და 30 წუთზე.

„მე არაფერი ვიცი—დასძინა ლოკერ ლემპსონმა,—იმის შესახებ, რომ როზენგოლცი წინადღით საღამოს თემთა პალატაში მოითხოვდა მთავრობის რომელიმე წევრთან შეხვედრას“.

რობერტ ხედსონი შეეკითხა—ხომ ჩვეულებრივ დიპლომატიურ წესების დაცვა იქნებოდა, რომ როზენგოლცს თავი შეეკავებინა ოპოზიციის შეხვედრისაგან, სანამ გარეშე საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკების საშუალებას მიიღებდა?

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხი უცხოეთის რომელიმე წარმომადგენლის მიერ პირთან შეხვედრის შესახებ, რომელთანაც მას სურს მოლაპარაკება, უნდა გადაწყვიტოს თვით უცხოეთის წარმომადგენელმა“.

მუშათა პარტიის დეპუტატი **კლაინსი** შეეკითხა—მართალია თუ არა, რომ როზენგოლცს პირველ ყოვლისა უნდოდა გარეშე საქმეთა მინისტრის ნახვა?

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ როგორც მან უკვე აღნიშნა, გარეშე საქმეთა მინისტრმა ისარგებლა როზენგოლცთან შეხვედრის პირველ შესაძლებლობით.

კონსერვატორების დეპუტატი **დევისონი** შეეკითხა: წარმოადგენს თუ არა როზენგოლცის მოქმედება საერთაშორისო ეტიკეტის სერიოზულ დარღვევას?

კონსერვატორების დეპუტატი **მაკ-კვინტეში** შეეკითხა: სურდა თუ არა საბჭოთა მთავრობას და არკოსის წარმომადგენელს პირველ ყოვლისა ენახა ოპოზიციის წარმომადგენელი?

მუშათა პარტიის დეპუტატი **კირკვუდი** შეეკითხა: რის პოვნას მოელოდა მთავრობა, როცა არკოსში აგზავნიდა პოლიციას? ხომ არ ეძებდა ის იქ ჯონსონ ხიქსის ფოტოგრაფიულ სურათს?

ამ შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ გაეცა (ადს).

ლოკერ ლემპსონი პირდაპირ პასუხს გაურბის

შეკითხვები ინგლისის თემთა პალატაში

პეკინის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 18 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში კონსერვატორების დეპუტატი **ფრედერიკ ხოლი** შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს: აღმოჩნდა თუ არა ჩინეთის მთავრობის მიერ რუსეთის საელჩოს გაჩხრეკის შემდეგ ისეთი დამამტკიცებელი საბუთები, რომ საბჭოთა კავშირის თანამდებობის პირები ჩინეთში ეწეოდნენ ანტი-ინგლისურ მუშაობას? თუ ასეთი საბუთები აღმოჩნდა, რა ზომების მიღებას აპირებს გარეშე საქმეთა მინისტრი?

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლემპსონმა უპასუხა, რომ როგორც ინგლისის ელჩი იუწყება, რომ ჩინეთის ხელისუფლება საჭიროდ სთვლის ამომწურავ მუშაობას საბჭოთა საელჩოში ნაპოვნ დოკუმენტების გამოსაკვლევად და პერიოდულად აქვეყნებს ამ დოკუმენტების ინგლისურ თარგმანს და ფოტოგრაფიულ რეპროდუქციებს.

„სანამ ჩემბერლენი არ მიიღებს ამ დოკუმენტებს და არ გაეცნობა მათ, მე არაფერი არ შემიძლია დავუმატო თემთა პალატაში 26 აპრილს გაცემულ პასუხს“—განაცხადა ლემპსონმა.

მუშათა პარტიის დეპუტატი **პელინგი** შეეკითხა: მიიღო თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრმა საჭირო ზომები იმისთვის, რომ დარწმუნდეს ყველა ამ დოკუმენტების სინამდვილეში, სანამ ისინი გამოქვეყნდებიან ინგლისში.

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა: „მე არაფერი ვიცი იმის შესახებ, რომ, თითქოს, გადაწყვეტილი იყოს დოკუმენტების გამოქვეყნება ინგლისში. მე ვლაპარაკობდი იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც აქვეყნებულ იქნა ჩინეთში. [illegible] გამოქვეყნებული დოკუმენტები გამოიგზავნება ლონდონში. აქ ჩემბერლენი გულდასმით განიხილავს მათ“.

პელინგი შეეკითხა: იცის თუ არა ლოკერ ლემპსონმა, რომ [illegible] აზრის წარმოდგენაში ასეთი დოკუმენტები [illegible] გარეშე საქმეთა სამინისტროს საქმიანობას და [illegible] არა ლოკერ ლემპსონი, რომ ამის წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნეს ზომები და რომ მომავალში სამინისტრო უნდა ცდილობდეს დარწმუნდეს ასეთ დოკუმენტების სისწორეში მათ გამოქვეყნებამდე?

სპიკერმა (თემთა პალატის თავმჯდომარე) განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს შემდეგ შეკითხვებს.

კერენსკი ვერ ისვენებს

ნიუ-იორკი, 18 მაისი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე **გრინმა** ხელახლა გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და უკან წაიღო წინადადება მისი ცნობის შესახებ. თავის გამოსვლის დროს გრინმა ისარგებლა იმ მასალებით, რომლებიც მას კერენსკიმ მიაწოდა. (ადს).

სიმშილობა სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 18 მაისი. სამხრეთ - სლავიიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ჰერცოგოვინის დიდ ნაწილში დაიწყო სიმშილობა, რაც აიხსნება მწვავე სასოფლო - სამეურნეო კრიზისით. ზოგიერთ სოფლებში გლეხები კვდებიან სიმშილისაგან. მდგომარეობა კატასტროფიულად ითვლება. (ადს).

გიბსონის გამართლება

რომი, 18 მაისი. საგანგებო ტრიბუნალმა გაამართლა მუსოლინის თავდამსხმელი **გიბსონი**. გიბსონი ცნობილ იქნა ჭკუიდან შერყეულად. გიბსონის გამართლებას პოლიტიკურ წრეებში სთვლიან დათმობად ინგლისთან დაახლოვების ინტერესების სასარგებლოდ. (ადს).

გერმანიის რეიხსტაგში

ბერლინი, 18 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ რეიხსტაგმა ყველა პარტიების ხმების უმრავლესობით კომუნისტების, ტელტმანელების, ნაციონალ-სოციალისტების და ჰანოვერის პარტიის ხმების წინააღმდეგ მიიღო კანონი რესპუბლიკის დაცვის შესახებ (ლაპარაკია არსებული კანონის გაგრძელებაზე კიდევ ორი წლით) (ადს).

ეკონომიურ კონფერენციაზე

ბრძოლა კულისებში.

ჟენევა, 18 მაისი. საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე შექმნილი მდგომარეობა ხასიათდება სერიოზული ბრძოლით კულისებს შიგნით.

გერმანიის და საფრანგეთის დელეგაციები ინგლისელების დახმარებით დაჟინებით მოითხოვენ, რომ რეზოლიუციაში ვაჭრობის შესახებ გაუქმებულად იქნეს გამოცხადებული ვალები და სარეპარაციო ვალდებულებანი, რომლებიც აფერხებენ ექსპორტის თავისუფალ განვითარებას. შეერთებულ შტატების დელეგაცია კატეგორიულად ილაშქრებს ამ წინადადების წინააღმდეგ.

მეორეს მხრივ, გერმანიის და ინგლისის დელეგაციები არ ეთანხმებიან ფრანგების წინადადებას, რომ კარტელებზე დაწესდეს კონტროლი მათ შესახებ დადებულ შეთანხმებათა რეგისტრაციისა და გამოქვეყნების გზით. ლუშერი, რომელიც, როგორც სჩანს, ანგარიშს უწევს ჟუოსთან დადებულ წინასწარ შეთანხმებას, დაჟინებით იცავს ამ წინადადებას (ადს).

რაციონალიზაციის ქვე-კომისიაში

რეზოლიუცია

ჟენევა, 18 მაისი. მრეწველობის კომისიის რაციონალიზაციის საკითხების განმხილველმა ქვე-კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც წარმოების რაციონალურად მოწყობას სთვლის ისეთ ფაქტორად, რომელიც აუმჯობესებს პროდუქციას და შრომის პირობებს და აიაფებს თვითღირებულებას. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ რაციონალიზაციის განხორციელება უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული სიფთხილით. რაციონალიზაციის განსახორციელებლად ერთ-ერთ ღონისძიებად რეზოლიუცია სთვლის შრომის მეცნ. ორგანიზაციის ყველაზე უფრო პრაქტიკულ მეთოდების გამოკვლევას და შედარებას.

რეზოლიუცია აღნიშნავს სამუშაო და დასასვენებელ საათების სწორ განაწილების და ხელფასის პრემიალური სისტემის შემოღების მიზანშეწონილობას,

ამხ. ნ. ოსინსკი (შუაში) თავისი მდივნების თანხლებით მიდის კონფერენციის სხდომაზე

საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია

საბჭოთა დელეგაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია რეზოლიუციის წინააღმდეგ.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ კაპიტალიზმის პირობებში რაციონალიზაცია მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ. რაციონალიზაცია საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც საწარმოო საშუალებები ერის ხელშია. ღონისძიებები, რომელთაც სახავს რეზოლიუცია, ვერ უზრუნველყოფენ მუშების ინტერესებს.

„რომ რაციონალიზაცია მძიმე ტვირთად არ დააწვეს მუშებს, — ნათქვამია დეკლარაციაში,—და რომ მან არ გააძლიეროს მუშათა კლასის ექსპლოატაცია და მისი მორალური დაბეჩავება მწარმოებლების მიერ, **საჭიროა უარყოფილ იქნეს მუშათა ორგანიზაციებზე და მათ უფლებებზე იერიშების მიტანის ცდები და დაცულ იქნეს კავშირების უფლებები, კერძოდ, საგაფიცვო ბრძოლის უფლება. საჭიროა 8 საათის სამუშაო დღის დაცვა, მისი შემცირება თანდათანობით, სამუშაო ხელფასის გადიდება და ხანგრძლივი დახმარების უზრუნველყოფა იმ მუშებისათვის, რომლებიც რაციონალიზაციის გამო შემცირებაში მოხვდებიან.**

მაგრამ ეს ღონისძიებები ვერ სპობენ იმ რაციონალიზაციის ყველა საზიანო შედეგებს, რომელსაც ატარებენ მწარმოებლები ომის შემდეგ მოშლილ მსოფლიო მეურნეობის პირობებში. **რაციონალიზაციის უმტკივნეულოდ ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგრძნობლად გადიდებული იქნება სამუშაო ხელფასი, შემცირებული იქნება სამხედრო ვალები და რეპარაციები**“.

დეკლარაცია გამოქვეყნებულ იქნა ოსინსკის მიერ მრეწველობის კომისიის პლენუმზე (ადს).

რეფორმისტების პოზიცია

დეკლარაციაზე პასუხის გაცემის დროს სარაციონალიზაციო ქვეკომისიის მომხსენებელმა პერინგტონმა განაცხადა:

„ძალიან სამწუხაროა, რომ საბჭოთა დელეგაცია საქმიანი თანამშრომლობის მაგიერ მარტო კრიტიკით კმაყოფილდება. გაუგებარია, რატომ აცხადებს საბჭოთა კავშირი უარს საქმიან თანამშრომლობაზე. კომისიამ [illegible] ოდნავადაც ვერ მოახერხა თანამშრომლობის მოწყობა საბჭოთა დელეგაციასთან. ამ მდგომარეობას ვაცნობებთ კონფერენციას, როდესაც ის ამას მოისურვებს“.

პერინგტონის გამოსვლას აფასებენ როგორც კონფერენციის მარჯვენა გადახრის აქტს, ვინაიდან საბჭოთა დელეგაციის გამოსვლის ზეგავლენით რეფორმისტებმა უფრო რადიკალური პოზიცია დაიჭირეს ჟენევაში, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

ინციდენტი

რეზოლიუციის განხილვის დროს მოხდა ინციდენტი.

სკანდინავიის გაერთიანებულმა დელეგაციამ, ალბად ინგლისისა და გერმანიის დელეგაციების ზეგავლენით, შემოიტანა წინადადება, რომ რეზოლიუციიდან მოხსნილი ყოფილიყო ის მუხლები, სადაც აღნიშნული იყო პროფკავშირების უფლება მუშების დაცვაზე რაციონალიზაციის დროს.

ამის გამო ჟუომ და ორმა სხვა დელეგატმა, ერთმა ბელგიელმა და ერთმა ესტონელმა, წარმოსთქვეს მუქარით აღსავსე სიტყვები. ამასთან ერთად ისინი იმეორებდნენ, რომ რეზოლიუცია არავის არაფერს არ ავალდებულებს.

უარყოფილ იქნა სკანდინავიის დელეგაციის წინადადება. აგრეთვე უარყოფილ იქნა საბჭოთა დელეგაციის წინადადება სამრეწველო სტატისტიკის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. (ადს).

აგრარულ კომისიაში

რეზოლიუცია

ჟენევა, 18 მაისი. აგრარულმა კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა.

კომისიის მიერ მიღებული რეზოლიუციის საერთო ნაწილი აღიარებს „აგრარულ“ კრიზისის არსებობას, რომელიც ემუქრება სასოფლო მეურნეობას, და მასთან დაკავშირებით ინდუსტრიის პროდუქციას. მაგრამ რეზოლიუციაში არ არის მოცემული იმ მიზეზების ანალიზი, რომლებმაც გამოიწვიეს სოფლის მეურნეობის კრიზისი. რეზოლიუციის ეს ნაწილი ზოგადი ფრაზებისაგან შესდგება. (ადს).

საბჭოთა დელეგაციის პოზიცია

დაასაბუთა რა საბჭოთა დელეგაციის უარი რეზოლიუციისათვის ხმის მიცემაზე, ვარგამ აღნიშნა, რომ რეზოლიუციას აკლია მეცნიერული ანალიზი, რაც არ შეეფერება საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციას.

„**სასოფლო მეურნეობის კრიზისი**, — განაცხადა ვარგამ,—**წარმოადგენს ევროპის მრეწველობის კრიზისის, ქრონიკული უმუშევრობის და პროლეტარიატის დაბალი სამუშაო ხელფასის შედეგს.** ასეთ პირობებში იმის მოთხოვნა, რომ გადიდებულ იქნას სასოფლო მეურნეობის პროდუქცია, ნიშნავს კრიზისის გამწვავებას. საბჭოთა კავშირმა იმიტომ უარჰყო რეზოლიუცია, რომ უკანასკნელი ერიდება მიწის საკითხის დასმას მთელ რიგ ქვეყნებში,—მაგალითად, პოლონეთში, უნგრეთში, იტალიაში და გერმანიაში,—სადაც ეს საკითხი წარმოადგენს საჭირბოროტო საკითხს ამ ქვეყნების ღარიბი გლეხობისათვის“.

„რეზოლიუცია, — განაგრძობს ვარგა,—იცავს სოფლის მემამულეთა ინტერესებს, ხოლო სასოფლო მეურნეობის მუშების ინტერესებს კი გვერდს უვლის. **საბჭოთა კავშირი ვერ დაუჭერს მხარს ისეთ რეზოლიუციას, სადაც სასოფლო მეურნეობის მუშების ინტერესები მსხვერპლად ეწირება მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს**“.

საბჭოთა დელეგაციის შესწორებები

საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა რეზოლიუციაში შესწორება, რომ სამუშაო ხელფასისა და სოციალური უზრუნველყოფის მხრივ სასოფლო-სამეურნეო მუშები გათანასწორებულ იქნან სამრეწველო მუშებთან და რომ კოოპერაციაში აღიარებულ იქნას კლასიური პრინციპი.

კომისიამ უარჰყო საბჭოთა დელეგაციის ეს შესწორება.

ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თანახმაა ითანამშრომლოს საერთაშორისო ტეხნიკურ ღონისძიებებში ეპიზოოტიასთან ბრძოლის დროს, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისა და ანგარიშების ერთიან პრინციპების ჩამოყალიბებაში და აგრეთვე ანკეტის ჩატარებაში სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ (ადს).

ფრანგების წინადადება

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების შესახებ. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა გერმანიის დელეგაციამ, რადგან მისი აზრით [illegible] გერმანიის მონაწილეობა ამ ბანკში და კონტროლისა გერმანიის აგრარულ კაპიტალის პოლიტიკაზე. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინ-იუ-სიანის არმიის შეტევა
პეკინზე გრძელდება

ფინ-იუ-სიანის ახალი გამარჯვება

შანხაი, 18 მაისი. გაზეთები იუწყებიან, ფინ-იუ-სიანის ახალი გამარჯვების შესახებ. ფინ-იუ-სიანის არმიის მთავარი ძალები უახლოვდებიან ჩენ-ჩჟოუს. გაზეთების აზრით, ჩენ-ჩჟოუს აღება ფინ-იუ-სიანის ჯარების მიერ უახლოესი 48 საათის საკითხია.

უ-პეი-ფუს ცდა, რომ შეეჩერებინა ფინ-იუ-სიანის ჯარების წინსვლა ხენანისაკენ (ჩენ-ჩჟოუდან 70 კილომეტრის მოშორებით) დასრულდა მისი სრული დამარცხებით. ფინ-იუ-სიანის ჯარებმა აიღეს ქალაქი კუნ-სიანი.

უ-პეი-ფუს ნაწილები განადგურებულია. (ადს).

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 18 მაისი. ამ დღეებში შედგება იაპონელ საქმიან წრეების თათბირი ჩინეთის საკითხის შესახებ; თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ იოშიზავა და სხვა დიპლომატები. იაპონიის პრესის აზრით, ამ თათბირს შედეგად მოჰყვება იაპონიის პოლიტიკის საგრძნობლად შეცვლა ჩინეთში.

ხარბინი, 18 მაისი. ტოკიოდან 13 მაისის თარიღით მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ სამხედრო სამინისტრომ სასწრაფოდ ტოკიოში გამოიწვია იაპონიის არმიის მთავარსარდალი კვანტუნის ოლქში გენერალი მუტო და იაპონიის ჯარების უფროსი ჩრდილოეთ ჩინეთში გენერალი ტაკადი.

მათი გამოწვევის მიზეზად სთვლიან იმას, რომ საჭიროა მათი აზრის მოსმენა იაპონიის პოლიტიკის შეცვლის შესახებ ჩინეთში.

შანხაი, 18 მაისი. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისია გაემგზავრა ხანკოუში. (ადს).

ინგლისის მიერ მოსყიდული

პეკინი, 18 მაისი. „მანჯურია დეილი ნიუზ“ იტყობინება, რომ დიპლომატიურ წრეებიდან გამოსულ ცნობის თანახმად. ჩან-ძო-ლინმა დასდო „რომელიღაც სახელმწიფოსთან“ საიდუმლო შეთანხმება სესხის მიღების შესახებ; ამ სახელმწიფომ სესხის მიცემის პირობად დასდო შემდეგი: მუკდენმა უნდა ჩააქროს კომუნისტური მოძრაობა იან-ძი-ძზიანამდე, უკანვე დაიბრუნოს ნანკინი და შანხაი და მფარველობა გაუწიოს ამ „რომელიღაც სახელმწიფოს“ ეკონომიურ ინტერესებს.

გაზეთს, როგორც სჩანს, სახეში ჰყავს ინგლისი. (ადს).

საქმეს აჭიანურებენ

პეკინი, 18 მაისი. სააგენტო „ჰოვენ“ იტყობინება, რომ პროკურატურიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, როდის გაასამართლებენ იმ პირებს, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ პეკინში საბჭოთა საელჩოზე მომხდარ თავდასხმის დროს; ჯერ გადათარგმნილია იმ დოკუმენტების მხოლოდ $^{3}/_{10}$, რომელიც ხელში ჩაიგდეს საელჩოს შენობის და გემ „ლენინის ხსოვნა“-ს გაჩხრეკის დროს. პროკურატურა ამზადებს საბრალმდებლო აქტს.

შემდეგ ნათქვამია, რომ სასამართლოს გაუძნელდება მოწმეების დასახელება, ვინაიდან ლი-ტაი-ჩაო და სხვ. სიკვდილით დასაჯეს და ბრალდებულების დასაცავად დარჩათ მხოლოდ დოკუმენტები. (ადს).

თავს იყრიან

ნიუ-იორკი, 18 მაისი „ასოშიეტედ პრეს“-ის შანხაელ კორესპონდენტის ცნობით, ჩან-კაი-ში ჩავიდა შანხაიში.

შანხაიში გაემგზავრენ აგრეთვე ინგლისის ელჩი პეკინში მაილს ლემპსონი და ინგლისის წარმომადგენელი ხანკოუში ნიუტონი (ადს).

ჩენის განცხადება

ნიუ-იორკი, 18 მაისი. „ასოშიეიტედ პრესი“ ხანკოუდან იუწყება, რომ ევგენი ჩენმა უარჰყო ხმები იმის შესახებ, რომ ვითომც მოწინააღმდეგეთა ჯარები უახლოვდებიან უხანს.

ლემპსონის გასტროლები

პეკინი, 18 მაისი. გაზეთ „ი-ში-ბაო“-ს წარმომადგენელთან საუბარში ინგლისის ელჩმა პეკინში მაილს ლემპსონმა განაცხადა, რომ სამხრეთ ჩინეთში მისი გამგზავრების მიზანია უშუალო მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან ნანკინის ინციდენტის მოსაგვარებლად. ლემპსონმა იმედი გამოსთქვა, რომ ის მიაღწევს შეთანხმებას ნანკინთან (ადს).

ინგლისის წარმომადგენლის განცხადება

ხანკოუ, 18 მაისი. ინგლისის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, რომელიც ხანკოუდან გაემგზავრა, ევგენი ჩენს გაუგზავნა წერილი. წერილში ნათქვამია:

„ინგლისის პოლიტიკა ჩინეთის ხალხის კანონიერი მოთხოვნილების მიმართ უცვლელი რჩება, მაგრამ ამასთანავე გამოირკვა, რომ იმათ, რომელთა სახელითაც თქვენ გამოდიხართ, ვერ შესძლეს დაემტკიცებიათ, რომ აქვთ უნარი მართვა-გამგებლობისა თანამედროვე ხანის პასუხისმგებელ მთავრობათა ნორმების მიხედვით. ეს აიძულებს ინგლისის მთავრობას მივიდეს იმ დასკვნამდი, რომ ჩემი აქ დარჩენა წარმომადგენლის სახით უნაყოფოა“. (ადს).

საზღვაო ბრძოლა უხუნში

შანხაი, 18 მაისი. იუწყებიან, რომ ჩრდილოელთა სამხედრო გემების რაზმი ცინ-დაოდან 5 ზარბაზნის შემადგენლობით 18 მაისს თავს დაესხა უხუნს. ზარბაზნები ნავთსადგურს ყუმბარებს უშენდენ 5 ს. განმავლობაში. ჩან-კაი-შის სამხედრო გემებმა სროლით უპასუხეს და ჩრდილოელთა გემები უკუაქციეს, მაგრამ მათ უკან არ დაედევნენ. (ადს).

ჩან-კაი-ში ჩავიდა შანხაიში

შანხაი, 18 მაისი. ჩან-კაი-ში ჩავიდა შანხაიში. იუწყებიან, რომ მისი ჩასვლის მიზანია ადგილობრივ გაეცნოს მდგომარეობას და გადასწყვიტოს ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსიური კრიზისი. მემარჯვენე გომინდანელთა ცნობებით, მას თათბირი ექნება მაილს ლეპსონთან.. (ადს).

ინდოელების დასჯა

შანხაი; 18 მაისი. ინდოელ ხარბინ სინგს ინგლისის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იმის გამო, რომ მან მოჰკლა შანხაის მუნიციპალურ საბჭოსთან არსებული ინგლისის პოლიციის იმ რაზმის უფროსი, რომელიც ინდოელებისაგანაა შემდგარი. მალე დაიწყება დანარჩენი 150 ინდოელის პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ ამავე საქმის გამო. (ადს).

ნანკინის ახალი საფრთხე

ნიუ-იორკი, 18 მაისი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნ“-ის შანხაელი კორესპონდენტის ცნობით; ინგლისელთა სამხედრო-საზღვაო სარდლობამ ჩან-კაი-ში გააფრთხილა, რომ თუ იგი განაგრძობს თავდასხმას ინგლისელთა გემებზე, ნანკინს ყუმბარებს დაუშენენ. (ადს).

მუკდენელთა „წარმოების იარაღი“

პეკინი, 18 მაისი. პეკინის გაზეთები იუწყებიან, რომ პეკინის პროკურატურის ბრძანებით, სიკვდილით დასჯის იარაღი, რომლითაც „დაახრჩვეს ლი-ტაი-ჩეოუ და სხვა კომუნისტები; საპატიმრო სახლიდან ციხეში გადაიტანეს.

„გენერლების გაფიცვა“

პეკინი, 18 მაისი. უმაღლეს სასამართლოს და პროკურატურის წევრებმა პეკინში გაფიცვა გამოაცხადეს ნიშნად პროტესტისა ჯამაგირის არასწორი განაწილების წინააღმდეგ. მათ მთავრობას გაუგზავნეს პეტიცია, რომელშიაც მოითხოვენ გადადგომას და დაკავებული ჯამაგირის დაუყოვნებლივ მიცემას. (ადს).

მემარჯვენე გომინდანელთა პოზიცია

შანხაი, 18 მაისი. მემარჯვენე გომინდანელთა ორგანო „გომიდ - ბაო“ გამოაქვეყნა ჩან-ბის (ჩან-კაი-შის შტაბის პოლიტიკურ განყოფილების უფროსი) წერილი სუნ-ჩუან-ფანისადმი. წინადადებას აძლევს რა სუნ-ჩუან-ფანს შეურთდეს ჩან-კაი-შის სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოელების და აგრეთვე უხანის წინააღმდეგ, ჩან-ბი აცხადებს: „ჩვენ თქვენთან ერთად მივდივართ ერთი მიზნისკენ, ვინაიდან ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ წითლები გავდევნოთ ჩინეთიდან“ (ადს).

საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა საქმე

პეკინი, 18 მაისი. „ხუან - ბოა“ იუწყება, რომ საბჭოთა საელჩოს 15 თანამშრომლის საქმის გარჩევის ვადა ჯერ არ არის გამორკვეული, ვინაიდან ანგოცზიუნის შტაბმა პროკურატურას გადასცა 20-მდე დოკუმენტი, რომელთა გარჩევას მოუნდება არა ნაკლებ ერთი თვისა. ბრალდებულთა დაკითხვა სწარმოებს ყოველ დღე. ბოროდინის ცოლის და სამ დიპლომატიურ კურიერის საქმე, გაზეთის სიტყვით, გაირჩევა უფრო ადრე, ვინაიდან გამოძიება თავდება (ადს).

იაპონიის ნალმოსანისათვის ყუმბარების დაშენა

ნიუ-იორკი, 18 მაისი. „ასოშიეტედ პრესის“ შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, ჩრდილოეთლებმა ყუმბარები დაუშინეს იაპონიის ნალმოსანს, რომლითაც ხანკოუში მიდიოდა სპეციალური კომისია. დაჭრილია იაპონიის ოფიცერი (ადს).

ჩინეთის კომკავშირის ყრილობა

ხანკოუ, 19 მაისი. 10 მაისს უხანში გაიხსნა ჩინეთის კომკავშირის ყრილობა. ყრილობას მიესალმა ახალგ. კომინტერნის, საკავშირო ახალგ. კომკავშირის, ინგლისის კომკავშირის, გომინდანის; ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელნი და აგრეთვე პროფკავშირების, სტუდენტთა ორგანიზაციების, ქალთა კავშირების და პიონერთა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ყრილობამ მიიღო მოწოდება ახალგაზრდობისადმი და დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ახალგ. კომინტერნის აღმასკომს.

„ჩინეთის რევოლიუციის ღალატი,—ნათქვამია დეპეშაში,—ვერ შეარყევს რევოლიუციონურ ფრონტს. საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით ჩინეთის მუშები და გლეხები შესძლებენ საბოლოოდ გაანადგურონ ყველა მტრები და დაამყარონ თავისი დიქტატურა“.

უკანასკნელი ცნობები
თავდასხმის გარშემო

საბჭოთა კავშირის პრეს-ბიუროს განცხადება

საბჭოთა საელჩოს პრეს-ბიუროს განცხადება

ლონდონი, 19 მაისი. საბჭოთა კავშირის საელჩოს პრეს-ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის საელჩოს პრეს-ბიურო აუცილებლად სცნობს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ სავაჭრო დელეგაციის და „არკოსის“ შენობებში ჩხრეკის დროს პოლიციამ გახსნა რამოდენიმე წერილი, სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. ხინჩუკის სახელზე, რომელნიც იმ დღეს მოიტანა დიპლომატიურმა ფოსტამ და გაუხსნელი დარჩა. ერთი ამ წერილთაგანი, რომელსაც ეწერა „პირადად, სრულიად საიდუმლოდ“, შეიცავდა სახელმწიფო დოკუმენტს, მათ შორის შრომისა და თავდაცვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საგარეო ვაჭრობის შესახებ. ამ წერილის გახსნა წარმოადგენს კიდევ ერთ საბუთს იმისას, თუ რა უხეშად იქნა დარღვეული უფლება და პრივილეგიები, რომელნიც საბჭოთა კავშირის ოფიციალურ სავაჭრო აგენტს ენიჭება 1921 წლის სავაჭრო შეთანხმებით“. (ადს).

შეკითხვები ხიკსისადმი

ლონდონი, 19 მაისი. მუშათა პარტიის წევრი ჯონსტონი თემთა პალატის სხდომაზე ხიკსს შეეკითხა: შეუძლია თუ არა მას მიუთითოს იმ ზიანის რაოდენობა, რომელიც არკოსმა ნახა გაჩხრეკის და სეიფების დანგრევის შემდეგ და არის თუ არა განზრახვა, რომ მისცენ მას რაიმე თანხა ამ ზიანის კომპენსაციის სახით. ხიკსმა უარყ. პასუხი გასცა შეკითხვის ორივე ნაწილზე. საკლატვალა (კომუნისტი) შეეკითხა: კანონიერია თუ არა სასამართლოს მოქმედება, რომელმაც ორდერი გასცა და ზიანი მიაყენა საელჩოს იმ მიზნით, რომ ჩვენი გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის გეადვილებია რაიმე ყალბი დოკუმენტების შეგდების შესაძლებლობა. შეკითხვის უკანასკნელი სიტყვები დაფარა ყვირილმა კონსერვატორების სკამებიდან: „წესრიგისაკენ“. (ადს).

ინგლისის კონსერვატიული პრესა ლიტვინოვის ნოტის შესახებ

ლონდონი, 19 მაისი. „მორნინგ პოსტი“ აცხადებს: „საერთო შთაბეჭდილება ოფიციალურ წრეებში ისეთია, რომ ლიტვინოვი სცდილობს, თავიდან აიშოროს დიპლომატიური ურთიერთობის საბოლოო შეწყვეტა“. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს, რომ ინგლისის მთავრობაზე არ ახდენს განსაკუთრებულ გავლენას ლიტვინოვის საპროტესტო ნოტის მედიდურობა და მუქარა. „უფრო მეტი ინტერესის ღირსია,—სწერს გაზეთი, — საბჭოთა მთავრობის მუქარა საბჭოთა შეკვეთების სხვა ქვეყნებში განაწილების შესახებ, მაგრამ ამასთანავე სავაჭრო შეთანხმების კვლავ დატოვება ძალაში“ (ადს).

ხიკსმა გადასდო თავისი განმარტებანი

ლონდონი, 19 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ჯოინსონ ხიკსმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ პოლიციის განკარგულებაში მოსული ინფორმაცია არკოსის შენობაში ჩხრეკის შემდეგ ისეთია, რომ მთავრობას ჯერ არ ქონდა საშუალება დაემთავრებია ამ ინფორმაციის განხილვა ან განესაზღვრა მისგან გამომდინარე შედეგები. ამის გამო ჯოინსონ ხიკსმა თავისი დეკლარაცია 24 მაისისათვის გადასდო. (ადს).

ინგლის საბჭოთა ურთიერთობა და გერმანია

ბერლინი, 19 მაისი. პროფესორი გეტჩე ნაციონალისტების ორგანო „ტაგ“-ში აცხადებს: „ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის გამწვავება ჩვენს თანამშრომლობას ინგლისთან კიდევ უფრო მეტად ამწვავებს, ვიდრე დღემდე იყო. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტისათვის ლონდონში აგიტაციას ეწევიან იგივე ძალები, რომელნიც ჩვენც მტრულად გვეპყრობიან. ყოველ შემთხვევაში ასეთი პირობები შეუძლებელს ხდიან გერმანიისათვის რაიმე მხარის დაჭერას ინგლისის მხრივ“ (ადს).

ჟენევის კონფერენციაზე

ჟენევა, 18 მაისი. სამრეწველო კომისიასთან არსებულ ტარიფების და სავაჭრო ხელშეკრულებათა კომისიაში საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა აუცილებლად იქნას აღიარებული კოლონიალურ ქვეყნებისათვის საბაჟო. სატარიფო დამოუკიდებლობის დაწესება და ცნობილ იქნას აღმოსავლეთის და კოლონიალურ ქვეყნების განსაკუთრებული ინტერესები საბაჟო პოლიტიკის დარგში, ვინაიდან, მრეწველობის სუსტი განვითარების გამო; იქ შეუძლებელია ტარიფების შემცირება და სტაბილიზაცია. ქვეკომისიის თავმჯდომარე კილინმა, რომ ჩაეშალა საბჭოთა დელეგაციის წინადადებები, ისინი განზრახ გააერთიანა საბჭოთა დელეგაციის მესამე წინადადებასთან აგრარულ გადასახადების გაუქმების შესახებ. მიუხედავად საბჭოთა დელეგაციის პროტესტისა, სამივე წინადადებას ერთად უყარეს კენჭი და უარყვეს. ქვეკომისიის თავმჯდომარეს უხეშად ეჭირა თავი საბჭოთა დელეგაციის მიმართ, მან ისიც კი განაცხადა, რომ არ იცნობს ტერმინს „საბჭოთა კავშირი“, მაგრამ საბჭოთა დელეგაციისაგან საკადრისი პასუხი მიიღო. საბჭოთა დელეგაციის მხრივ კამათში მრავალჯერ გამოვიდენ ხინჩუკი და კაუფმანი. (ადს).

რაკოშის საქმე

ვენა, 19 მისი. რაკოშის და სხვ. ამხანაგების დამცველების მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის გამო რაკოშის და სხვ. ამხანაგების საქმე გადაეცა უნგრეთის უზენაეს სასამართლოს. საქმის გარჩევა დანიშნულია 25 მაისისათვის. საკასაციო საჩივარი განხილულ იქნება ბრალდებულთა დაუსწრებლად (ადს).

„აღმოსავლეთის ლოკარნო“

ბერლინი, 19 მაის. „დოიჩე ცეიტუნგი“ პარიზიდან იუწყება: „როგორც გადმოგვცემენ, გერმანიის საელჩოს წარმომადგენელმა პარიზში საფრანგეთის მთავრობას მიმართა ახალი წინადადებით რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ. გერმანია აცხადებს, რომ იგი მზად არის მოახდინოს თავისი რკინისგზების ობლიგაციების მობილიზაცია საფრანგეთისათვის (ე. ი. რეალიზაცია მოუხდინოს აგენტის განკარგულებაში მყოფ რეპარაციებს და მიღებული თანხა გადასცეს საფრანგეთს), და გარდა ამისა, დასთანხმდეს აღმოსავლეთის საზღვრების ისეთივე გარანტიაზე, როგორიც გათვალისწინებულია ლოკარნოს ხელშეკრულებით დასავლეთის საზღვრების შესახებ“. გაზეთი შემდეგ თავისი მხრივ აცხადებს:

„აქ საქმე იმგვარად არის, რომ ყველა „არასოდეს“-ის შემდეგ გერმანია აყენებს „აღმოსავლეთის ლოკარნოს“ (ადს).

გენ. სიაო-დუ-ინის ღალატი

ხანკოუ, 18 მაისი. მე-14 ცალკე დივიზიის უფროსმა, სიაო-იო-ნანის (ხუბეის ყოფ. გუბერნატორი, უ-პეი-ფუს ყოფ. მომხრე) ყოფ. მომხრემ, გენ. სიო-დუ-ინმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა იან-სენის შემოტევის შეჩერება იან-ძის მიმართულებით წინ წაწევა და დაირობას და დაიწყო ფარული წინსვლა უხანისაკენ. ღალატის გამომაშკარავებამდე მან მოასწრო იან-ძის მიმართულებით წინ წაწევა და დაიკავა რაიონი უხანიდან სამხრეთის მხრივ 75 კილომეტრის დაშორებით. სამხედრო ხელისუფლება იღებს ზომებს ამბოხების ჩასაქრობად. ის დარწმუნებულია, რომ ამბოხება მოსპობილ იქნება რამოდენიმე დღის განმავლობაში. მდგომარეობა მაინც და მაინც არ არის სერიოზული. სიაო-დუ-ინი ყოველგან გამოდიოდა ჩან-კაი-შის ლოზუნგებით. (ადს).

მდ. მისისიპის ადიდება



როგორც დეპეშები იუწყებიან, მდ. მისისიპის ადიდებამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. წყალს დაფარული აქვს ტერიტორია, რომელიც სივრცით სამჯერ აღემატება ჰოლანდიას. უთავშესაფროდ არის დარჩენილი 800.000-დე ოჯახი. სურათზე—ქ. კენტუკში ამერიკის წითელი ჯვრის მიერ ლტოლვილებისათვის მოწყობილია კარვები. ასეთი კარვები მოწყობილია 82 პუნქტში, სადაც ბინა მიეცა 75.000 ლტოლვილს.

საბჭოთა კავშირში
რუსეთი

არაჩვეულებრივი მშობიარობა

ტაშკენტი, 19 მაისი. ტაშკენტის სამშობიარო თავშესაფარში 24 წლის რიაბოვამ შვა ოთხი ბავშვი, ყველა ბიჭები. ბავშვები ცოცხლები დაიბადენ. ორი იწონის თითო ოთხ გირვანქას, ერთი 3 სამ. მეოთხ. გირვანქას და ერთიც 2 სამ. მეოთხ. გირვანქას. (ადს).

ნორვეგიელ მუშების მადლობა

მოსკოვი, 19 მაისი. ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებამ მადლობის წერილი გამოუგზავნა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ლოკაუტის ქვეშ მყოფ ნორვეგიელ მუშების დახმარებლად 1 მილ. კრონის გადაგზავნისათვის. (ადს).

პროლეტარული პოეტები

მოსკოვი, 19 მაისი. რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, რომ დასავლეთის კულტურული ცხოვრების გასაცნობად გაგზავნოს საზღვარგარეთ პროლეტარული პოეტი ბეზიმენსკი, ჟაროვი და უტკინი. პოეტებს განზრახული აქვთ გერმანიისა და საფრანგეთის დათვალიერება. (ადს).

ფასების დაკლების
შემოწმება

მოსკოვი. 19 მაისი. გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისრის ბრძანება საცალო ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შემოწმების შესახებ. ბრძანებას ხელს აწერს ამხ. მიქოიანი.

„გადის ვადა, რომელიც დააწესა მთავრობამ სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების 10 პროცენტით დაკლებისათვის; რჩება სულ დაახლოვებით ორი კვირა; ადგილობრივ ორგანოების ანგარიშები და მოხსენებები, პრესის ცნობები და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების მიერ მოხდენილ გამოკვლევების შედეგები მოწმობენ, რომ მუშაობა ფასების დაკლებისათვის გაჩაღებულია და მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად მხოლოდ ქალაქებში; ამასთანავე არის შემთხვევები, როცა ეს მუშაობა ძალიან მოისუსტებს სამაზრო ქალაქებში.

კამპანია ფასების დაკლებისათვის სოფლებში ვერ ტარდება დამაკმაყოფილებლად. ხშირია შემთხვევა, როცა საგუბერნიო ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას აქცევენ იმ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებიც საგუბერნიო ცენტრებში მდებარეობენ და ივიწყებენ ისეთ პერიფერიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშათა ცენტრებში მუშაობენ. საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა სოფლად ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში თითქმის არ ჩანს და ეს არის მთავარი ნაკლი ფასების დაკლების კამპანიის ჩატარების მეთოდების და ფორმის მხრივ.

ფასების დაკლების პოლიტიკის გადამახინჯებად სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ უნდა ჩაითვალოს ისეთი მოვლენები, როცა ფასების დაკლება ხდება საქონლის ხარისხის გაუარესებასთან ერთად. საჭიროა ყველა ცენტრალურ და ადგილობრივმა საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანოებმა გამოიჩინონ მაქსიმუმი ღონისძიებებისა, რათა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლულოვანებები ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებაში, გამოასწორონ ისინი და შეავსონ დაკარგული დრო.

წინადადებას ვაძლევ საკავშირო რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს და მათ ორგანოებს ადგილებზე სასწრაფოდ დაავალონ სათანადო ეკონომიურ საბჭოებს, აღმასკომებს და პროფორგანიზაციებს სასწრაფო ზომების მიღება კამპანიის შედეგების შემოწმების გასაძლიერებლად. კამპანიის მსვლელობა ქმნის საფრთხეს, რომ დირექტივები ფასების 10 პროცენტით დაკლების შესახებ ვერ იქნება სისრულით განხორციელებული. ამიტომ ვუბრძანებ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს და მოუწოდებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყოველივე ძალ-ღონე დასძინონ ამ უმნიშვნელოვანეს დავალების შესასრულებლად“ (ადს).

ახალი ავიო-ლატარია

მოსკოვი, 18 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საბჭოთა კავშირის თავდაცვის—ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების საბჭოს ნება დართო შეუდგეს მეორე საკავშირო ლატარიის მოწყობას. გამოშვებულ იქნება 3 მილ. ბილეთი; 50 კაპ. ღირებულებისა თითო. ლატარიის მოგებათა რიცხვშია: ერთი მოგზაურობა მთელი დედა-მიწის ყველა ქვეყნებში (მარშრუტი მომგების ამორჩევით), მოგზაურობის ღირებულება 7.500 მან.; 2 მოგება დედამიწის ირგვლივ (დაწესებული მარშრუტით)—5000 მან. თითო მოგზაურობა; 2 მოგზაურობა მოსკოვი—ათინა — მოსკოვი—1.500 მან. თითო მოგზაურობა; 3 მოგზაურობა მოსკოვი—პარიზი—მოსკოვი—1.350 მან. თითო მოგზაურობა; ორი მოგზაურობა მოსკოვი—ვენა—მოსკოვი—1.300 მან. თითო მოგზაურობა; 2 მოგზაურობა მოსკოვი—სტამბოლი—მოსკოვი—1.300 თითო მოგზაურობა; სამი მოგზაურობა მოსკოვი—ბერლინი—მოსკოვი; 5 გადაფრენა მოსკოვი — მინერალური წყლები — მოსკოვი, 5 მოგზაურობა მოსკოვი—მინერალური წყლები—კავკავი—თბილისი — სოხუმი —მოსკოვი; 60 ორი დღით მოგზაურობა მოსკოვი—ხარკოვი—მოსკოვი, გარდა ამისა; მოგებათა რიცხვში არის 5.000 დიდი გადაფრენა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში, 3.937 რადიომიმღები, 5 ველოსიპედი; 250 მეცნიერული ხელსაწყო, 200 ტექნიკური ხელსაწყო; 500 მფრინავი მოდელი და 100 წყვილი ფოსტის მტრედი. ბილეთების გაყიდვა დაიწყება თავდაცვის დღეს 1927 წ. 14 ივლისს. რეალიზაციის ვადა 8 თვეა. (ადს).

პარტიული ცხოვრება

მორიგეობითი თავმჯდომარეობის შესახებ

უჯრედებში პასიურობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შემოღებული იყო და ეხლაც ბევრგან არის მორიგი თავმჯდომარეობის პრაქტიკა. მუშაობის ამგვარ წესმა უთუოდ ერთგვარი სიხალისე შეიტანა პარტიის ქვედა ქსელის საქმიანობაში, მაგრამ, თავიდანვე ცხადი იყო, რომ მორიგეობითი თავმჯდომარეობას ჰქონდა თავისი ნაკლულოვანებანიც, რომელზედაც ადრე თუ გვიან უნდა მიგვექცია ჩვენი ორგანიზაციების ყურადღება.

უჯრედთა მდივნების თათბირმა, რომელიც ამას წინათ შესდგა თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონში, თავის დღის წესრიგში ცალკე გამოჰყო თავმჯდომარეობის საკითხი და მსჯელობის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქამდე არსებული თავმჯდომარეობის პრაქტიკა უნდა შეცვლილი იქნას.

ჯერ ერთი მორიგი თავმჯდომარეობა ნაწილობრივ ადუნებს უჯრედის თვითმოქმედებას, რადგან კრების ხელმძღვანელის გამოყოფა ხდება არა არჩევნების გზით, არამედ მექანიკურათ. გარდა ამისა ხშირათ თავმჯდომარეობა უხდება უჯრედის ისეთ წევრს, რომელსაც საამისო არც გამოცდილება და არც უნარი შესწევს. უჯრედის უმრავლესობა ზოგიერთ მორიგეობით წამოყენებულ თავმჯდომარეს სათანადო ნდობით და პატივისცემით არ ეპყრობა.

ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი თავმჯდომარეობის მეოხებით უჯრედი მოკლებულია საშუალებას სათანადოთ ჩაატაროს თავისი საქმიანი კრებები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეოთხე რაიონის უჯრედის მდივანთა თათბირის დადგენილება დროული და მიზანშეწონილია. საჭიროა გამოიძებნოს პარტიულ მასის აქტივობის ახალი და უფრო ნაყოფიერი საშუალებები, საჭიროა შესწავლილი და შემოწმებული იქნას დღემდე ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა. ხოლო რაც შეეხება უჯრედის სხდომებზე თავმჯდომარეობას, საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ მორიგეობის პრაქტიკა უარყოფილ იქნას.

ბ. დ—ძე.

ჩვენი მიღწევები

(საგარეჯოს ახ. ლ. კ. კ. თემკომი)

საგარეჯოს ახ. ლ. კ. კ. თემკომის ორგანიზაცია დღითი დღე იზრდება და ძლიერდება. ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში თემკომმა ჩამოაყალიბა ორი ახალი უჯრედი, ერთი სოფელ საგარეჯოს ქრა-კერვის სასწავლებელთან და ერთიც გლეხური სოფ. თოხლიაურში. ორგანიზაცია იზრდება, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივადაც. ამჟამად საგარეჯოს თემკომი აერთიანებს რვა კ. კ. უჯრედს. ამ რიცხვში არის როგორც წმინდა მუშური უჯრედი, აგრეთვე გლეხური, შერეული, მოსწავლეთა და სხვა. ასე რომ თემკომს უხდება მრავალფეროვანი მუშაობა. თვითეულ უჯრედის მუშაობის გასაძლიერებლად თემკომს მიმაგრებული ჰყავს უჯრედებზე თავისი წევრები. თემკომის პრეზიდიუმის სხდომები იმართება ყოველ კვირას. ეწყობა აგრეთვე თემკომის პლენუმის კრებებიც, სადაც იშლება საკითხები წინასწარ შემუშავებული კალენდარული გეგმის მიხედვით. თემკომს გამოყოფილი ყავს სამუშაოდ ამხანაგები პოლიტ-საგანმანათლებლო დარგში, პიონერთა შორის, მოჯამაგირეთა შორის, ქალთა და სხვ.

სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებთან მიმაგრებული კომკავშირელები სისტემატიურად აკეთებენ მოხსენებებს თემკომის სხდომებზე თავიანთ მუშაობის შესახებ, უკანასკნელი აძლევს მათ შესაფერ დირექტივებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თემკომის მიერ უჯრედებში ქვედა აქტივის წამოწევას და უპარტიო ახალგაზრდობაში მუშაობას.

პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას კ. კავშირელთა შორის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ამ მიზნით წარსული წლის დეკემბრის თვიდან მოეწყო თემში 6 პოლიტ-მკითხველთა წრე და 2 პოლიტ-სკოლა. წრეების მეცადინეობას ესწრებოდა საკმაო რიცხვი უპარტიო ამხანაგებისა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც მიმდინარეობს წრეების მეცადინეობა, დამსწრეთა რიცხვმა საკმაოდ იკლო. ამ გარემოებას თემკომის მიერ მიექცა შესაფერისი ყურადღება. შემჩნეულია აგრეთვე უჯრედების სუსტი ხელმძღვანელობა პოლიტ-წრეებზე.

მიმდინარე ზამთარში განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრო წრეების მუშაობა, რომლებშიაც ჩაბმული იყო 300-ზე მეტი გლეხურ ახალგაზრდა. ამათში საკმაო რიცხვს შეადგენდა კ. კ. წევრები. აგრო-წრეების მუშაობა ამჟამად დასრულებულია. კ. კავშირის წევრები ჩაბმული არიან ქოხ - სამკითხველოებისა და წითელი კუთხის მუშაობაში კ. კავშირის წევრები ჩაბმულ იქნენ თემ-პოლიტ-განის მიერ გახსნილ მც. მცოდნეთა სკოლებში, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს კურსი. ადგილობრივ კედლის გაზეთების მუშაობაშიაც კ. კავშირლები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ. ახკორთა შორის მუშაობასაც მიექცა ყურადღება. სხვა და სხვა დღესასწაულებსა და კამპანიებში კ. კავშირელები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ.

ძარლვი.

რა სთქვა მესამე გაფართოებულმა პლენუმმა

(სიღნაღის მაზრა)

მიმდინარე თვის მაისის პირველ რიცხვებში მუშაობდა ს. კ. პ. (ბ) სიღნაღის სამკომის გაფართოებული პლენუმი თემკომის მდივნების თანადასწრებით. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ფასების დაკლების კამპანია, 2) საბჭოების არჩევნების შედეგები, 3) პარტაღწერის შედეგები; 4) ბიუჯეტის განხილვა, 5) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და სხვა.

ფასების დაკლების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კ. მართაშვილი, რის შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღემდე არ არის ყველგან შესრულებული შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ფასების დაკლების შესახებ. კოოპერატივის გამგეობები ალაგ-ალაგ კიდევ არიან გატაცებულნი დიდი მოგებით, სადაც ფასების დაკლება გატარებულია, იგი არ ყოფილა რაციონალიზაციის შედეგი არამედ ტარდებოდა მექანიკურათ და ამოცანის ნამდვილი მნიშვნელობის გაუგებრათ. პლენუმმა გამონახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

პლენუმმა აღნიშნა სარევიზიო კომისიების სუსტი მონაწილეობა მიმდინარე კამპანიაში და პარტუჯრედების ნაკლები აქტიობა ამ დარგში.

საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ვარამაშვილი.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წარსული წლის არჩევნებთან შედარებით ეხლანდელი არჩევნები უფრო მომზადებულად და ორგანიზაციულად ჩატარდა.

პარტაღწერის შედეგებიდან გამოირკვა ჩვენი ორგანიზაციის სახე და აქედან დასახულ იქმნა პარტიის ზრდის შემდეგი გზები. პარტაღწერის გარეშე დარჩენ ზოგიერთი კანდიდატები, რომლებიც აღიარებულ იქნენ ბალასტათ.

პლენუმზედ განხილულ იქნა აგრეთვე მაზრის ბიუჯეტის საკითხი. ქალაქის და თემების ბიუჯეტი დარჩა ძველებურად, მაგრამ ცენტრიდან დოტაციის დაკლების გამო მაზრის ბიუჯეტი შემცირებულ იქმნა ზოგიერთ დარგების მიხედვით.

მოსმენილ იქმნა აგრეთვე მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. პლენუმმა ორგანიზაციებს მისცა დირექტივა ამ მხრივ მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ვ. ხატიაშვილი.

ქალთა აქტივობა იზრდება

(გომბორის თემი)

გომბორის თემში შედის 19 სოფელი, აქ ორ ადგილას არის ჩამოყალიბებული ქალთა სადელეგატო პუნქტები, ერთი თვით გომბორში და მეორე სოფ. ბოჭორმაში, ხევსურ-ქალებს შორის. ორივე პუნქტი აერთიანებს 50 დელეგატს. უნდა ითქვას, რომ სადელეგატო პუნქტი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. თვით გომბორში სწარმოებს მეცადინეობა. პროგრამა ნახევარზე მეტი განვლილია. საუბარს ატარებს უჯრედიდან მუდმივი გამოყოფილი ამხანაგი. გარდა სადელეგატო კრებისა ეწყობა ქალთა საერთო კრებები, რომლებზედაც იშლება საერთო ხასიათის კითხვები, გამოყოფილია ქალთა დღე ორ კვირაში ერთხელ ქალთა თვითგანვითარების მიზნით, ამ დღეს ქოხ-სამკითხველოში სწარმოებს ხმა-მაღლივ გაზეთის კითხვა.

დელეგატ-ქალებს კოლექტიურად აქვთ გამოწერილი ერთი წლით ჟურნალი „მშრომელი ქალი“, „კრესტიანკა“, „კომუნისტკა“ „რაბოტნიცა“ და გაზეთი „ახალი სოფელი“, რომელთა კითხვა სწარმოებს ქოხ-სამკითხველოში. დელეგატი-ქალები, პრაქტიკული მუშაობის მიზნით მიმაგრებული არიან საზოგადოებრივ სამუშაოზე.

საბჭოებს გადარჩევისას დელეგატი ქალები დიდ აქტივობას იჩენდენ. საბჭოებში არჩეულია—3 ქალი, აღმასკომში—1.

სამწუხაროდ ასეთ მუშაობას მოკლებულია სოფ. ბოჭორმის სადელეგატო პუნქტი. მეცადინეობა აქ არ მიმდინარეობს სისტემატიურად. ქალები კრებებს არ ესწრებიან. ასეთი მდგომარეობის მიზეზი გამოიხატება იმაში, რომ უჯრედი ვერ ხელმძღვანელობს ქალთა შორის მუშაობას

გამოყოფილი ამხანაგის ხელმძღვანელობა სუსტია, ამიტომ საჭიროა ასეთ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს თემის კომიტეტმა.ბოჭორმის გლეხი-ქალები, როგორც ძალზე ჩამორჩენილი მამაკაცებთან, არ მოდიან კრებებზე. ამისათვის საჭიროა, ხელმძღვანელათ ქალის გამოყოფა. თუ ისეთი პარტიული არ მოიძებნება, იმ შემთხვევაში უპარტიო მასწავლებელი უნდა ჩაებათ ამ საქმეში.

რაც შეეხება სხვა რაიონებს, აქ მასიური ქალთა კრებები არ ეწყობა, რაც უნდა ხდებოდეს სამ თვეში ერთხელ მაინც. ზოგიერთ სოფლებში უჯრედები არ არის, მაგრამ ასეთი საქმისათვის შესაძლებელია სათანადო ორგანოს მიერ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი მასწავლებლობა.

კ. კარტოზია.

შვებულთა მუშაობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის (ბ) საოლ ქო. და სამაზრო კომიტეტების ყველა სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებებს

ამ მოკლე ხანში დაიწყება შვებულებები და ათასობით მუშები და მოსამსახურენი გაემართებიან სოფლებისაკენ. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ქალაქისა და სოფლის დაახლოვების საქმეში, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისა, გლეხობაზე პროლეტარულ გავლენის გაძლიერებისა, გლეხთა მასსების მოთხოვნილებათა და სულისკვეთებათა გათვალისწინების საქმეში. პარტორგანიზაციებმა შვებულება უნდა გამოიყენონ ყოველმხრივ და ყურადღება უნდა მიაქციონ მისი მოგვარების საკითხს.

მოსამზადებელი მუშაობა შვებულებთან

შვებულებთან მოსამზადებელი მუშაობა მდგომარეობს, უპირველესად ყოვლისა, იმაში, რომ შვებულებაში მიმავალნი სისწორით იქნან აღრიცხულნი. ეს აღრიცხვა არას შემთხვევაში არ უნდა იყოს ბიუროკრატიული, მან თან არ უნდა სდევდეს ანკეტები და სხვაგვარი ფორმალობანი. საკმაოა ჩამოერთვას მისამართი და გეგმა შვებულებაში მიმავალ მუშას, რომელსაც სურს იკისროს მუშაობა. ნებაყოფლობა და დაინტერესება საჭიროა და ამიტომ სწორი არ არის ის მოსაზრება, რომ ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ შვებულებაში მიმავალთა მთელი 100 პროცენტი. აღრიცხვაზე აღებული შვებულებაში მიმავალნი უნდა იქნან მომზადებულნი; მომზადების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა: შვებულთა საუბრები, მოხსენებები, კრებები (თუ ეს მოსახერხებელია—წრეები, კურსები) სხვადასხვა საკითხების შესახებ, რომელიც აინტერესებთ შვებულებაში მიმავალთ. (კრებების და საუბრების თემები უნდა იქნას შეთანხმებული შვებულებებთან).

ხშირად ხდება, რომ შვებულებს ძალიან ბევრ სამუშაოს აძლევენ: მათ ევალებათ ყოველგვარი ცნობების მიწოდება და მოხსენებების წაკითხვა სხვადასხვა გვარ თემებზე მრავალგვარი საკითხების შესახებ. ამას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა ამოვარჩიოთ ორი უფრო მნიშვნელოვანი თემა: ბრძოლა ფასების დაკლებისათვის, საბჭოების გამოცოცხლება, მიუმატოთ ამას ორი-სამი ადგილობრივი თემა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ რაიონისათვის და რომელიც აინტერესებს შვებულს.

შვებულმა თავისი ყურადღება არ უნდა დაფანტოს მრავალგვარ საკითხებზე. მან მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ერთ ძირითად საკითხს, იმ საკითხს, რომელიც მას აინტერესებს.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას ცნობათა მიწოდების დარგში. შეძლების დაგვარად წარმოებებში უნდა შეიქნას ცნობათა მაგიდები (საერთო - საქალაქო) და ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან იურისტები, აგრონომები, ექიმები, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, კოოპერაციის, გლეხთა სახლის და სხვა ორგანოების მუშაკები. პასუხები შეკითხვებზე დასაბუთებული უნდა იყოს.

ვინაიდან ამ წელში შეუძლებელი გახდა „შვებულის შენიშვნები“-ს გამოშვება, ამიტომ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატიურ მუშაობას ცნობათა მისაწოდებლად, შვებულისათვის ლიტერატურის მიწოდებას (მისთვის და სოფლისათვის). ამ საქმეში უნდა ჩაბმულ იქნას კოოპერაცია, მიწის ორგანოები, საფინანსო ორგანოები და სხვა.

დღიური, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ბორკავს შვებულს. დღიურს იგი იშვიათად ავსებს. ამიტომ დღიური უნდა შევცვალოთ შვებულის რეგულიარული წერილებით საშვებულო ბო კომისიაში“, და აგრეთვე იმით, რომ შვებულებიდან დაბრუნებულმა უამბონ თავისი შთაბეჭდილებანი.

შვებულებთან კავშირის დაჭერისა და ხელმძღვანელობისათვის მათი სოფლად ყოფნის დროს, მასალების და ცნობების დამუშავებისათვის შეძლებისდაგვარად უნდა შეიქნას მუშაობის უნარის მქონე კომისიები (სადაც არ არის შეფობა, ან სადაც იგი სუსტია), რომელთაც უხლოეს ხელმძღვანელობას და დახმარებას გაუწევენ კომიტეტების სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებები.

შვებულის მუშაობა სოფლად

სოფელმა უნდა იგრძნოს, რომ შვებულის სახით მას ყავს მუშათა კლასის წარმომადგენელი, მრჩეველი და მოკავშირე შვებული არ უნდა გახდეს საჩივრებისა და მასალების „შემგროვებელი“, მათ არ უნდა წარმოიდგინონ თავიანთი თავი განმკარგულებლებად და კონტროლიორებათ სოფლად. მათ მედიდურათ არ უნდა უყურონ გლეხობას, ან პირიქით, არც ოქროს მთებს უნდა დაჰპირდენ, არამედ უბრალოდ, ამხანაგურად [illegible] შეუძლიათ გლეხებს საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივობის საფუძველზე აიშორონ ნაკლულოვანებანი და უმსგავსობანი და გააუმჯობესონ სოფლის ცხოვრების პირობები.

შვებულმა მჭიდრო კონტაქტი უნდა დაიჭიროს ადგილობრივ ორგანიზაციებთან და მუშაკებთან, მან არა მარტო ამხანაგურად უნდა მიუთითოს ნაკლულოვანებაზე, არამედ იგი აქტიურადაც უნდა დაეხმაროს ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას და თავიდან აცილებაში. შვებულს არ შეუძლია აწარმოოს რთული „გამოკვლევანი ქვლევა - ძიებანი“, იგი ყურადღებით უნდა მოეპყრას და ინახსოვრონ გლეხობის განწყობილების ყველა ფაქტები და მომენტები, რომ შემდეგ ყოველივე ეს აცნობოს მუშებს და პარტიას ქალაქში. შესაძლებლობის ფარგლებში (შვებული სოფლად მიდის დასასვენებლად და არა მუშაობისათვის.—ეს არ უნდა დავივიწყოთ) შვებულმა რჩევით დახმარება უნდა გაუწიოს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, დაეხმაროს (პირველ რიგში საბჭოებისა და მისი სექციების) მუშაობის გამოცოცხლების საქმეში. შვებულმა კორესპონდენციები უნდა სწეროს გაზეთებში: „კომუნისტი“, „ახალი სოფელი“ და სხვა.

შვებულთა დაბრუნების შემდეგ ჩატარებულ უნდა იქნას კრებები, სადაც ისინი გააკეთებენ მოხსენებებს, გაუზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს და დაკვირვებებს. ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათ, რომ შეასრულონ ის დავალებანი, რომელნიც მათ იკისრეს და დავალების შედეგები უნდა ეცნობოს სოფელს. შვებულების ნაამბობი სოფლის სულისკვეთებისა და განწყობილების შესახებ უნდა დამუშავდეს საინფორმაციო მასალებათ, რომელიც განხილულ უნდა იქნას კომიტეტების პრეზიდიუმის მიერ სათანადო პრაქტიკული ზომების მისაღებად. მასალები გლეხთა სულისკვეთებისა და განწყობილების შესახებ უნდა გადაიგზავნოს აგრეთვე ცეკაში.

საქ. კომპ. ც. კ. სააგიტ. - საპროპ. განყოფილება.

რა გვიჩვენა უკანასკნელმა არჩევნებმა

(ფოთი).

ბიუროების არჩევნები ჩვენს ქალაქში დამთავრდა. არჩევნები ჩატარდა 12 უჯრედში. ბიუროებში სულ არჩეულია 52 წევრი, მათში მუშებია 32 კ.—61,6 პრ., გლეხები—3 კ.—5,8 პროც., მოსამსახურე—15 კ.—28,8 პროც. და სხვა—2 კ.—3,8 პროც.

ბიუროების შემადგენლობაში ახლად არჩეულთა რიცხვი უდრის 34 კ.—65,3 პროც., მათგან მუშებია 22 კ.—63,6 პრ.

ეს დამამტკიცებელია მუშების აქტივობის ზრდის.

პარტსტაჟით ბიუროებში გავიდა: 1917 წლიდან 4 კ., 1918—5 კ., 1919—11 კ., 1920—3 კაცი, 1921—13 კ., 1924—1 კ., 1925—6 კაცი, 1926—8 კაცი და 1927 წლიდან—1 კაცი.

უჯრედების მდივნები სოც. შემადგენლობით შემდეგ სურათს იძლევიან: მუშა—6 კაცი—50 პროც., მოსამსახურე—5 კ.—41,7 პროც., სხვა—1 კ.—8,3 პრ.

ამრიგათ უკანასკნელმა არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო პარტიული მასის აქტივობის ზრდა და ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელ კადრების სოციალური მდგომარეობის და პოლიტიკური გამოცდილების თანდათანობითი გაუმჯობესება.

ვლადი—მირ.

კომკავშირში
ა. ლ. კ. კ. ა.-კ. მეორე კონფერენცია
19 მაისის დილის სხდომა

დილის სხდომაზე ამხანაგმა გუმედინმა გააკეთა მოხსენება სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებასა და სოფლის კოოპერაციაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ.

სოფლის საკითხები — ამბობს ამხ. გუმედინი —საკითხებია პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობისა, სოციალისტური მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისა. იყო და იქნება პარტიის ყურადღების ცენტრში.

ამ ახლო წარსულში დამთავრებულმა ა.-კ. მე-4 საბჭოთა და საკავშირო მე-4 საბჭოთა ყრილობებმა ხაზი გაუსვეს სოფლის კოოპერაციის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის შემდგომი მსხვილ ინდუსტრიის განვითარებაში. ამჟამად კომკავშირის ორგანიზაცია პირველად მიუდგა მჭიდროთ სასოფლო - სამეურნეო საკითხებს, როგორც ა.-კავკასიაში, აგრეთვე მთელ საბჭოთა კავშირშიც. გლეხობის სადღეისო მდგომარეობა კომკავშირის წინაშე სვამს საკითხს ხელმძღვანელობის გაძლიერებისას, — რომ გლეხური მეურნეობა ამ ხელმძღვანელობის საშუალებით განვითარდეს კოოპერაციის გზით.

დასასრულ ამხ. გუმედინი ამბობს, რომ კომკავშირი პარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ — დასძლევს ყველა იმ სიძნელეებს, რომელიც მას სოფლის მეურნეობის ფრონტზე მუშაობაში ხვდება და დაამტკიცებს, რომ ის ღირსეულად ატარებს ლენინის სახელწოდებას.

ამხ. გუმედინის შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩხენკელი.

ამიერ - კავკასიაში მიწის დიდი ნაკლებობაა, სთქვა ამხ. ჩხენკელმა. ამიტომ აუცილებელია ისეთი კულტურების გამოყენება სასოფლო მეურნეობაში, რომელიც გაამართლებს გლეხის შრომას. მიწის გამოფიტვის გამო აუცილებელია მიწის განოყიერება, მისი კულტურულად დამუშავება, მეურნეობის მაშინიზაცია. ცოტა რამ ამ მიმართულებით გაკეთდა: 650 ტრაქტორი განაწილებულ იქნა ამიერ - კავკასიის სოფლებს შორის.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაკლების პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მოსავლის გადიდებით. კომკავშირის ამოცანაა, იკისროს ინიციატივა ამ საქმეში: შეაკავშიროს გლეხობა ტრაქტორებისა და თესლის შეძენისათვის. ეს იქნება საფუძველი გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირებისათვის, რაიც ნიადაგს შეუმზადებს კოლექტივიზაციის და მეურნეობის სოციალისტურ გზაზე დაყენებას. ჩვენის მხრივ საჭიროა ნივთიერი დახმარება.

ამ მიზნით ამიერ - კავკასიაში უკვე შეიქმნა სას.-სამ. კრედიტის სისტემა. კომკავშირის ამოცანები საკრედიტო ამხანაგობებში მდგომარეობს იმაში, რომ შექმნილ იქნას ნდობა საკრედიტო ამხანაგობათა მიმართ და თვალყური ადევნონ სასოფლო - სამეურნეო კრედიტის გამოყენებას.

19 მაისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე ამხ. გუმედინის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდენ ამხ.: მუსაევი, გრიგორიანი, გოდოვი, აზნაურიანი, ვარდანია, ფროლოვი, ვარტაპეტიანი, სარიანი, ბარკაია და ბუკრეევი. ამხ. ბუკრეევის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელმაც სხვათა შორის სთქვა; სოფლად სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია მოისუსტებს. კოოპერაციაში ღარიბ გლეხთა დარაზმვა უმნიშვნელოდ მიმდინარეობს [illegible] ციაში დარაზმვის საქმეში — სამწუხაროდ მოისუსტებს. დღევანდელ პირობებში სოფლის კოოპერაცია ფრიად მნიშვნელოვანია და ამ საქმეში კომკავშირი სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეს. მან უნდა უჩვენოს გლეხობას პრაქტიკული ნაბიჯები. დანარჩენი ამხანაგები შეეხენ სასოფლო - სამეურნეო განათლების საქმეს, საკრედიტო ამხანაგობებს, სატყეო მშენებლობას და მასში კომკავშირის მონაწილეობას, აგრო[illegible] და სხვ.

ორმოცი წლის წინ

(1887—20 მაისი—1927 წ.)

ალ. ულიანოვის, პ. ანდრეუშკინის, დ. გენერალოვის, პ. შევირევის და ვ. ოსიპანოვის ხსოვნას

1881 წ. პირველ მარტს გრინევიცკის მიერ გასროლილი ბომბით პეტერბურგში მოკლულ იქნა ალექსანდრე მეორე. მაგრამ იმედები, რომელსაც ამ აქტზე ამყარებდა „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტი—რომ დაიწყება საყოველთაო სახალხო აჯანყება ან და წითელი ტერორით დაშინებული მეფის მთავრობა წავიდოდა დათმობებზე—არ გამართლდა. თვით „ნაროდნაია ვოლია“ კი ძლიერ შეასუსტა ამ ფაქტმა. მის რიგებს გამოაკლდენ პარტიის სულის ჩამდგმელები, საქმის თავი და გული —ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი და სხვ., ბევრმა ციხე-კატორღაში დალია სული. პარტია თითქმის განადგურებულ იქნა. შავი ტერორის ტალღა მოედვა მთელ რუსეთს.

თვითმპყრობელობა თითქმის გამარჯვებას ზეიმობდა.

სწორედ ამ დროს პეტერბურგის სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ალექსანდრე ულიანოვი (ნ. ლენინის ძმა) შეეცადა კვლავ ამაღლებინა „ნაროდნაია ვოლიას“ ძირს დახრილი დროშა.

მაგრამ ეს ჯგუფი უკვე არ იყო ის, რაც ძველი „ნ. ვ.“ ის თუმცა აღიარებდა წითელი ტერორის საჭიროებას, მაგრამ ცალი ფეხით უკვე მარქსიზმის ნიადაგზე იდგა.

ამაში ნათლად ვრწმუნდებით ჩვენ ალექსანდრე ულიანოვის მიერ შედგენილ პროგრამის გაცნობიდან:

„მთავარ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენენ მუშები—სოციალისტური იდეების ბუნებრივი მატარებლები და ამ იდეების გამტარებლები გლეხობაში. ამის გამო, მუშებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში“.

ალექსანდრე ულიანოვი გრძნობდა, თუ რაოდენ დიდ როლს ითამაშებს რევოლიუციონურ გადატრიალებაში რუხ ფარაჯაში შემოსილი გლეხობის მასა. ამის საბუთიც მოიპოვება მის მიერ შედგენილ პროგრამაში:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მთავრობა, მემამულეები, სამღვდელოება, ბიუროკრატია და ახლად წარმოშობილი ბურჟუაზია, თავისთავად არ არიან ძლიერი, არამედ ხიშტების საშუალებით ბატონობენ, საჭიროდ მიგვაჩნია რევოლიუციონური გავლენის სფეროში მოვაქციოთ არმია, რომელიც არსებითად წარმოადგენს შეიარაღებული ხალხის მასას. საჭიროა მისი თოფები მოვაბრუნოთ ხალხის საუკუნოებრივი მჩაგვრელების წინააღმდეგ“.

ამრიგად, „ნაროდნაია ვოლია“-ს ახალი ფრაქცია მსოფლმხედველობის მხრივ უკვე თითქმის ახალ პოზიციებზე იდგა, მაგრამ მან უცვლელად მიიღო „ნაროდნაია ვოლიას“ პროგრამის ერთი მუხლი—წითელი ტერორის საჭიროება პოლიტიკურ თავისუფლებათა მოსაპოვებლად. წითელი ტერორის საჭიროებას ასე ასაბუთებდა ფრაქციის იდეური ხელმძღვანელი ა. ულიანოვი ჯერ მის მიერ დაწერილ პროგრამაში და შემდეგ სასამართლოში, მეფის ჯალათების წინაშე:

„კლასობრივი თვითშეგნების გამომუშავებას ხელს უშლის პოლიტიკურ თავისუფლებათა მინიმუმის უქონლობა.

მთავარი ძალები პარტიამ უნდა მოახმაროს მუშათა კლასის აღზრდას და ორგანიზაციას, მის მომზადებას იმ საზოგადოებრივი როლისათვის, რომელიც მას ეკისრება. მაგრამ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმის პირობებში თითქმის შეუძლებელია ამ ამოცანის შესრულება“.

„რევოლიუციონერებთან ბრძოლაში,—ნათქვამია შემდეგ პროგრამაში,—მთავრობა დაშინების უკიდურეს ზომებს მიმართავს. ამიტომ ინტელიგენციაც იძულებულია მიმართოს თვით მთავრობის მიერ ნაჩვენებ ბრძოლის მეთოდს, ე. ი. ტერორს. ტერორი ამრიგად არის მთავრობის შეჯახება ინტელიგენციასთან, რომელსაც ერთმევა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მშვიდობიანი კულტურული ზეგავლენის მოხდენის საშუალება“.

ამრიგად ახალი ფრაქციის ამოცანას, მისი იდეური სულის ჩამდგმელების აზრით წარმოადგენდა პოლიტიკურ თავისუფლებათა მოპოვება ტერორის საშუალებით, „საზოგადოებრივ ცხოვრებაზე კულტურული ზეგავლენის მოხდენის საშუალების“ მოპოვება „მუშათა კლასის აღსაზრდელათ და მოსამზადებლათ იმ როლისათვის, რომელიც მას ეკისრება“ „მთელი ეკონომიური განვითარების ბუნებრივი მიმდინარეობით“.

* * *

ფრაქცია, რომლის თვალსაჩინო მუშაკები გარდა ალ. ულიანოვისა იყვნენ: პახომ ანდრეუშკინი, ვასილ ოსიპანოვი, ვასილ გენერალოვი, პეტრე შევირევი და სხ., ენერგიულათ შეუდგა მზადებას თავისი პირველი ამოცანის შესასრულებლად, მზადებას ტერორისათვის. ამ ტერორის პირველი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო რუსეთის თვითმპყრობელობის, მთელი მაშინდელი უკულმართი ცხოვრების განსახიერება—მეფე ალექსანდრე მესამე, რომლის დროს პოლიციის ტერორმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და რუსეთის კიდით-კიდემდე კვნესა-გმინვა ისმოდა.

როლები განაწილებულ იქნა ფრაქციის ხელმძღვანელებს შორის: შევირევს უნდა მოეწყო ცალკე მებრძოლი ჯგუფები, სტუდენტ ლუკაშევიჩს კი, რომელიც კარგათ იცნობდა ქიმიას, უნდა მოემზადებია ბომბები. ლუკაშევიჩმა მეტად მოხერხებულათ გადასჭრა ამოცანა: მან ბომბა გააკეთა სქელ წიგნში, რომელშიც ამოხვრა ფურცელი ისე, რომ კიდეები დასტოვა. ამ ბომბის დაჭერა თავისუფლად შეიძლებოდა ხელში, ეჭვი არავის შეებარებოდა, რომ იგი ასაფეთქებელი ნივთიერებითაა სავსე. საჭირო იყო ორი ასეთი ბომბის დამზადება. მაგრამ დინამიტი დააკლდათ. ამ დროს ლუკაშევიჩმა შენიშნა, რომ მას თვალყურს ადევნებენ და ბომბების დამზადება მიხ. ნოვორუსსკის დახმარებით გადაიტანეს მ. ანანინას ბინაზე, სადაც ეს საქმე უნდა განეგრძო ალ. ულიანოვს, რომელიც, პოლიციისათვის თვალის ასახვევად, ვითომდა ბავშის რეპეტიტორათ მიიწვიეს ანანინას ოჯახში.

1887 წ. თებერვალში შევირევი ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქნა დაეტოვებია პეტერბურგი და თავდასხმის მოწყობის მთელი სიმძიმე დააწვა ალ. ულიანოვს, რომელიც ხელმძღვანელობდა პირველ მებრძოლ ჯგუფს (სამი თავდამსხმელი: გენერალოვი, ანდრეუშკინი, ოსიპანოვი და ორი „სიგნალშიკი“: კანჩერი და გარკუნი). მასვე ჰქონდა დავალებული ტერ[illegible] წყობილება და მოქმედება და გააცნო თავდასხმის გეგმა.



ალ. ულიანოვი



ზევით [illegible]—დ. გენერალოვი, [illegible]—პ. შევირევი, შუაში—ვ. ოსიპანოვი, ქვევით — პ. ანდრეუშკინი.

თავდასხმა დანიშნული იყო პირველი მარტისათვის, როცა ალექსანდრე მესამეს ნევის პროსპექტით უნდა გაევლო პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში, სადაც უნდა გამართულიყო პანაშვიდი ალექსანდრე მეორეზე.

მაგრამ პოლიციის განკარგულებაში უკვე იყო ცნობები ჯგუფის მზადების შესახებ და როცა გენერალოვი, კანჩერი, ანდრეუშკინი, გარკუნი და ოსიპანოვი პირველ მარტს დადიოდენ ქუჩაზე მრავალრიცხოვან ხალხში, ისინი დააპატიმრა პოლიციამ.

მთავრობამ მოაწყო გასამართლების კომედია. განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა ალექსანდრე მესამეს. სასამართლოში ყველა ბრალდებულებს მხნედ ეჭირათ თავი. თავისი სიმტკიცით და სიმხნევით მეფის მსაჯულების ყურადღებაც კი მიიპყრო ალ. ულიანოვმა, რომელმაც სასამართლოში წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა, გაამართლა ტერორის საჭიროება და ბრალდების მეტი ნაწილი მიიღო თავის თავზე, რითაც სიკვდილიდან იხსნა ლუკაშევიჩი, რომელიც მასთან ერთად გვერდი-გვერდ მუშაობდა.

სასამართლომ ყველა ბრალდებულებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ალექსანდრემ განაჩენი დაამტკიცა მხოლოდ ხუთის—ულიანოვის, ანდრეუშკინის, გენერალოვის, შევირევის და ოსიპანოვის მიმართ. ლუკაშევიჩსა და ნოვორუსსკის სიკვდილის განაჩენი შეუცვალა უვადო კატორღათ, გარკუნსა და კანჩერს კი, რომლებმაც სულმდაბლობა გამოიჩინეს და ყველაფერი სთქვეს სასამართლოში—10 წლის ციხე.

ვინაიდან შლისელბურგის ციხეში, სადაც ბრალდებულები იხსდენ, მოუხერხებელი იყო ხუთივეს ერთად ჩამოღრჩობა, ამიტომ ჯერ ჩამოაღრჩვეს სამი: გენერალოვი, ანდრეუშკინი და ოსიპანოვი, რომლებიც სადრჩობელაზე ავიდენ ყიჟინით: „გაუმარჯოს „ნაროდნაია ვოლიას“, მეორე რიგში კი—ულიანოვი და შევირევი. ეს იყო 1887 წ. 20 მაისს (ძველი სტილით 8 მაისს), დილის 8 ნახ. საათზე.

იმავე დღეს მაშინდელ პეტერბურგის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა ი. გ. შჩეგლოვიტოვმა, რომლის ზედამხედველობით მოიყვანეს სისრულეში სიკვდილის განაჩენი, შემდეგში ნიკოლოზ მეორეს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც ცნობილი იყო „ვანკა-კაინის“ სახელწოდებით, აცნობა მეფეს:

„როცა დილის 3 ნახ. საათზე ბრალდებულებს აცნობეს, რომ ჩქარა სისრულეში იქნება მოყვანილი მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი, მათ შეინარჩუნეს სრული სიმშვიდე და აღსარებას და ზიარების მიღებაზე უარი განაცხადეს“.

* * *

მეტად საინტერესოა თუ რა გავლენა მოახდინა ცნობამ შეთქმულების აღმოჩენის შესახებ ალექსანდრე მესამეზე.

მამის მოკვლის შემდეგ, ის ისე იყო დამფრთხალი, რომ სასახლეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში სტოვებდა. მეფის კარისკაცები განსაკუთრებით ჟანდარმები და პოლიციელები კიდევ უფრო აძლიერებენ ამ შიშს რომ რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეპოვებიათ და თავისუფლათ ეხრათ სახალხო ქონება. თავდასხმის შიშით ალექსანდრე მესამე პეტერბურგს არ ეკარებოდა და გატჩინის სასახლეში იმალებოდა. სასახლის გარშემო შორ მანძილზე გაფანტული იყო ჯარების მრავალრიცხოვანი საგუშა[illegible] ბრძანება ჰქონდათ კო[illegible] ნებართვის გარეშე არც სასახლეში შეეშვათ და არც იქიდან გამოეშვათ ერთი ცოცხალი არსება. განსაკუთრებული რაზმები იდგნენ საგუშაგოებზე აგრეთვე სარდაფებში, სახურავებზე, მეფის ოთახის კარებთან. განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული, რომ მეფე არ მოეწამლათ. სურსათს ყოველ დღე ახალ-ახალ ადგილზე იძენდენ ისე კი, რომ გამყიდველს არ სცოდნოდა, თუ ვისთვის იყო დანიშნული პროდუქტები. მოწვეული იყო მზარეულების დიდი შტატი. არც ერთმა მზარეულმა არ იცოდა თუ ვის მოუწევდა რომელიმე დღეს სადილის გაკეთება მეფისათვის. და როცა რომელიმე მათგანს მოულოდნელათ დაავალებდენ სადილის მომზადებას, მათ თან მისვლა აღარავის შეეძლო. სამზარეულოში თვალყურის სადევნებლად მუდმივათ უნდა ემორიგევებია მეფის ოჯახის რომელიმე წევრს. ალექსანდრე მესამე ისე არაფერს ჩაიდებდა პირში, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ სხვები უშიშრად სჭამენ.

თავისთავად ნათელია, თუ როგორ დააფრთხობდა ასეთ მუდმივ შიშში მყოფ ალექსანდრე მესამეს მორიგი ტერორისტული ორგანიზაციის აღმოჩენა. და როცა მას გადასცეს მოხსენება თავდასხმის მზადების შესახებ, მან ამ მოხსენებაზე წააწერა:

„ახლა კი გვიხსნა ღმერთმა, მაგრამ დიდი ხნით“?

დაპატიმრებულებისა და მათი „გასამართლებისადმი“ ალექსანდრე მესამე არაჩვეულებრივ ინტერესს იჩენს. იგი დეტალურად გაეცნო ალ. ულიანოვის მიერ შედგენილ პროგრამას და ასეთია „რეზოლიუცია“ გაუკეთა (მოგვყავს რუსულათ, რადგან რეზოლიუცია ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ცოდნის კაცი იყო რუსეთის თვითმპყრობელი):

«Эта записка даже не сумашедшего, а чистого идеота».

საერთოდ ალექსანდრე მესამეს ძლიერ უყვარდა რეზოლიუციების წერა. გამოთქმები ჰქონდა ლაკონიური,არ უყვარდა მრავალსიტყვაობა. მოხსენებას ბრალდებულ გენერალოვის დაკითხვის შესახებ დააწერა: „Подлец!“.

ბრალდებულმა მ. ანანინამ, (პასპორტით გლეხის წოდებას ეკუთვნოდა), რომლის ბინაზე დასრულებულ იქნა ბომბების მზადება, დაკითხვის დროს, სხვათა შორის, განაცხადა: „მე ვცდილობდი, რომ შვილი გიმნაზიისათვის მომემზადებია“.

ალექსანდრე მესამემ სიტყვა გიმნაზიის ქვეშ ხაზი გაუსვა და დააწერა:

«Это-то и ужасно. Мужик, а тоже лезет в гимназию».

ბრალდებულთა მიმართ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ ალექსანდრე მესამემ ოდნავ თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ვერ მოიცილა მუდმივი შიში.

* * *

ისტორიამ სინამდვილედ აქცია „გიჟის ბოდვა“. 30 წლის შემდეგ რუსეთის პროლეტარიატმა ნ. ლენინის—ჩამოღრჩობილ ალ. ულიანოვის ძმის ხელმძღვანელობით სამუდამოთ გაანთავისუფლა თვითმპყრობელობის მონობისგან ძველი რუსეთის იმპერიის—ახლა საბჭოთა დიდი კავშირის მშრომელი მასები, რომლებიც ამჟამად ენერგიულად ახორციელებენ თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოცნებას—სოციალიზმის მშენებლობას და ამით უკვდავ ძეგლს უგებენ მათ.

ნ. ბ—ლი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

განძეულის პოვნა

ქუთაისი, 14 მაისი. სოფელ ჯუმათში გლეხმა ვლადიმერ რუსიძემ არხის გათხრის დროს, ერთი მეტრის სიღრმეზე იპოვა დოქი, რომელშიაც აღმოჩნდა 17 ბერძნული ვერცხლის ფული („კოლხიდები“), რომელიც ხმარებაში იყო დასავლეთ საქართველოში ქრისტეს დაბადებამდე. ნაპოვნი ფულები გადაეცა ქუთაისის მუზეუმს (ადს).

ახალი ხიდი

ქუთაისი, 19 მაისი. შედგენილია პროექტი ჩამოკიდებული ხიდისა მდინარე ცხენის წყალზე, რომელიც შეაერთებს გზატკეცილებს ცხუნკურის და გორდის თემებს შორის. ხიდი აიგება ამ ორი თემის გლეხთა თვითდაბეგვრის ხარჯზე. ხიდი დაჯდება 12 ათასი მანეთი (ადს).

ტრაქტორი სოფლად

ქუთაისი, 19 მაისი. კუხის თემის გლეხობამ საკუთარი თანხით შეიძინა ფორძონის ტრაქტორი. გლეხთა კრებამ დააწესა ტრაქტორის სარგებლობის რიგი. ტრაქტორის პირველმა გამოცდამ კარგი შედეგები გამოიღო (ადს).

საზაფხულო იალაღებზე

თელავი, 18 მაისი. თუშების ცხვარი დაიძრა საზაფხულო იალაღებისაკენ.

მომღერალთა გუნდების კონკურსი

ქუთაისი, 19 მაისი. დამთავრდა სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების კონკურსი. პირველი ჯილდო გაინაწილეს თარხნიშვილის და ერქომაიშვილის გუნდებმა. მეორე ჯილდო გაინაწილეს მაღრაძის და აბაშიძის გუნდებმა, მესამე ჯილდო მიიღო კოკელაძის გუნდმა და მეოთხე სიმონეიშვილის გუნდმა (ადს).

ახალი შვიდწლედი

ახალსენაკი, 19 მაისი. სოფ. ნახუნოვოში გლეხთა თვით დაბეგვრის საშუალებით შეგროვილი თანხით აგებული იქნება შვიდწლედის შენობა (ადს).

შინამრეწველობის გამოკვლევა

ახალსენაკი, 19 მაისი. სამაზრო აღმასკომმა შეუდგა შინამრეწველობის გამოკვლევას. გამოკვლეულ იქნა ის მეურნეობანი, რომელნიც ამზადებენ აგურს, კრამიტს, კირს, კალათებს და სხვ.. გამოკვლევის შემდეგ შეუდგებიან შინამრეწველობის გაერთიანებას მაზრის მასშტაბით (ადს).

გემის შეკეთება

ფოთი, 19 მაისი. ფოთის ნავთსადგურში დამთავრდა გემ „წითელი ბათომის“ კაპიტალური რემონტი (ადს).

პროფსკოლა

ოზურგეთი, 19 მაისი. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, პროფსკოლების არსებული ქსელი გურიაში გადიდებულ იქნა 6-დან 13-მდე. გარდა ამისა, თვით გლეხობის ხარჯით დაარსებულ იქნა სამი პროფსკოლა.

ქალის მოტაცება

ოზურგეთი, 19 მაისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ განიხილა პალიკო ჰინჯლაძის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ეკატერინე გუგუნავას მოტაცება. საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვიდა ალექსანდრა ართილაყვა. სასამართლომ ჰინჯლაძეს მიუსაჯა სამი წლის ციხე, მის ექვს თანამონაწილეს კი თითო წელი, წინასწარი დაპატიმრების ვადის ჩათვლით (ადს).

კალია

თელავი, 18 მაისი. სიღნაღის მაზრაში გაჩნდა კალია, რომელიც 10.000 დესეტინის სივრცეზეა მოდებული. კალიასთან საბრძოლველად ჩამოვიდნენ მიწათმოქმედების კომისარიატიდან გამოგზავნილი სპეციალისტები.

სამხრეთ-ოსეთი

პიონერთა გაზეთი

ცხინვალი, 18 მაისი. გამოვიდა სამხრეთ-ოსეთის პიონერთა ორგანიზაციების ბიუროს ორგანოს პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის ოსურ ენაზე, კვირაში ერთხელ (ადს).

წერილები

სურებ-ჩოხატაურის შარა-გზა

(სურები)

სურების რაიონში შედის სამი მოზრდილი თემი, რომელთაგან უფროსია სივრცით და ზემოთავსურების თემია, რომელსაც ათი თუ ხუთმეტი ვერსის მანძილზე აკრავს მდიდარი და უზარმაზარი „სანისლია“-სა და „შუაგორა“-ს ტყეები, განსაკუთრებით მდიდარი ნაძვისა, სოჭისა და ფიჭვის ხე-ტყით.

უზარმაზარ ტყეების შემდეგ იწყება საზალხო მთები, შესანიშნავია „შუა-გორა“-ს მთა, რომელიც ხუთი წელია აგარაკი გამხდარა, რითაც ზაფხულობით უამრავ მოაგარაკეთ იტევს. გარდა ასეთი ბუნებრივი სიმდიდრისა, სურები აგრეთვე მდიდარია მადნებით. აქ განსაკუთრებით შესანიშნავა უკვე აღმოჩენილი წითელი მიწის „სინგური“-ს დიდი გორა და შუა-სურების თემში ოქრო-ვერცხლსა და თუჯ ნარევი მადანი (შემოწმებულია). 1906—7 წლებში ეს საკმაოდ შემჩნეული იყო მაშინდელი მთავრობისაგან, რომელმაც ხსენებული სიმდიდრენი სამიცი წლის ვადით იჯარით გადასცა ინგლის. კაპიტალისტს ვილიკ „ელიოტს“, რომელმაც მდ. სუფსა მთელი ხუთმეტი ვერსის მანძილზე გასწმინდა დიდრონი ქვებისაგან და დაამზადა მდინარით გასატანად რამოდენიმე ხე-ტყე. მოთხარა და აღმოაჩინა ხსენებული მადნები, მაგრამ უგზოობის გამო ყველა ესენი მისთვისაც მოუხმარელი შეიქნა. სავარგის და მოსახმარ გზის გაყვანას მან მაშინ სხვადასხვა მიზეზებისა გამო შეუძლებლად სცნო და მაინც იმავე წელს დაანება თავი მუშაობას. მას შემდეგ დღემდი ხსენებული გზა უპატრონოდ მივიწყებული დარჩა. გასაბჭოების შემდეგ რამოდენიმეჯერ წამოიჭრა ეს საკითხი ადგილობრივ თემსაბჭოს წინაშე, დღეს ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა და ფართედ დაისვა ადგილობრივ საზოგადოებისა და თემსაბჭოს წინაშე, რომელმაც ხელისუფლების წყალობით საფუძველი ჩაუყარა გზის გაკეთებას.

ამჟამად მთელი ოთხივე თემებიდან გამოყოფილია საგზაო კომიტეტი და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

დღე არ გაივლის რომ ამ გზაზე ოთხას-ხუთასი მუშა ხელი არ შრომობდეს. ადგილობრივ გლეხობისგან ხშირად გაიგონებთ:

„სულ, რომ საცხოვრებელი დავხარჯო ჩემს ხვედრ გზას მაინც გავაკეთებო“.

ამირ-ბარი.

ტყე ნადგურდება

(შორაპნის მაზრა)

შორაპნის მაზრა მდიდარი იყო ტყით. თვალუწვდენელი ტყეები იფარავდა მცხოვრებთ ძლიერი ქარებისავან და ნიაღვრებისაგან. უკანასკნელის მიერ დიდი ზარალი ადგა გლეხობას ხე-ტყის გაჩეხვით. ისეც ძალზე მწირი ნიადაგი ძალზე ჩამორეცხა, გაიფხიკა და დარჩა ისეთი მიწის ფენა, რაზედაც მოსავლის მოყვანა შეუძლებელია. ყველაზე მეტ ზარალს ტყეების გაჩეხვა აყენებს ქიათურის რკინის გზის ლიანდაგს, რომელსაც დასჩერებია დილიკაურის და ულევის თვალუწვდენელი სერები. ეს მაღალი სერები დაფარული იყო ხშირი ტყით, რომელიც იფარავდა ზემო თქმულ რკინის გზის ლიანდაგს დიდი ზავლებისაგან. ხე-ტყის გაჩეხვით ძლიერ გაზშირდა და უზომო ზარალს აძლევს სახელმწიფოს მის შეკეთებაზე გაწეული ხარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები ნახევარზე მეტი გაჩეხილია. მართალია ასეთი ტყეების დამცველი და ბატონ-პატრონი თემ-აღმასკომები იყვნენ, მაგრამ ისინი, როგორც დატვირთული მრავალ საქმეებით და პატარა შტატის მქონე დაწესებულებანი ვერ ცდებოდნენ და საჭირო თვალ-ყურს ვერ ადევნებდნენ. ყოველივე მოხსენებული მიზეზების გამო ტყეები თითქმის განადგურების გზას დაადგა. დასამატებელია ის უტყუარი გარემოება, რომ ტყის ქურდობაში დახელოვნებული ბაცაცები აღარ ინდობენ მოზარდ ტყეს „ლიელნარს“, რითაც საბოლოო განადგურება მოელის ტყეს თუ ხელისუფლებამ ტყის მოშენება არ დაიჩქარა.

ამბროსი სულაძე.

ჩვენებური „ქვაჩი“...

(ცაიშის თემი ზუგ. მაზრა)

ადგილობრივი მოვაჭრე ივანე კუკავას ცაიშელი გლეხები მეტ სახელად „ნება-დართულ ყაჩაღ“-ს ეძახიან.

როდესაც მოეპრიანება ამ ვაჟბატონს, აიღებს თავის დაკონკილ დავთარს და შეთხზული პირებით აავსებს; თითქოს მათ მართებდეთ ფული. დუქნიდან ნისიად წაღებულ საქონელზე—იმ დროს; როდესაც დავთარში აღნიშნულ პირებს, მართალია ადგილობრივნი არიან—მაგრამ ჩარჩ კუკავას დუქნიდან კაპეიკის საღირალი რამ არ წაუღიათ.

თუ კი დავთარში აღნიშნულ პირთაგანმა უარი განაცხადა „მოგონილი ვალი“-ს გადახდაზე —„ბებუთი და მისი ჯანი“... აქი ჩვენს ივანე ჩარჩს ასეთებში პრიზი აქვს აღებული?..

„მართალია ამის შემდეგ—როგორც თვითონ იტყვის—დამაპატიმრებენ, ხეირს არ დამაყრიან, მაგრამ გული მაინც მოჯერებული მექნება“—ო.

აბა თუ კაცი ხარ ნუ გადაუხდი?.. ვინ იცის ეგებ, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე „თავ მობეზრებულმა კაცმა“—კუპრივით ბნელ ღამეში—სადმე თავი წაგაგდებინა. და მართლადაც ყაჩაღმა ასეთი ოინები, არა ერთსა და ორ მოქალაქეს დამართა.

როდესაც ცაიშელმა გლეხებმა გაუგეს ჩარჩ ივანეს გაიძვერობა, ყველამ ზურგი შეაქცია მას. არავინ არაფერს არ ენდობოდა, დაეკარგა ივანე ჩარჩს გლეხობის თვალში ნდობა; მაგრამ გამოცდილმა ჩარჩმა აქაც იპოვა მდგომარეობიდან გამოსავალი გზა...

ზემო-სამეგრელო, „ლაკადა“ განთქმულია ღვინის მოსავლით; და აი, გამოცდილმა ჩარჩმაც აქეთ მიაშურა. ვაჟბატონი კუკავა ასაღებს რა იქ თავს „გელდი-კუპეც“-ად, ართმევს გლეხობას ნისიად ღვინოს და სხვ. საქონელს, რომელიც ჩამოაქვს მას თავის „სარეზიდენციო“ სოფელში. კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ესტუმრება მას საქონლის პატრონი—ყველასათვის ცნობილი ივანე ჩარჩი—უცნობ სტუმრად იქცევა: „ვინა ხართ?.. საიდან ჩამოსულხართ?... მე თქვენი რა მმართებს?“...—აი, რა სიტყვებით უმასპინძლდება ჩარჩი ივანე საქონლის პატრონს.

ამის შემდეგ იმართება მუშტი-კრივი, რომელიც რასაკვირველია, ჩარ-ივანეს სასარგებლოდ წყდება.

მოტყუებული, გალანძღული და დაზარალებული საქონლის პატრონი—გლეხი, გულ-დაწყვეტილი უკანვე ბრუნდება. ამას წინედ აღნიშნულ ჩარჩს დუქანი დაულუქეს; დალუქვის მეორე დღესვე მან ლუქი ბოქლომს აალაცლა და დღესაც არხეინად იმყოფება თავის დუქანში... ჯერ მისი მომრევი არავინ აღმოჩენილა.

ნუ თუ ამ ჩარჩის თავ-აშვებულ თარეშს ჩვენს თემში ბოლო არ მოეღება?..

„ტოხი“.

გლეხკორის კალამმა გასჭრა

(სოფ. ონჭევი, რაჭა)

გაზეთ „კომუნისტში“ ბევრჯელ იყო მოთავსებული იმის შესახებ, რომ სოფ. ონჭევში სწარმოებს მიწით სპეკულიაცია. მართლაც ბევრგან ხდებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა. უმთავრესად ნესტორა და ერმილე შერაზადიშვილები ამ საქმეს ეწევიან რომლებიც სასამართლოს ბევრჯერ გადასცეს, მაგრამ ცრუ მოწმეების საშუალებით მართლდებოდნენ. ამით უფრო გათამამდენ მაგრამ ბოლოს ყველაფერი გამოარკვია ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

ცრუ მოწმეებსაც და მყიდველებსაც ყველას ხელი მოკიდა მთავრობამ. ხუთი კაცია დაპატიმრებული.

გლეხებს სურთ ტრაქტორის შეძენა

(სოფ. კარდენახი, სიღ. მაზრა)

საჭიროა სამეურნეო იარაღები.

ამ სოფელში გლეხობა უმთავრესად მისდევს მევენახეობას და ნაწილობრივ ხვნა-თესვასაც. დღემდის მიწების დამუშავება ხდება ძველი იარაღებით. გლეხობას უნდა, რომ შეიძინოს ტრაქტორი, სათიბი მანქანა და სხვა საჭირო იარაღები, მაგრამ არ სჩანან მეთაურები, რომ ამ განზრახვას შესხან ხორცი. იყო 1926 წელში შედგენილი ტრაქტორთა გამომწერლების სია, მაგრამ ისევე სიათ დარჩა და ვერ გამოიწერეს ტრაქტორი. გლეხობის ასეთ მოთხოვნილებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ადგილობრივ საბჭოდან, ასევე მაზრიდანაც.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტ“-ის მუშკორთა საყურადღებოდ

კვირას, დილის 8 საათზე, „კომუნისტი“-ს მუშკორები უნდა შეიკრიბონ რედაქციის ბინაზე, საიდანაც გაემგზავრებიან ომის იმიტაციაზე დასასწრებლად

ერთი საყურადღებო მოვლენის შესახებ.

გაზ. „ტრუდის“ 13 მაისის ნომერში მოთავსებული იყო ერთი წერილი სათაურით „პროფმუშაკები... თუ ლაქიები“. ამ წერილში მოთხრობილი იყო, თუ როგორ აცდა ერთ ერთი ქარხკომი თავის გზას, მოყვა ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ. ადმინისტრაციის მიერ კოლექტიურ ხელშეკრულების და შრომის კანონის დარღვევის და სხვა მახინაციებს მუშების წინააღმდეგ მიმართულს სრული სიჩუმით ხვდებოდა, ყველაფერში ადმინისტრაციის მონა-მორჩილი იყო და სხვა. „არც იმით გაფუჭდებოდა საქმე, სულ რომ არ გვყავდეს ქარხკომიო“—გაიძახოდნენ მუშები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მდგომარეობას სხვაგანაც აქვს ადგილი. ფაბრკომი, ქარხკომი, ადგილკომი ხშირად კარგავს თავის სახეს, ავიწყდება თავისი დანიშნულება და მოვალეობა, ადმინისტრაციის დამატებათ იქცევა. მუშას მაგალითად, ხელფასის მიღება უგვიანდება, წარმოებას აქვს იმის საშუალება, რომ მუშას დროზე მისცეს ხელფასი—ქარხკომი ყურს არ იბერტყავს, რადგან არ უნდა ადმინისტრაციას აწყენოს. კოლხელშეკრულების ძალით მუშებს სპეცტანისამოსი ერგებათ— ქარხკომი გაჩუმებულია, მუშების კანონიერ მოთხოვნილებას ყურს არ უგდებს, რადგან არ უნდა ადმინისტრაციის გარდაუვალი ჩაიდინოს, ამით აიხსნება, რომ ზოგ წარმოებასა და დაწესებულებაში ფაბქარხკომი, თუ ადგილკომი მუშა-მოსამსახურეებში ავტორიტეტისა და გავლენით არ სარგებლობენ.

ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანომ ადრევე მიაქცია ყურადღება ამ მდგომარეობას. მთელი რიგი ზომები მიიღო პროფორგანოების ამ უმთავრეს ნაკლულევანების გამოსასწორებლად, და ამნაირად პროფორგანოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და გასაჯანსაღებლად. ამით უსათუოდ შეუწყო ხელი პროფორგანოების სწორ გზაზე დაყენებას, მათი მასებთან დაახლოვებას. მაგრამ ამ მხრით კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. ზოგიერთი პროფორგანიზაცია კიდევ ვერ დგას თავის სიმაღლეზე. არ ექცევა ყურადღება კოლხელშეკრულების გატარებას, შრომის პირობების დაცვას და სხვ. საჭიროა, რომ ამ საქმეში პარტიას გვერდში ამოუდგენ მუშათა ფართო მასები. ასეთი ადგილკომების „საქმიანობა“ უნდა გამოაშკარავონ. გადარჩევის დროს ასეთი გაადმინისტრატორებულ ადგილკომების მუშაობა კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გაატარონ, უნდა გამოაშკარავებულ იქნას საერთო კრებაზე მუშათა მასების წინაშე მთელი მათი ნამოქმედარი.

დღეს რადგაც საერთო წესად გადაიქცა, რომ ყოველი ქარხკომის, ადგილკომის მუშაობა უსათუოდ დამაკმაყოფილებლად ვიცნოთ, არის ამის ღირსი ის, თუ არ არის. ეს არ არის მიზანშეწონილი. ვისაც არაფერი გაუკეთებია—მისი მუშაობა უარყოფითად უნდა შევაფასოთ. ამით შეუწყობთ ხელს დაბალ პროფორგანოებიდან არა სასურველ ელემენტების ჩამოშორებას, და ამნაირად მათი მუშაობის გაჯანსაღებას, გაცხოველებას და მათი გავლენის ზრდას მუშათა მასებში.

სპეკულიანტები ნადის წინააღმდეგ

(ქ. თბილისი)

მიმდინარე წლის 23 თებერვლიდან თბილისში და მის მაზრაში მუშაობს სარეწაო კოოპერატიული ნადი „კირ-გაჯ-ქიმ-მრეწველობა“, რომელიც ამზადებს და დიდ შეღავათიან პირობებში აწვდის გაჯს და კირს სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულება-ორგანიზაციებს.

ნადი აერთიანებს 78 წევრს, სოფლის ღარიბ გლეხობასა და ქალაქის უმუშევარ მუშებს. ნადი დაქირავებული შრომით არ სარგებლობს, ყოველგვარ მუშაობას აწარმოებს ნადის წევრები.

კოოპსარეწნადის დაარსებამდის ფუთი გაჯი თბილისში ფასობდა 20-25 კაპ., მაგრამ ნადმა დაიწყო რა მუშაობა, ფასები გაჯზე გამოაცხადა კონკურენციის გარეშე და, ამის მეოხებით გაჯის ფასი დასცა ბაზარზე 18 კაპიკამდე. თვით ნადმა კი დასწია ფასები 51 პროცენტით.

რასაკვირველია კოოპნადის სამუშაო ასპარეზზე გამოსვლამ ჩარჩ-ვაჭრებში ერთი აურ-ზაური გამოიწვია. განსაკუთრებით მოუსვენრობას იჩენს ძველი სპეკულიანტი მოქ. ტიგრანა ტევოსიანცი, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება, რომ სარეწკოოპნადს საზოგადოებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების თვალში სახელი გაუტეხოს. ეს ვაჟბატონი ავრცელებს პროვოკაციულ ხმებს, ვითომც გაჯის წარმოების მონოპოლია მათ ხელშია, ვითომც კოოპნადი გაიდევნა სარეწაო ადგილებიდან, ვითომც ნადს არ ძალუძს შეასრულოს შეკვეთები ფაბრიკატზე და სხვ...

ჩარჩებისა და სპეკულიანტების ამგვარ პროვოკაციას ბოლო უნდა მოეღოს და ერთხელ და სამუდამოთ ასეთები აღმოფხვრილი იქნენ. ალბათ სათანადო ორგანიზაციები იზრუნებენ ამაზე.

ხანჩერელი.

ჩვენი სასადილო

ბევრი შრომის და მეცადინეობის შემდეგ მეორე სახელმწიფო თუთუნის ქარხანა „პროლეტარ“-ში მოეწყო მშვენიერი სასადილო სცენით. აქვე მოწყობილია წითელი კუთხე, სამკითხველო, რადიო აპარატი, გამოფენილია კედლის გაზეთი და მუშაობს დრამწრე. არსებობს აგრეთვე საშეფო, „ავიოქიმის“ „რემდდასის“ და სხვა საზოგადოება. სამკითხველოს დაარსებამ გააძლიერა მუშებში ინტერესი წიგნებისა და გაზეთებისადმი. სასადილოს სცენაზე ხშირად იდგმება ქართულ-სომხურ-რუსული წარმოდგენები ადგილობრივ მუშებისაგან შემდგარი დასის მიერ.

ხშირად არის აგრეთვე კინო-ლექციები და ცოცხალი გაზეთი, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები. 12 მაისს ადგილობრივ კულტკომისიის ხელმძღვანელობით მოეწყო აღმოსავლეთ აზიური საღამო, სადაც მონაწილეობას იღებენ აღმოსავლეთის მოცეკვავეთა სტუდიის მოწაფეები. იყო აგრეთვე მუშფაკელების მომღერალთა გუნდიც. ამ საღამომ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მუშებზე.

სასადილოს დარბაზი, სადაც ოთხასზე მეტი ადამიანი მოთავსდება სავსე იყო მუშა-მოსამსახურეებით და მათი ცოლ-შვილით. იყვნენ აგრეთვე გარეშე პირნიც. იმედია ასეთ საღამოებს უფრო ხშირად მოაწყობს ხსენებული კომისია.

ა. ბაჯიაშვილი.

რა გავაკეთეთ და რა ნაკლი გვაქვს

წარსული წლის ზაფხულში ა.-კ. რკ. გზების მუშების საშეფო საზოგადოებამ თავის შეფობის ქვეშ აიყვანა ქვიშხეთის თემის სოფლები ჩაშისკარი, სარმანის სკოლის კარი და სათიბე. კულტსექციამ გახსნა ამ სოფლებში ქოხ-სამკითხველოები, სადაც საღამოობით სწარმოებს ხმამაღალი კითხვა. რეგულიარულად იგზავნება ლიტერატურა მუშა ქალთათვის გამოწერილია ჟურნალი „მშრომელი ქალი“.

შეფებმა უკვე მოწყობილ სამანქანო ამხანაგობაში თავის თავზე იდო საპაიო და საწევრო გადასახადის შეტანა ოთხი ღარიბი გლეხის მაგიერ. სოფლებისათვის შეძენილი იქნება ამ დღეებში ტრაქტორი. სოფლებთან არსებობს წერილობითი კავშირი.

ამჟამად ჩვენ საშეფო საზოგადოებაში ითვლება 700 წევრი, ამათგან 75 ე. ი. 10 პროცენტი პარტიული და კომკავშირელია. ეს ფრიად უმნიშვნელო პროცენტია.

საშეფო მუშაობის ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ წევრების გულგრილობა. ისინი საშეფო მუშაობას, უცქერიან როგორც არა სერიოზულ სამუშაოს. საშეფო სოფლებში გამგზავრებაზე ზოგიერთებმა უფრო განაცხადეს. დაუშვებელია ისიც, რომ ბიუროს მთელი სამუშაო მხოლოდ თავმჯდომარეს აწევს.

იქაური.

მუშა-მსახიობის იუბილე

21 მაისს,—ქალ. ხაშურის მუშები უხდიან 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს მუშა მსახიობს მოსე კვალიაშვილს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ის გამოდის სცენაზე. 1897 წელს იწყებს მუშაობას მუშა მსახიობ გიორგი ჯაბაურის და ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით. მუშაობა მან დაიწყო ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ მუშაობდა ნაძალადევის მუშათა თეატრში, სადაც დაჰყო სამი წელი. 1910 წელ. ამხ. კვალიაშვილი აარსებს ქართულ დრამატიულ წრეს ქალ. ხაშურში. და დღემდის პირნათლად და ენერგიულად ხელმძღვანელობს მას. დღეს ღირსეულ დაზგის მუშის ღირსეული შრომა ფასდება და მშრომელი მასა მას უხდის 30 წლის იუბილეს.



მოსე კვალიაშვილი

მუშური სალამი ამხ. მოსე კვალიაშვილს.

საიუბილეო კომისია.

რით აიხსნება?

მუშკოოპის ქართულ პურის საცხობების გამგეებს დაქირავებული ყავთ ვინმე ბესო ჩაჩანიძე, რომელიც მეპურეთა საქმეებს აწესრიგებს პურის განყოფილებასთან. ჩაჩანიძე თვიურად 110 მან. იღებს.

ამ რამოდენიმე დღის წინ მუშკოოპმა პუშკინის ქუჩაზე გახსნა პურის საცხობი, რომელიც ამავე ჩაჩანიძეს გადასცა. ჩაჩანიძეს ჯამაგირიც აქვს (მეპურეებისგან) და პურის საცხობიც. რასაკვირველია, ის ორ საქმეს ერთად ვერ გააკეთებს. მეპურეების საქმეზე ძველებურად თვით დარბის, ხოლო პურის საცხობში მუშებს ამუშავებს. უკეთესი არ იქნებოდა საცხობი უმუშევართათვის მიეცათ?

რას იტყვის ამის შესახებ მუშკოოპის გამგეობა?

მეთვალყურე.

საყურადღებო წვრილმანი

— განა მიზანშეწონილია? რკინის გზის დამცველ რაზმს დაურიგეს საზაფხულო ტანსაცმელები, სამაგიეროდ საზამთრო ტანსაცმელი ჩამოართვეს ყველას და საწყობში შეინახეს. დღემდის ასეთი წესი იყო: თანამშრომელს ორ წელიწადში სამი წყვილი ტანსაცმელი ერგება. ეს ტანსაცმელი მიღების შემდეგ სრულ მის განკარგულებაშია, სანამ სამსახურიდან არ დაითხოვენ. წასვლისა და დათხოვნის შემთხვევაში თანამშრომელი კი ტანსაცმელს ისევ უკან აბრუნებს. ეხლა ეს წესი, როგორც ვსთქვით შესცვალეს. თანამშრომლებს საზაფხულო ტანისამოსი დაურიგეს და საზამთრო ჩამოართვეს. ჩვენი აზრით ეს არ არის მიზანშეწონილი. ტანისამოსი ზამთრის პირას ისევ უნდა დააბრუნონ, საწყობში ის აირევა და ვინ იცის ვისი ნაცვამი ტანისამოსი ვის შეხვდება. გარდა ამისა, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ზოგიერთებს მეორე ხელი ტანსაცმელი არა აქვს და საზამთრო ტანისამოსი, თუ ჩამორთვა ერთი წყვილის ანაბარა რჩებიან.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს სათანადო ორგანოებმა.

რაზმის უფროსო, რას იტყვი ამის შესახებ?

მხილველი.

ჰიდრო-სადგური რიონზე

(წერილი ქუთაისიდან)

რიონჰესის აგება ყოველმხრივ გადაწყვეტილი და უზრუნველყოფილია:—შენება დაიწყება მიმდინარე წელს, — სულ ახლო ხანში, — და უნდა დათავდეს 1930 წლის ოქტომბერში.

რატომ დააგვიანდა მუშაობის დაწყებას?

სადგურის საჭიროება დადასტურებულია, მისი დანიშნულება— განსაზღვრულია, სააღმშენებლო თანხები — გათვალისწინებული და დამტკიცებულია. ხოლო მცირე ხნით სადაო შეიქნა ეს საკითხი.

— რომელი ვარიანტის მიხედვით უნდა აიგოს ეს სადგური.

არსებობს ორი ვარიანტი:

— პროფესორ ლიუდინისა და ინჟინერ მელიქ-ფაშაევისა.

პირველი ვარიანტის მიხედვით რიონჰესს სადგური უკეთდება ჭომაში, ქუთაისიდან ვერსნახევრის დაშორებით, ზევით — რაჭა-ლეჩხუმისაკენ.

მეორე ვარიანტითაც ჯებირი იქვე კეთდება, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ამ მეორე ვარიანტის მიხედვით ჯებირი სამი მეტრით უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ეს პროფ. ლიუდინსა აქვს გათვალისწინებული.

პირველი ვარიანტითაც და მეორითაც რიონსა და წყალ-წითელას შორის ერთი ვერსისა და რამდენიმე საჟენის სიგრძეზე უნდა გაყვანილ იქნეს გვირაბი.

განსხვავებაც აქ ორივე ვარიანტს შორის ისაა, რომ მელიქ-ფაშაევის პროექტით გვირაბი უფრო დაბლა მიდის, როგორც ამას აქ მოთავსებულ გეგმიდანაც დაინახავთ.

პროფ. ლიუდინსა და ინჟ. მელიქ-ფაშაევს შორის უმთავრესად სადაო საკითხია:

— სად უნდა აიგოს გადამცემი სადგური?

სადავოა ეს საკითხი უმთავრესად იმიტომ, რომ ამაზეა დამოკიდებული სადგურთა ძალოსნობა.

პროფ. ლიუდინის პროექტით გადამცემი სადგური უნდა აგებულ იქნეს გვირაბის გასავალთან მდინარე წყალ-წითელაზე, სადაც ამჟამად ძველი იმერეთის გზატკეცილის ხიდია.

ასეთი სადგური იძლევა 42.000 ცხენის ძალას.

ინჟ. მელიქ-ფაშაევის პროექტით გვირაბის შემდეგ მდინარისათვის გაყავთ არხი 8 ვერსის მანძილზე, მიყავთ იგი გორაკამდე, რომელიც რიონის რკინის გზის სადგურს დასჩერებია თავს, აქ კეთდება დიდი აუზი და აქედან წყალვარდნილად რიონი სცემს ელსადგურში, რომელიც რკინის გზის სადგურიდან 200—300 საჟენზეა დაშორებული.

ასეთი სადგური, მელიქ-ფაშაევის გამოანგარიშებით, მოგვცემს სამოც-ათას ცხენის ძალას.

რამდენად უფრო ადვილი განსახორციელებელია პირველი ან მეორე პროექტი, რამდენად უფრო მიზანშეწონილია ერთისა და ან მეორის მიღებ,—აი, კითხვები, რომლებიც წამოიჭრა და, რომლის საბოლოო გადასაჭრელად მოსკოვიდან საქართველოს უმაღლეს საეურნეო საბჭოს მიერ გამოწვეულ იქნა სპეციალისტთა კომისია.

ხსენებული კომისია 14 ამ თვეს ეწვია ქუთაისს, რათა ადგილობრივად დაეთვალიერებია და შეემოწმებია ადგილები, სადაც ორთავე პროექტის მიხედვით სადგური უნდა იქნეს აგებული.

კომისიაში შედიოდენ პროფესორები: —კუკელ-კრაევსკი (თავმჯდომარე), ვასილიევი და ზავალიშინი: ინჟინრები: გლუშკოვი, კნორე, რიაბინინი, მელიქ-ფაშაევი, კაუსმანი, ზვორიკინი და ენდელი.

კომისიამ სამი დღე დაჰყო ქუთაისში, დაათვალიერა, როგორც სადგურის ასაგები ადგილები, ისე მდინარის კალაპოტი და ადგილი, სადაც ჯებირი უნდა გაკეთდეს.

რა დასკვნას დაადგა კომისია?

17 მაისს, კომისიას სხდომა ჰქონდა— სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში ადგილობრივ ორგანიზაციათა თანდასწრებით. კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი:

— სავსებით მისაღებია ორივე პროექტით ჯებირის ადგილი, ისე, როგორც მისაღებია ადგილი და გეგმა გვირაბისა. ორივე პროექტის ხანგორციელება სავსებით შესაძლებელია ტეხნიკურად. ამ მხრივ არც ერთ ვარიანტს სადაო არაფერი აქვთ, ხოლო კომისიის აზრით, რადგან ინჟ. მელიქ-ფაშაევის პროექტის განხორციელება დღემდე გათვალისწინებული არაა ფინანსიური მხრით, ხოლო ამგვარი გათვალისწინება კი ცოტაოდენ დროსა და მასალებს მოითხოვს, ამიტომ საბოლოოდ ყოველივე ეს გათვალისწინებული, გამოანგარიშებული და დამუშავებული იქნება სულ მცირე ხანში თბილისში და, მაშინ გადაწყდება საბოლოოდ ისიც, თუ რომელი პროექტი იქნება მიღებული.

კომისიის მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა ერთხმად გამოსთქვეს სურვილი:

— რა კი ტეხნიკურად არავითარი მიზეზი არა აქვს არც ერთ პროექტს, თუ იმავე დროს ფინანსიურადაც საგრძნობ ზედმეტ ხარჯებს არ მოითხოვს ასეთ შემთხვევაში სასურველი და საჭიროა მიღებულ იქნეს ინჟენერ მელიქ-ფაშაევის პროექტი, რომელიც გაცილებით უფრო ძალოსანია და, მაშასადამე, მეტ შესაძლებლობას იძლევა ელქტრო ენერგიის გამოყენებისა.

იმავე დღეს კომისია თბილისში გამოემგზავრა.

ქუთაისი გულის ფანცქალით ელის,—

— რა გადაწყდება?

—ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა გადაწყდეს, რიონის ნაპირებზე ჩვენ ვიხილავთ საბჭოთა საქართველოს მეორე სიამაყეს, რიონჰესს.

გ. რიონიძე.

საზოგადოება „ხლებოპროდუქტი“-ს ხუთი წლის არსებობა

დღეს ხუთი წელი სრულდება საზ. „ხლებოპროდუქტ“-ის არსებობიდან. სამხედრო კომუნიზმის ხანიდან ახალი ეკონომიურ პოლიტიკაზედ გადასვლით საბჭოთა კავშირის წინაშე წამოიჭრა ერთი უაღრესად რთული საკითხი— პურეულობის დამზადება და მომხმარებელ ცენტრების (მსხვილი ქალაქების და სამრეწველო რაიონების) გეგმიანი მომარაგება ამ პირველი მოთხოვნილების პროდუქტით. მთელი სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ, პურეულობის თავისუფლად გასაღების დროს, შესაძლებელი იყო ბაზარს დაპატრონებოდა კერძო კაპიტალი თანამდევენი სპეკულიაციით და პურის ფასების შეუჩერებელი რყევით, ხოლო მეორე მხრივ ამ სპეკულიატურ კაპიტალს თავის არა მარტო ეკონომიურ არამედ პოლიტიკურ გავლენის ქვეშ დაეყენებია სოფლის მწარმოებელი .ამის თავიდან ასაცილებლად 20 მაისს 1922 წელს დაარსებული იქნა საზოგადოება „ხლებოპროდუქტი“ კავშირის მთავარი სამეურნეო წამოწყებების და უწყებების მონაწილეობით (მთავარი სათბობი სამმართველო, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მომარაგების და საგარეო ვაჭრობის კომისარიატი)—33 მილიონი (ოქროზედ გადაყვანით) მან. ძირითადი კაპიტალით. შემდეგ წლებში როგორც მონაწილეთა რიცხვი, ისე ძირითადი კაპიტალიც თვალსაჩინოდ გადიდდა.

როგორ შეასრულა „ხლებოპროდუქტ“-მა დაკისრებული დავალება? უკანასკნელ 1926—27 წლამდის „ხლებოპროდუქტი“ ამზადებდა როგორც პურეულის, ისე სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოებსაც (ბეწვეული, ერბო, კვერცხი და სხვა). ამჟამად კი ის ეწევა მხოლოდ პურეულის და საქონლის საკვების დამზადებას. უკანასკნელი მას 1922—23 წელს დაუმზადებია 47 მილიონი ფუთი, ხოლო 1926—27 წელს დაახლოებით 270 მილ. ფუთი, ესე იგი ამ ხუთი წლის განმავლობაში მისი დამზადება ხუთჯერ გაზრდილა. მის მიერ დამზადებული საქონელი ხმარდებოდა არა მარტო კავშირის მომხმარებელ რაიონებს, არამედ შეადგენდა ექსპორტის ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მის მიერ დამზადებული პურეულის ექსპორტის ღირებულება უდრიდა 33 მილიონ მანეთს. ამავე დროს კავშირის შინაბაზრის პურეულით გეგმიან მომარაგებაში „ხლებოპროდუქტის“ მონაწილეობა 40 პროცენტით განისაზღვრებოდა, კერძოთ ა.-კავკასიაში კი 63 პროცენტით.

„ხლებოპროდუქტი“ — ეს უძლიერესი იარაღია პურის ბაზრის მოწესრიგების საქმეში. ეს მოწესრიგება გამოიხატება როგორც პურეულის მწარმოებლების და მომხმარებლებისათვის ხელსაყრელ ფასებში დამზადებით, ისე საზოგადოებრივი ხასიათის (მაგ. კოოპერაციის) პურეულით მოვაჭრე ქსელის გამაგრებით და გაფართოებით და გამომცხვარი პურის ფასის განსაზღვრულ დონეზე შეჩერებით. მთელი დამზადებული პურეულიდან 1922—23 წ. „ხლებოპროდუქტ“-ს კავშირის ფარგლებში გაუსაღებია საკუთარი საწყობებიდან 17 პროცენტი, კოოპერატივებისათვის მიუცია 17 პრ., სახორგანიზაციებისათვის—49 პროცენტი და კერძო პირებისათვის 18 პროცენტი. მიმდინარე წელს-კი თავისი საწყობიდან გაასაღა 38 პროცენტი,, კოოპერატივებს გადასცა — 38 პროცენტი, სახელმწიფო ორგანოებს —20 პროცენტი (განსაკუთრებით წითელ ჯარის მომარაგება და თესლის მიწოდება), ხოლო კერძო პირებს—4 პროცენტი. ამნაირად „ხლებოპროდუქტ“-ის გასაღების ოპერაციებში კერძო პირების როლი თანდათან მცირდება და დღეს უმნიშვნელოა, სამაგიეროთ იზრდება კოოპერაციის როლი, ამავე დროს „საზოგადოება“ ამზადებს მიმდინარე წელს მთელი 60 პროც. საკუთარი აპარატით უშუალოთ მწარმოებელ გლეხებისაგან, 8 პროც. სახორგანოების მეშვეობით, 31 პროც. კოოპერაციის მეშვეობით და 1 პროც. იქნენ კერძო პირებისაგან. ამნაირად მისი შესყიდვის და გასაღების ოპერაციებს სრული საზოგადოებრივი საქმიანობის სახე აქვს. ხორბლეულის დამზადება ხდება როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. აქ ჰქონდა ადგილი ერთ საყურადღებო მოვლენას, შემოდგომაზე პურეულს ჰყიდდა მწარმოებლების უფრო ღარიბი ნაწილი და ფასებიც უფრო დაბალი იყო. გაზაფხულის სეზონში შეძლებულ გლეხების პური სალდებოდა და ფასებიც მაღალი იყო. ხორბლეულზე 1924—25 წ. გაზაფხულის ფასები 91 პროცენტით აღემატებოდა შემოდგომის ფასებს. დამამზადებელ ორგანიზაციების და კერძოთ „ხლებოპროდუქტ“-ის ზომებით ეს განსხვავება განისაზღვრება მიმდინარე წელს 5 პროცენტით, რაც ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

„ხლებოპროდუქტი“ თავისი სიძლიერით და ბაზრის შეუწყვეტელი მომარაგებით შესაძლებლად ხდის გამომცხვარ პურის ფასის სტაბილურ მდგომარეობას, რასაც უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირის მთავარ მომხმარებელ რაიონებში და კერძოთ საქართველოში.

ეს „საზოგადოება“ ძლიერია იმ მოწყობილობით, რომელიც დღეს მის განკარგულებაშია და უადვილებს მისი ოპერაციების რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას: მას აქვს 48 ელევატორი, 299 წისქვილი, რომელთაც შეუძლიათ დღის განმავლობაში გადაფქვან 800 მილიონი ფუთი, და 2.154 საწყობი. მიმდინარე წელს თბილისში. დიდუბის რაიონში, მან გააშენა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით საწყობი, სადაც შეიძლება მოთავსდეს 350.000 ფუთი ფქვილი.

არ ვეხებით რა სხვა მხარეებს „ხლებოპროდუქტ“-ის საქმიანობისას, უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი მოქმედებით ხუთი წლის განმავლობაში დაამტკიცა უდავოდ, თუ როგორი მიღწევებია შესაძლებელი სოციალისტურ პრინციპზედ დამყარებულ მეურნეობის ისეთ დარგშიაც, როგორიც არის საერთოდ სავაჭრო ოპერაციები და კერძოთ სასოფლო სამეურნეო წვრილი მწარმოებლების პროდუქტების დამზადება. ასეთი სახის ეკონომიურად ძლიერი და ჯანსაღი ორგანიზაცია არ გააჩნია არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას და კერძოთ ამერიკასაც, რომელიც ცნობილია თავისი პურეულით და სავაჭრო კაპიტალის თვალსაჩინო კონცენტრაციით.

დ. ბელუგინი.

აგროდახმარება

მუშაობა აგრო.-ტეხნიკის დარგში სენაკის მაზრაში

სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს აგრიკულტურულ ღონისძიებათა განყოფილების გამგე ამხ. ვ. ხოფერია ამ დღეებში დაბრუნდა სენაკის მაზრიდან, სადაც მან გამოიკვლია სასოფლო მეურნეობის წარმოება სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში, საკრედიტო ამხანაგობებში: აგრონომიულ ორგანიზაციებში და სახალხო მამულებში, დიდი მუშაობა ჩაუტარებია სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს; რომელსაც დაუმზადებია 60.000-მდე დამყნილი ვაზი. ნოსირის სანერგესაც ბლომად დაუმზადებია დამყნილი ვაზები, რომლებსაც ამჟამად რიგავენ სკოლებში. სულ 200.000 ცალი დამყნილი ვაზი დაუმზადებიათ, ნოსირის სანერგეს დაუმზადებია აგრეთვე ნარინჯოვან მცენარეთა დიდი რაოდენობა, რომლებზედაც უმყნია „უნიტას“ ჯიშის მანდარინები; ამავე სანერგის დამზადებული აქვს ბევრი ატმისა და ვაშლის ნერგიც. საერთოდ სასეზონო მუშაობა სწრაფი ტემპით სწარმოებს; გლეხებიც ჩაებნენ ამ მუშაობაში. ნოსირის სანერგეშივე გამართულია საჩვენებელი ნაკვეთები ბამბის მოსაყვანად.

აგრონომიული ორგანიზაციები ცდილობენ კავშირი გააბან საკრედიტო ამხანაგობებთან და მათთან ერთად, საერთო ძალით, დაარსონ ამერიკული ვაზის სანერგეები. ერთი ასეთი სანერგე გააშენა სენაკის საკრედიტო ამხანაგობამ სოფ. სორტაში სახალხო სახლთან; ხოლო მეორე სანერგე გააშენა ნოქალაქევის საკრედიტო ამხანაგობამ საგანგებო სასცდელ ნაკვეთზე. სანერგეების გაშენებას ხელმძღვანელობს უშუ[illegible] ადგილობრივი თანამშრო[illegible] [illegible]ალისტები.

სახელმწიფო დაზღვევა

სახელმწიფო სავალდებულო წესით დაზღვეულია აღმოსავლეთ საქართველოში სოფლად: 142.947 მეურნეობა, სივრცით 43.445 დესეტინა, დაზღვევის თანხა — 3.536.803 მანეთი;

ქალაქად: 2399 მეურნეობა, სივრცით 295 დესეტინა, დაზღვევის თანხა — 44.888 მანეთი. დარიცხული განაკვეთის რაოდენობა უდრის—3.430 მანეთს.

სეტყვისაგან დაზარალების საშიშროების მიხედვით მთელი საქართველო ავტო - რესპუბლიკებიანად დაყოფილია 4 ზოლათ.

პირველ ზოლში შედიან მაზრები: ზუგდიდის ქუთაისის, ახალ-სენაკის, ოზურგეთის და შორაპნის, აფხაზეთის მაზრები: გუდაუთის, კოდორის და სამურზაყანოს, აჭარისტანის მაზრები: ბათომის, ქობულეთის, ქვემო აჭარისტანის, აჭარის-წყალის და ხულოსი.

მეორე ზოლს შეადგენს თბილისის მაზრა.

მესამე ზოლს — მაზრები: ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოსი და სიღნაღის.

მეოთხე ზოლს — მაზრები: გორის, დუშეთის, ლეჩხუმის, რაჭის, თელავის და ავტ. ოლქი—სამხრეთ-ოსეთი.

გარდა ამისა სასოფლო - სამეურნეო კულტურები დაყოფილია სამ კლასად. 1—კლასი: სიმინდი, კარტოფილი, ჭარხალი, ბოლოკი, ხორბალი, ქერი, ლობიო, ბოსტნეულობა და საძოვრი ბალახები.

მე-2 კლასი: ბრინჯი, მზესუმზირა, საზამთრო, ნესვი, კიტრი, პამიდორი, სანამლე მცენარეები და ბამბა.

მე-3 კლასი: ხილი, ყურძენი, თამბაქო, თუთა.

დასავლეთ საქართველოში ჯერ - ჯერობით არ არის შემოღებული ნათესების დაზღვევა.

საქართველოს ცაში

დახმარება გლეხის სახლს

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ 18 მაისს დახმარებათ მისცა ქუთაისის გლეხის სახლს ხუთასი მანეთი.

მეფუტკრეობის კურსებზე

თბილისში, მეფუტკრეობის კურსებზე საშეცადინოთ სურების სათემო გლეხკომიდან გამოგზავნილ ამხ. ალექსანდრე ბარამიძეს, ოზურგეთის სამაზრო გლეხკომის შუამდგომლობით, სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ დახმარებათ მისცა ას ორმოცდა ათი (150) მან.

ქუთაისის გლეხის სახლში

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით მიმდინარე წლის იანვარის, თებერვლის და მარტის თვეების განმავლობაში გლეხის სახლში (ქუთაისში) ქუთაისის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან და თემებიდან ჩამოვიდა და ღამე გაათია 1408 გლეხმა. ამ დროის განმავლობაში გლეხის სახლმა უფასო ამბულატორიული საექიმო დახმარება აღმოუჩინა 72 გლეხს და საავადმყოფოში უფასოთვე მოათავსა 64 ღარიბი გლეხი, გლეხკომის წევრები.

დახმარება ინვალიდებს

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ინვალიდების და ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი პირებისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენათ თბილისის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებას მიმდინარე თვეში (მაისში) გადასცა ათას (1.700 მ.) შვიდასი მანეთი.

გლეხკომების წევრები

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით ქუთაისის მაზრაში გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებში (გლეხკომებში) ამ ჟამად ჩაწერილია წევრებათ 25.491 გლეხი.

ზაჰესის ენერგია

მთელი დღე და ღამის განმავლობაში

პირველ და მესამე აგრეგატების ავტომატიურ რეგულიატორების საბოლოოთ მოწყობასთან დაკავშირებით, ზაჰესი შეუდგა თბილისის გასანათებელ ქსელისათვის ენერგიის მიწოდებას მთელი დღე და ღამის განმავლობაში (აქამდის ენერგიის მიწოდება სწარმოებს ნაშუადღევის 4 საათიდან დილის 7 საათამდე).

მახლობელ დღეებში ენერგიის მიწოდება დაიწყება აგრეთვე მეორე აგრეგატიდან.

პირველ და მესამე აგრეგატის მუშაობა დაუბრკოლებლად სწარმოებს.

თბილისის ელსადგურების

განაწილება

ზაჰესის ამუშავების გამო გაუქმდება თბილისში არსებული ელექტრო - სადგურები. რომლებიც დღემდე აძლევდნენ ქალაქს ელექტრონის ენერგიას.

ამ ელსადგურების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ელექტრო - ანაგებთა სამმართველოში გადასცეს შემდეგი:

ამჟამად თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიასთან მუშაობს თბილისის აღმასკომის მიერ დაარსებული სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს თბილისის ელექტრო - სადგურები გაუნაწილოს საქართველოს იმ ქალაქებს და მაზრებს, რომელთაც განაცხადეს ელექტრო - სადგურის შეძენის სურვილი.

ელექტრო - სადგურების შეძენის სურვილი განაცხადეს:

ბათომის, ქუთაისის, ოზურგეთის, სიღნაღის და თელავის აღმასრულებელმა კომიტეტებმა და აგრეთვე რამოდენიმე სხვა მაზრამ და ორგანიზაციამ.

განსაკუთრებული კომისია დაწვრილებით დაათვალიერებს და გამოიკვლევს თბილისის ელექტრო - სადგურების მდგომარეობას და გაჰყიდის მხოლოდ ისეთ სადგურებს, რომლებიც სავარგისი არიან და რომელთაც შეეძლება ახალ ადგილებზე უნაკლოდ მუშაობა. ელექტრო - სადგურები გაიყიდება შეღავათიან ფასებში. გაიყიდება ყველა ელსადგურები, ორ-სამ ძლიერ ელექტრო - სადგურს გარდა, რომლებიც თბილისში იქნება დატოვებული, როგორც სათადარიგო ელსადგურები.

მელიორაცია

წყალთა მეურნეობის სამმართველომ მიმდინარე სეზონში უკვე დაამთავრა ჭაობების ამოშრობა ქობულეთის მაზრაში. ჭაობები დაშრობილია 10. კილომეტრის მანძილზე მდ. აჩხუასა და შავწყალს შუა. ამ ჟამად იმ მიდამოებში ითესება ძვირფასი კულტურები—თამბაქო. კანაფი და სხვ. ჭაობების ამოშრობაზე იმ მიდამოებში დაიხარჯა 100 ათასი მანეთი. ამ ჟამად სწარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა იმ დაჭაობიანებული ადგილების ამოსაშრობად, რომელნიც მდებარეობენ შავ წყალსა და მდ. ნატანებს შუა. ამ ადგილების სივრცე უდრის 18 კილომეტრს. მიმდინარე წელს დაიწყება აგრეთვე მუშაობა გონიის და ქოროხის ჭაობების ამოსაშრობად. ამ დაჭაობებული ადგილების სივრცე უდრის 20 კილომეტრს. წინასწარი სამუშაოებისათვის გადადებულია 53 ათასი მანეთი.

საკონსერვო ქარხანა

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება ამჟამად ადგენს **გორში საკონსერვო ქარხნის აგების პროექტს.**

ქარხანა სეზონის განმავლობაში დაამზადებს 120 ფუთ კონსერვს—ბოსტნეულისაგან და ხილეულობისაგან. მთელი ქარხნის აგება წინასწარი ვარაუდით დაჯდება 650.000 მანეთი. ქარხანასთან გაიხსნება კონსერვებისათვის საჭირო თუნუქის ჭურჭელეულობის დასამზადებელი სახელოსნო. რომელიც ყოველდღიურათ დაამზადებს 20 ათას საკონსერვო ჭურჭელს.

თბილისის უბნის რკინის გზელთა მერვე ყრილობა

მეორე სხდომა

19 მაისის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საუბნო კომიტეტის საქმიანობის (1926 წ. 1 აპრილიდან—1927 წ. 1 აპრილამდე) ანგარიში. მოხსენებებით გამოვიდენ ამხ. სულავა—ქართულ ენაზე და ამხ. ბეჟანოვი—რუსულზე.

თბილისის საუბნო კომიტეტის მუშაობა

მეშვიდე ყრილობის შემდეგ, საუბნო კომიტეტში მოხდა მომუშავე პერსონალის შეცვლა. კომიტეტის მუშაობას თვალსაჩინო გამოცხოველება დაეტყო. წარმოებებთან დაარსდა საცეხო ბიუროები, რაც სრულიად ახალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს პროფმუშაობაში და გაფართოებულ იქნა მუშაობა ქალთა შორის.

კავშირის წევრთა რიცხვი ამჟამად უდრის —140.56-ს აქედან—1.179 ქალია. სულ უბნის ფარგლებში არსებობს 43 ადგილკ. ისეთ სადგურებზე, სადაც არ არსებობს ადგილკომები, კომიტეტს ჰყავს პროფრწმუნებულები, მათი რიცხვი უდრის შვიდს. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ იქნა ადგილკომების გადარჩევა.

საანგარიშო ხნის განმავლობაში შემოსული საწევრო გადასახადი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა—52.188 მანეთით და ეხლა ეს თანხა უდრის—217.146 მანეთს. უკანასკნელ ხანებში ადგილკომებმა ფართოდ მოჰკიდეს ხელი მომჭირნეობის გატარებას და ამ გზით უკვე მიღწეულია თანხების დაზოგვა 7.000 მან. რაოდენობით.

გაფლანგვებს გასულ საანგარიშო წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი, მართალია ჰქონდა ადგილი 106 მან. დანაკლისს, მაგრამ ეს ბოროტმოქმედების ხასიათს არ ატარებდა. ამ თანხიდან უკვე დაფარულია 69 მან.

საუბნო კომიტეტის შემოსავლის უმეტესი ნაწილი იხარჯება კულტმუშაობაზე. ამჟამად კლუბის წევრთა რიცხვი უდრის—4.210 კაცს, აქედან—577 ქალია. არსებობს 47 სხვადასხვა გვარი წრე, სადაც ირიცხება 1119 წევრი. წითელ კუთხეთა რიცხვი უდრის—16-ს. არსებობს რადიო-სექცია, რომელიც მიზნად ისახავს რადიო-გადაცემათა მიწოდებას სადგურებზე და ფიზკულტურის 27 წრე, სადაც ირიცხება—359 წევრი.

საუბნო კომიტეტის განკარგულებაში ამჟამად არსებობს სამი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც სულ მოიპოვება—17.009 წიგნი.

საუბნო კომიტეტს დიდი მუშაობა დასჭირდა ხელფასის და ზედმეტ საათებში მუშაობის საკითხის მოსაგვარებლად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საწარმოო ეკონომიურ მუშაობას. საწ. თათბირები არსებობდენ ყველა პატარა სადგურებზე, მაგრამ ვინაიდან მათი არსებობა პრაქტიკამ ვერ გაამართლა— გაუქმებულ იქნენ. საერთოდ საწარმოო თათბირების მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

კომიტ. აგრეთვე ყურადღება მიაქცია მუშების კვალიფიკაციის აწევას და ამ მიზნით გახსნილ იქნა სპეციალური კურსები უმუშევართათვის.

ამჟამად უმუშევართა რიცხვი თბილისის უბანზე უდრის—926 კაცს. მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომიტეტმა დაარსა ნადი „ჟელდორაპუტ“-ი, რომელიც აწარმოებს იჯარით მუშაობას და იქ მომუშავენი სარგებლობენ სოცუზრუნველყოფის ყველა სახეებით.

მომხსენებლები შეეხნენ აგრეთვე საბინაო მშენებლობას და უბედურ შემთხვევებს.

ნაძალადევში ახლად აშენებულ სახლში ჩასახლებულ იქნა 120 მუშა. კომიტეტი ხელს უწყობს საბინაო მშენებლობას. არსებობს რკინის გზელთა საბინაო კოოპერაცია, რომლის საშუალებით გასული წლის აპრილამდე აშენებულ იქნა 16 სახლი.

რაც შეეხება უბედურ შემთხვევებს, საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა—243 შემთხვევას. აქედან 51 იყო მძიმედ დაშავება, 4 სიკვდილით დამთავრების შემთხვევა და დანარჩენი მსუბუქად დაშავების შემთხვევები.

სარევიზიო კომისიის დასკვნა

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. **ბენდელიანი**, რომელმაც აღნიშნა, რომ საუბნო კომიტეტის მუშაობა წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა. გაუმჯობესებულ იქნა ანგარიშთ-წარმოება და სხვა წმინდა პროფესიონალური საქმიანობა. კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობაც თვალსაჩინოდ გამოკეთდა, რასაც სხვათა შორის ხელი შეუწყო მომჭირნეობით გამოწვეულ ფონდის შექმნამ.

საერთოდ სარევიზიო კომისიამ კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

სამზადისი ოქტომბრის ათი წლისთავისათვის

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ მიანდო განალთ. კომისარიატის ხელოვნების განყოფილებას შეიმუშავოს დღესასწაულის ჩატარების გეგმა. ამ მიზნით ხელოვნების განყოფილებაშ გამოჰყო ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან —ამხ. შ. დუდუჩავა, შ. დადიანი, ს. ქურიძე, ა. გუნიკაშვილი, ა. ახმეტელი, იაკობ ნიკოლაძე და ზ. ფალიაშვილი. კომისიას დავალებული აქვს უხელმძღვანელოს დღესასწაულის ჩატარების მხატვრულ მხარეს.

კომისიას ჰქონდა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა დღესასწაულის ჩატარების ზოგადი გეგმა.

7 ნოემბერს ზეიმის ჩასატარებლათ გამოყენებულ იქნება მთელი რუსთაველის პროსპექტი, თავისუფლების მოედანი და ყველა მახლობელი ბაღები. ქუჩებში გაიმართება მასიური ცოცხალი სურათები ოქტომბრის რევოლუციიდან, წარმოების განვითარების დარგიდან და საბჭოთა ქვეყნების აღმშენებლობიდან. ქუჩებში დადგმულ იქნება ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო-აპარატები. ქუჩაში გამოსული ხალხის დიდი ნაწილი მონაწილეობას მიიღებს სურათების დადგმაში. გარდა ამისა ქუჩებში წარმოდგენებს გამართავენ მეზურნავე დასები და მომღერალთა გუნდები.

საღამოს ქალაქი განათებულ იქნება სპეციალური ილიუმინატორებით, რისთვისაც გამოყენებულ იქნება ზაჰესის ენერგია.

ხელოვნების განყოფილებასთან არსებულმა კომისიამ დღესასწაულისათვის გადასწყვიტა დაამზადოს პიესები და ერთი კანტატა. კანტატის დაწერა მიენდო კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილს. კანტატის ტექსტი უკვე დამუშავებულია შ. დადიანის, შანშიაშვილის და ხ. ქურიძის მიერ.

დრამატიულ ნაწარმოებთაგან დამზადებული იქნება ორი პიესა—ერთი ქალაქისათვის და მეორე სოფლისათვის. პიესებზე გამოცხადდება კონკურსი და გაიცემა ოთხი პრემია—1.600 მანეთის რაოდენობით. კონკურსზე პიესების წარმოდგენის საბოლოო ვადათ დანიშნულია 20 აგვისტო.

ომის იმიტაცია

საქართველოს თავდაცვა—ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოება 22 მაისს აწყობს საქართველოს თავდაცვის დღეს.

დღის მოწყობის მიზანია მასებში თავდაცვა—ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების იდეების პოპულიარიზაცია და თანამედროვე საჰაერო და ქიმიური ომის მეთოდების თვალსაჩინოდ გაცნობა.

ამ მიზნისათვის, 22 მაისს საქ. თავდაცვა—ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმი აწყობს ქ. თბილისზე საჰაერო და ქიმიურ თავდასხმის ინსცენიროვკას. ინსცენიროვკაში მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო ავიაქიმიური რაზმები—საჰაერო ძალების და არტილერიასთან ერთად.

მოქმედების რაიონად აღებულია მტკვრის მარჯვენა მხარე (რუსთაველის პროსპექტი) და მარცხენა მხარე—მთავარ სახელოსნოების რაიონი.

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა, ამ დღეს მოეწყობა ყულაბებით შეწირულებათა შეგროვება; თავდაცვა ავიაქიმის ფონდში ყველა კინო თეატრებიდან გადაიდება შემოსავლის 10 პროც.

21 მაისს ამ დღის მნიშვნელობის შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით წაკითხული იქნება მოხსენებები.

სამხედრო გზატკეცილი

დუშეთის სამაზრო აღმასკომმა საქართველოს მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილის მიმართულების შეცვლისა და მისი შეყვანის შესახებ დუშეთში.

ამის შესახებ გზა-ტკეცილთა სამმართველოში განაცხადეს შემდეგი:

საქ. სამხედრო გზატკეცილის უბანი დუშეთ ანანურის შორის საშიშარ უბნად ითვლება. ამ უბანზე ადგილი აქვს მეწყერს.

ამ უბანზე ადგილი აქვს ნიადაგის დაძვრას და გზის პროფილის შეცვლას. თუ მიღებული არ იქნა საჭირო ზომები მოსალოდნელია გზის გაფუჭება.

დუშეთის აღმასკომის შუამდგომლობა ამ მხრივ უთუოდ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

ქ. დუშეთი ეხლა გზატკეცილს დაშორებულია დაახლოვებით ერთ-ნახევარი ვერსით. გზატკეცილის წაყვანა დუშეთით უთუოდ გამოაცხოველებს პირველ ყოვლისა ქალაქს და მეორეს მხრივ გაივლის რა დუშეთის და ჟინვალით. შეუერთდება ანანურთან არსებულ ტრაქტს ამით შესაძლებელი გახდება აღნიშნულ საშიშ ადგილებისათვის მხარის აქცევა და ამასთანავე მანძილი შემოკლდება დაახლოებით 1 ნახ.—2 კილომეტრით.

ამ მუშაობის ჩატარება დაჯდება არა ნაკლებ 200.000 მანეთისა. თუ ადგილობრივი მცხოვრებნი იკისრებენ მიწის სამუშაოების და საჭირო ქვის მოზიდვას, მაშინ შესაძლებელია მთელი ხარჯების შემცირება 50—60 პროცენტით.

მეთამბაქოება

აფხაზეთის მეთამბაქოეების კავშირი აწარმოებს გასულ წლის მოწეულ თამბაქოს დამზადებას. სულ დამზადებულია 370 ათასი ფუთი; დასამზადებელი დარჩა კიდევ 55 ათასი ფუთი. დამზადებული თამბაქოდან 270.000 ფუთი შეძენილი აქვს საზ. „ტაბაკსინდი“-ს და 20 ათასი ფუთი ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობას. ჯერ-ჯერობით გლეხობას მოტანილი თამბაქოსათვის დაურიგდათ რვა მილიონი მან..

მიმდინარე სეზონში აფხაზეთის მეთამბაქოოების რაიონებში აგებულ იქნება თამბაქოს 11 საწყობი. აქედან სამი საწყობი უკვე აგებულია ოჩემჩირეში, ტამიშსა და მიხაილოვსკში. ამჟამად შენდება ათონსა, გაგრასა და მჭარაში. საწყობების ასაგებად გაღებულია სულ 500 ათასი მან.

საძოვრები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით მიმდინარე სეზონისათვის იჯარით იცემა ქუთაისის და შორაპნის მაზრების ფარგლებში მდებარე საძოვრები. ქუთაისის მაზრაში საძოვრების იჯარით გაცემა დაიწყო 12 მაისიდან, ხოლო შორაპნის მაზრაში—15 მაისიდან. მიწათმოქმედების კომისარიატის საძოვრების განყოფილების გამოანგარიშებით ქუთაისის მაზრაში წელს იჯარით გაცემული იქნება სულ 13.954 დესეტინა, ხოლო შორაპნის მაზრაში—35.33 დესეტინა. საიჯარო ქირა პირველ კატეგორიის საძოვრებზე—თვითეულ დესეტინაზე დაწესებულია 1 მან. 20 კ. მთელ სეზონის განმავლობაში, მეორე კატეგორიის საძოვრებზე—80 კაპ., და მესამე კატეგორიის—50 კაპ., თუ უამინდობამ ხელი არ შეუშალა ამ ერთს კვირაში დამთავრდება ცხვრის [illegible] გარეკა შირაქის ველიდან საზაფხულო საძოვრებზე.

სატყეო მეურნეობა

ტყეების მოწყობა

საგაზაფხულო მუშაობის დაწყებისთანავე განახლდა მუშაობა აჭარისტანის ტყეების მოსაწყობად, პირველ რიგში დაიწყო სულთნის სატყეო აგარაკის (ქობულეთში) გადაღება. იქვე სწარმოებს სატაქსატორო გამოკვლევა. დამზადებულია ყოველგვარი მასალები ყარა-შალვერის და ლიბანის სატყეო აგარაკების გადასაღებად და მოსაწყობად.

აჭარისტანის ტყეების შემოსავალი სამეურნეო წლის დამდეგიდან ა. წ. პირველ მაისამდე უდრიდა 28.248 მან.

აგრიკულტურული მუშაობა

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომის. სატყეო განყოფილება ამჟამად გაცხოველებულ აგრიკულტურულ მუშაობას აწარმოებს გურიის სატყეო აგარაკებში. ნიგოითის სატყეო უბანში—წყავის შტოს მიდამოებში დროებით შემოღობილია დაახლოვებით ასი დესეტინა ახლად დარგული ტყე, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ძვირფას ჯიშებს. შემოღობის შემდეგ ტყე დაცულია შინაური საქონლის შესევისაგან. გარდა ამისა მიმდინარე სეზონში დათესილ იქნა სხვადასხვა ძვირფასი ჯიშები.

სას. სამ. კრედიტი

საბიუჯეტო თანხების განაწილება

1926—27 წ. ბიუჯეტით სასოფლო-მეურნეობისათვის გადადებული 840.660 მანეთი ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, რესპუბლიკანურ ბანკების შორის შემდეგნაირად გაანაწილა:

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს ძირითად თანხების გასაძლიერებლად მიეცა 30.000 მან., აზერბეიჯანის—30.000 მან. და სომხეთისას—12.000 მან. სულ 72.000 მან.

საბჭოთა მეურნეობების ძირითად თანხების გასაძლიერებლად: საქართველოს—35.000 მან., აზერბეიჯანისათვის—35.000 და სომხეთისათვის 15.000 მან., სულ 85.000 მან.

საქართველოში გლეხების გადასახლებ-გადმოსახლებისათვის გადადებულია 80.000 მან., აზერბეიჯანისათვის—80.000 მან. და სომხეთში—128.000 მან., სულ 288;000 მან;

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ძირითად თანხების გასაძლიერებლად: საქართველოს 47.800, აზერბეიჯანს—52.188 მან და სომხეთს—20,792 მან., სულ 120.660 მანეთი.

ღარიბ და კოლექტიურ მეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად საქართველოს მიეცა—150.810 მან., აზერბეიჯანს—95.535 მან. და სომხეთს—28.655 მან., სულ—275.000 მანეთი.

წითელ ჯარში

ბანაკად გასვლის წინ

რამოდენიმე კვირის შემდეგ წითელი ჯარის ნაწილები დასტოვებენ საზამთრო ბინებს და გავლენ ბანაკად, რომ ველად განამტკიცონ და გააძლიერონ ზამთრის პერიოდში მიღებული ცოდნა.

საბანაკო სამზადისი ყველა ნაწილებში წარმატებით მიმდინარეობს: ბანაკის მოსაწყობად გამოყოფილ იქნენ ასეულები, რომელნიც გაემგზავრენ ბანაკის ადგილს და შეუდგენ მუშაობას საცხოვრებელ და სამეცადინო ბინების მოსაწყობად. ამ მუშაობაში დიდი დახმარება აღმოუჩინეს ჯარის ნაწილებს სამოქალაქო ორგანიზაციებმა; მათი შემწეობით დაძლეულ იქნა ყოველივე დაბრკოლებები, ისე რომ ჯარის ნაწილები ბანაკად სრულიად უზრუნველყოფილ იქნებიან ბინებით, რაც მისცემს მათ საშუალებას წარმატებით აწარმოონ მეცადინეობა.

თვით ნაწილებშიაც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ბანაკობისათვის. წრეულ ახალწვეულ წითელ არმიელებს პირველად უხდებათ ბანაკად გასვლა, ისინი სრულიად არ იცნობენ ბანაკად ცხოვრების პირობების და ბანაკობის მიზნებს და ამოცანებს; ამ საკითხების ირგვლივ ყოველდღიურათ სწარმოებდა საუბრები ახალგაწვეულებთან. ძველი არმიელნი აცნობდენ ახალწვეულს საბანაკო სწავლების პირობებს, იმართებოდა ყაზარმაში საღამოები, იკითხებოდა მოხსენებები, ახალწვეულნი ზოგადათ გაცნობილნი არიან მომავალ საზაფხულო მუშაობას;

ამის გარდა არმიელნი ემზადებიან მუშაობისათვის გლეხებს შორის; წითელარმიელნი გრძნობენ, რომ საბანაკო პერიოდი სავსებით გამოყენებულ უნდა იქნეს გლეხობაში ცოდნის გავრცელებისათვის და კიდეც შესაფერად ემზადებიან ამისათვის. აი რას იწერება № ლეგიონის მე-3-ე ათასეულის წითელარმიელი: „ნაწილში ხშირად კეთდება მოხსენებები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ, თუ რა მიღწევები გვაქვს ამ დარგში, სოფლად, როგორ ეხმარება ხალხი ამ მუშაობას და როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ არა გვყავდეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი მოქალაქე: „წერკუმსი“-ს უჯრედი ამზადებს წითელარმიელებს სოფლად მუშაობისათვის ბანაკობის დროს და წითელარმიელნიც იჩენენ დიდ ხალისს“.

სამზადისის დროს არ არის დავიწყებული აგრეთვე გასამხედროების საქმე; ბანაკად ყოფნის დროს წითელარმიელნი ახლო იქნებიან სოფელთან და ეს სიახლოვე გამოყენებულ იქნება გლეხობაში სამხედრო ცოდნის გავრცელებისათვის.

თ; ხ; ს;-ავიაქიმის და სამხედრო საქმის შემსწავლი წრეები ამზადებენ მასალებს სოფლის სამხედრო კუთხეებისათვის; იწერება სათანადო ინსცენიროვკები, იხატება პლაკატები და სხვა.

ლეგიონის სამხკორი გვატყობინებს, რომ ლენინის კუთხეში შესდგა წითელარმიელთა თათბირი, რომლებზედაც გამომუშავებულ იქნა გეგმა სოფლის სამხედრო კუთხების დასათვალიერებლად. ამავე თათბირზე არმიელებმა დაადგინეს შეაგროვონ მასალა სამხედრო კუთხეებისათვის და იმ სოფლებში, სადაც არ არსებობს კუთხეები, მოაწყონ ასეთები.

გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ნაწილების კლუბები და ბიბლიოთეკები, ვინაიდან მთელი კულტურული მუშაობა სოფლად მათ უნდა აწარმოონ ბიბლიოთეკების მიერ შეძენილთა საგლეხო წიგნები და შედგენილია მოძრავი ბიბლიოთეკები; გამოწერილია ბიბლიოთეკისათვის აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები.

საკლუბო წრეების მიერ შედგენილია საზაფხულო სამუშაო გეგმა. კლუბებს მიზნად აქვს დასახული, რომ ზაფხულში აწარმოონ მუშაობა რაც შეიძლება ბევრ სოფლებში, რომელნიც მდებარეობენ ბანაკის რაიონში; დრამწრეების მიერ შერჩეულია სათანადო პიესები, დამზადებულია მოძრავი სცენები და სხვა.

ბანაკად ფართედ იქნება გამოყენებული კინო; ყოველი ნაწილის მიერ შეძენილია მოძრავი კინო-აპარატები და კინო-სურათები.

საბანაკო სამზადისი ყველა ნაწილებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, წითელარმიელნი შეგნებულად ეპყრობიან საზაფხულო მუშაობას და უეჭველია, რომ შედეგიც სასურველი იქნება.

ე: ხ:

1904 წელში დაბადებულთა გაწვევა

ქართული ჯარის ტერიტორიალურ ნაწილებში უკვე დაიწყო 1904 წელში დაბადებულთა გაწვევა.

ჯარში გაწვეულნი არიან ის ახალგაზრდები, რომელნიც გასული წლის შემოდგომაზე გაწვევის დროს გადარიცხულ იქნენ სამხედრო სამსახურის გასავლელად ტერიტორიალურ ნაწილებში.

სამოსწავლო შეკრება გასტანს სამ თვეს, რის შემდეგაც ახალწვეულნი გაშვებულ იქნებიან შვებულებაში მორიგ შეკრებამდე.

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ ახალწვეულთა შორის თბილისის, გორის და ქუთაისის პოლიტგანების მიერ გამოყოფილია მასწავლებელთა საჭირო რიცხვი.

აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე წ;-კ; უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სათანადო თანხის გაცემის შესახებ.

ქრონიკა

ოსმალეთის ახალი გენერალური კონსულის ჩამოსვლა

18 მაისს თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის ახალი გენერალური კონსული თბილისში ბ. **ალი-რეფიკ-ბეი**, რომელიც უკანასკნელ ხანებში კონსულად იყო ურმიაში.

სადგურზე ბ. ალი-რეფიკ-ბეის შეხვდენ ოსმალეთის გენერალური კონსულის მოვალეობის ამსრულებელი თბილისში ბ. **რუფი-ბეი**, ოსმალეთის საკონსულოს თანამშრომლები, საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. **კარკლინი**, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მდივანი ამხ. **ბატაიტისი** და პოლონეთის ვიცე-კონსული თბილისში ბ. **ძენკოვსკი**.

გუშინ დილით ბ. ალი-რეფიკ-ბეი ესტუმრა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამხ. კარკლინთან.

საბავშო ბაგეები

საქართველოს ცაკთან არსებულ უმწეო ბავშთა დამხმარე კომისიამ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დედობისა და ბავშობის დაცვის განყოფილებას გადასცა 6.000 მანეთი მაზრებში საბავშო ბაგეების მოსაწყობად.

განზრახულია ამ თანხით ოთხი ბაგის მოწყობა, მათ შორის ერთის ჩაქვში.

კოოპერატიული დელეგაცია

მოსკოვიდან ცეკავშირში მიღებულ ცნობებიდან სჩანს რომ ევროპის კოოპერატორთა დელეგაციების ჩამოსვლის დრო ჯერ არ არის გამორკვეული.

მოსკოვში ჩასული ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატიული დელეგაცია თბილისში არ ჩამოვა.

სოცდაზღვევა

საქართველოს სოცდაზღვევის სამმართველომ განიხილა საკითხი ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროების გამოკვლევაზე მომუშავეთა დაზღვევის შესახებ და დაადგინა: ნატახტარის და ბულაჩაურის მუდმივ მუშებზე გავრცელებულ იქნას სრულ. სოციალური დაზღვევა. რაც შეეხება მიწის თხრაზე და ხელსაწყოების გადატანაზე მომუშავე დროებით მუშებს (რომლებიც არიან უახლოეს სოფლების გლეხები) მათზე გავრცელდეს ნაწილობრივი დაზღვევა.

ლითოგრაფიულ წარმოებაში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთომრეწველობის ტრესტი შეუდგა ლითოგრაფიული ქვის ფენების დამუშავებას; ამიტომ სოციალური დაზღვევის სამმართველომ დაადგინა ეხლავე მოაწესრიგოს ლითოგრაფიულ ქვის მადნებზე მომუშავეთა დაზღვევის საქმე.

ტყის დღე

მიწათმოქმედების კომისარიატმა მაისის პირველ რიცხვებში ბორჩალოს მაზრაში მოაწყო ტყის დღე, რომლის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა, ბავშვებმა და სასწავლო დაწესებულებებმა.

ნამყენი ხეხილი

სახალხო მამულების ტრესტმა გადასწყვიტა მეხილეობის რაიონში მოაწყოს პუნქტები, სადაც გაიყიდება ყოველგვარი ხეხილის ნამყენი და სამყნობი მცენარეები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ **ხილის მოსავალი.** მერეთის (გორის მაზრა) სახალხო მამულში წელს მოიკრიფება 20.000 ფუთი საუკეთესო ხარისხის ხილი.

◆ **სახლები მუშებისათვის.** მიწათმოქმედების კომისარიატი ყულარის და გიაურ არხის მამულებში (ბორჩალოს მაზრა) შეუდგა სახლების აგებას მამულის მუშებისათვის.

სხვადასხვა

— **ჭადრაკი.** დღეს, პარასკევს 20 მაისს, საღამოს 7 საათზე, ჭადრაკის ცენტრალურ კლუბში (ყოფ. სამხედრო ტაძარი) გაიხსნება ჭადრაკის ტურნირი ქალაქის პირველობაზე.

თამაში იწარმოებს საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე.

◆ **ორჯონიკიძის სახელობის ჭლექის დისპანსერი** ჭლექის სამდღიურისათვის აწყობს სანიტ-გამოფენას.

— **„საქართველოს პროფკავშირები“.** გამოვიდა და იყიდება წიგნი „საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის პროფკავშირები“, გამოცემა საქ. პროფსაბჭოსი. წიგნი შეიცავს 86 გვ. და ღირს 50 კაპ.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბაქოდან ლესნიხს, ოდესსიდან მელკუმოვს, ხონიდან გორდაძეს.

◆ **საბინაო მშენებლობა.** თბ. აღმასკომის 5 წლიან გეგმით, საბინაო მშენებლობაზე უახლოეს 5 წელში თბილისში დაიხარჯება 115 მილიონი მანეთი.

◆ **ახალი წიგნი** რედაქციამ მიიღო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინგლისური ენის ლექტორის ე. ი. სპენდიაროვის წიგნი: „უცხო ენების სწავლების ნატურალური მეთოდის საფუძვლები“ (რუსულ ენაზე).

კრებები და მოხსენებები

— **ყრილობის მოწვევა.** სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-6-ე ყრილობა გაიხსნება 23 მაისს.

◆ **რემედასის კონფერენცია.** 21 მაისს გაიხსნება რემედასის ცეკას პლენუმი.

◆ **სასოფლო მეურნეობის მუზეუმში** კვირას, 22 მაისს დილის 11 საათზე აგრონომი გოგილაძე წაიკითხავს მოხსენებას: „სასოფლო-მეურნეობის მექანიზაცია საქართველოში“.

◆ **ბიბლიოთეკართა საყურადღებოდ.** სკოლის გარეშე განათლების სახლში დღეისათვის დანიშნული გ. ბაქრაძის მოხსენება არ შესდგება.

— **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში.** კვირას 22 მაისს, დილის 11 საათზე, თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმში (კამოს ქ. № 70) საქართველოს ტექნიკური საზოგადოება აწყობს სამგლოვიარო სხდომას თავის საპატიო თავმჯდომარის დამსახურებულ პროფ. პეტრე მელიქიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. მოხსენებით გამოვლენ დოც. **მ. შალამბერიძე** და ინჟ. **ვ. კაკაბაძე**.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ცნობაში მომხსენებლად საქ. პროფკავშირთა საბჭოს მოქმედების შესახებ პროფკავშირთა ყრილობაზე შეცდომით არის დასახელებული გ. გულივერდაშვილი, უნდა იყოს ამხ. **გ. ყურულაშვილი**.

შემთხვევები

◆ **კოოპერატივ „ბოეც“-ში** ქურდობისათვის შეიპყრეს მოქ. მიქაილ დადი-ოღლი.

◆ **ბოქლომის აგლეჯის საშუალებით** 18 მაისს ელბაქიძის დაღმართი № 6 გაქურდეს ვასილ აროშიძის ბინა.

◆ **სასადილოს გაქურდვა.** 18 მაისს ღამით რუსთაველის პროსპექტი № 39 გაქურდეს სასადილო „ავგაროზი“.

◆ **ტრამვაის რონოდაში** (კირკის და პლეხანოვის ქუჩების კუთხეში) სიმონ კიკნაძეს გაქურდვისათვის შეიპყრეს გრიგოლ ბარხუდაროვი.

◆ **ქურდობის განზრახვისათვის** 18 მაისს დააპატიმრეს გრიგოლ საკოვი.

◆ **ქურდობა.** 18 მაისს არსენალის ქ. შურდულის შესახვევი № 9 გაქურდეს მიხეილ ხარაზაშვილის ბინა.

◆ **ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე** 14 მაისს ღამის 1 საათზე სკიპიდარით თავი მოიწამლა ქსენია მორიკ-ლებიანცმა, რომელიც გადარჩენილი იქნა.

◆ **ფანჯრის შემტვრევის საშუალებით** 15 მაისს ფერმა ავლაბრის ქუჩა № 31 სტეფანე სუდაკოვის ბინიდან მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.

◆ **კოოპერატივ „ბოეც“-ის** მაღაზიიდან (მწვანე ბაზარში) საქონლის მოპარვისათვის შეიპყრეს მნაცაკან აკოფოვი.

◆ **ფულის გამოტყუება.** 14 მაისს მიხეილ არუთინოვს ნიკოლოზ ინასარიძემ გამოსტყუა 85 მ. და მიიმალა.

ელსადგური ოზურგეთში

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა უკვე დაამთავრა წინასწარი მუშაობა ელექტრო სადგურისათვის ახალი შენობის ასაგებად. უკვე შედგენილია გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. ამ საჭიროებისათვის სამაზრო აღმასკომმა თბილისის კომუნალურ ბანკიდან გრძელვადიანი სესხის სახით გამოითხოვა 25 ათასი მანეთი. ნაწილი ამ თანხისა მოხმარდება საქალაქო ტელეფონის ქსელის გადაკეთებას. სამუშაო გეგმის თანახმად ელექტროსადგურის შენობის აგება დამთავრდება მიმდინარე წელს. ილექტრო სადგურის ახალ შენობაში მოთავსების შემდეგ სადგურის ძალოვნება გადიდებული იქნება. სადგური ელექტროენერგიას მიაწვდის ქალაქის ყველა წარმოებებს და დააკმაყოფილებს მცხოვრებთა ყოველდღიურ საჭიროებას.

რკინისგზეზე

სწორი მოძრაობისათვის

ა.-კ. რკინის გზებზე ამ ჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ბევრ სადგურებზე ცენტრალიზაციის მოსაწყობად. ეს გამოიხატება იმაში, რომ ერთი ცენტრიდან ერთი პიროვნება მართავს ისრებს, სასიგნალო ხელსაწყოებს და სხვა.

ამ კვირაში ცენტრალიზაცია გატარდება სადგურებში: ევლახში, აჯიკაბულში, პირსოგატში, ბალაჯარაში, კიშლში და ხურდალანში.

ცენტრალიზაციის გასახსნელად ამ სადგურებზე მიემგზავრება სპეციალური კომისია.

ამასთანავე გზის გამგეობის მიერ სადგ. ალიბაშლში და შაქრალოში გაგზავნილია მუშები იქაურ ცენტრალიზაციის აღსადგენად.

საბინაო მშენებლობა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ მიმართა თხოვნით ბათომის აღმასკომს—გამოყოს ქალაქში 350 კვადრ. მეტრი მიწის მოედანი რკინის გზებისათვის საცხოვრებელ ბინების ასაგებათ.

შეთანხმება

ა.-კ. და ჯულფა-ბაქოს რკინისგზების შორის მოხდა შეთანხმება. ამ შეთანხმების თანახმად ეს გზები ურთიერთ შორის გამოიყენებენ ერთი-მეორის მოძრავ შემადგენლობას; დაწესებული იქნება პირდაპირი მოძრაობა ბაქოდან—ჯულფა—ბაქოს რკ. გზის უკანასკნელ პუნქტამდე.

ახალი დანიშვნები

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს სამეურნეო-მატერიალურ განყოფილების უფროსად დაინიშნა ამხ. შილე. სამეურნეო სახელოსნოების სახარჯო ცეხის მუშა ამხ. შაპოვალი.

სალიანსკი დარგის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა ამავე დარგის მე-4 უბნის უფროსი ინჟ. [illegible].

ავტომობილი ორთქმავალის ნაცვლად

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მუშავდება საკითხი, განჯის ვიწრო ხაზზე, მატარებლების მოძრაობისათვის ორთქმავლების მაგიერ ავტომობილების გამოყენების შესახებ.

სასამართლო

ნ. ვარდანაშვილის საქმე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ამკრეფ სამსახურის ყოფილ თანაშემწეს **ნიკოლოზ ვარდანაშვილს** ბრალდებოდა გაფლანგვა და ყალბი საბუთების შედგენა. გასული წლის ოქტომბერში მისი საქმე გაირჩა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ვარდანაშვილი გაამართლეს.

პროკურორი **ლევან ღლენტი** არ დაეთანხმა განაჩენს და საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეში დაგროვილ მასალებიდან და რომ საქმეში აშკარა საბუთები არის ვარდანაშვილის წინააღმდეგ, განაჩენი გააუქმა და საქმე ხელ-ახლად გასარჩევად გადასცა უზენაეს სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ვარდანაშვილის საქმის გარჩევა გუშინ დაიწყო უზენაეს სასამართლოში ამხ. **შომახიას** თავმჯდომარეობით.

ქრთამის გაცემა

გუშინ, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კონდუქტორ **სირიას** და **კვანტალიანის** საქმეზე. სასამართლომ ორთავე ბრალდებული დამნაშავედ სცნო ქრთამის გაცემაში და მიუსაჯა მათ ერთი წლით პირობითი სასჯელი.

ი. საკაშვილის საქმე

21 მაისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა მილიციელ **ივანე საკაშვილის** საქმე.

საკაშვილს ბრალდება ცოლის დაჭრა.

ელექტრონის მოწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე **ხომასურიძე**, რომელმაც განაცხადა:

— ერთ დღეს მივედი „ემში“ მოქ. **უნაფქოშვილთან** („ემსის“ გამგის ყოფილი მოადგილე) და მან მითხრა, რომ დააპატიმრეს მატერიალური ნაწილის გამგე **მელიავა**, რომელსაც გაფლანგვაში ბრალი არ მიუძღვისო. 1.000 მანეთი მე მმართებს მისი (მელიავასი) და 2.000 მანეთი კი აფანასიევსო („ემსის“ ყოფილი გამგე).

სასამართლომ დაუპირისპირა ერთმანეთს მოწმე ხომასურიძე და უნაფქოშვილი.

უნაფქოშვილმა გადაჭრით უარჰყო ხომასურიძის ჩვენება. ამით დასრულდა მოწმეების დაკითხვა. შემდეგ ექსპერტებს მიეცათ მთელი რიგი კითხვები.

სამსახურისადმი გულგრილობა

ამ დღეებში ოლქის სასამართლოში გაირჩევა **ლეონიდ ბაქრაძის** საქმე.

ბაქრაძე ირიცხებოდა თბილისის საბაჟოს სამეურნეო ნაწილის გამგედ და მოლარედ.

1925 წ. რევიზიამ სალაროში აღმოაჩინა 1.188 მანეთის დანაკლისი.

ბაქრაძე პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ბაქრაძე სამსახურისადმი გულგრილობას იჩენდა; სალაროს საბუთები შკაფებში და მაგიდებზე ეყარა და სხვ.

საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დანაკლისი აიხსნება სამსახურისადმი დაუდევრობით ბაქრაძის მხრივ.

ხელოვნება

მეიერხოლდის თეატრის გასტროლები

„ი. ე.“ (იძლევი ევროპას!) მორიგი დადგმით მეიერხოლდმა უჩვენა თბილისს სრულიად ახალი სცენიური ჟანრის ორიგინალური დამუშავება. „ი. ე.“ ეს არის იდეური გამოწვევა ყველა იმ სპექტაკლების, რომელიც ცნობილია დასავლეთ ევროპაში „მიმოხილვები“-ს, რევიუს და სხვ. სახელწოდებით. „ი. ე.“—შედგენილია ერენბურგის და კელერმანის რომანსებიდან. ამ პიესის მთავარი იდეა განისაზღვრება ამერიკული კაპიტალისტური ტრესტის (რომელსაც ჰსურს დაანგრიოს მთელი ევროპა) ბრძოლით საბჭოთა რესპუბლიკის რადიო-ტრესტთან. ეს იდეა გაშლილია არა შესაფერისს სიუჟეტში, არამედ მოცემულია ერთგვარ პოლიტიკურ მიმოხილვის ფორმებში. ასე რომ როგორც ლიტერატურული მასალა, „ი. ე.“ მეტის მეტად მოსაწყენი და სუსტია. მაგრამ აქ საყურადღებოა მხოლოდ სცენიური მხარე ამ ნაწარმოების. მისი დადგმა მეიერხოლდმა „ი. ე.“-ს დადგმით პრინციპიალურად დაჰგმო ძველი თეატრის სცენიური გამოსახულების მეთოდები: ნაწერი დეკორაციები, კონსტრუქციები, კუბიზმი და სხ.

ამ დადგმაში მან შემოიღო მოძრავი კედლები, რომლის სხვადასხვა კომბინაციები ჰქმნიან სივრცის სხვადასხვა ილლიუზიებს! მაყურებლის წინ ჩნდება ქუჩა, ქუჩას სცვლის საპარლამენტო სხდომის დარბაზი, ამ უკანასკნელს სასპორტო სტადიონი და სხვ. და სხვ. მაგრამ ეს ცვლილება ისე მხატვრულათ და თანაც ისე ძლიერ დინამიურათაა მოცემული, რომ ამ მხრივ „ი. ე.“ დადგმა კინოსაც უწევს სათანადო კონკურენციას. გადამეტება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კედლების ძლიერი მოძრაობა, მათი მონაწილეობა მოქმედებაში სცენიურ ნივთების ამეტყველების თვალსაზრისით წარმოადგენს შედევრს სათეატრო ფორმებისას: კედლების დინამიკა ისეთი ძლიერი ექსპრესითაა მოცემული, რომ თქვენ გრძნობთ და განიცდით ჩვენი საუკუნის ტემპს, მის ბუნებას, ხასიათს და შინაარსულობას; ამ ფაქტშია გამართლება ამ სპექტაკლის, როგორც ახალი მხატვრული მიღწევის.

სპექტაკლს უდიდესი აგიტაციური მნიშვნელობა აქვს: მოცემულია კონცერტი: ფოქსტროტებში დამხრჩვალი ევროპის ცივილიზაცია და ახალი ჯანსაღი კულტურა სულით და გულით ახალგაზრდა მეზღვაურების სახით. მთელი სპექტაკლი გაყოფილია 17 ეპიზოდათ. ყოველ ეპიზოდს თან ახლავს შესაფერისი ლოზუნგები და ციტატები, რაიც აღრმავებს სპექტაკლის პოლიტიკურ მნიშვნელობას მშვენიერათაა მოცემული სატირა საფრანგეთსა, გერმანიასა და პოლონეთზე.

რასაკვირველია სპექტაკლი ბევრს მოიგებდა, რომ მთავარი იდეა გაშლილიყო სათანადო სიუჟეტში.

პირველად „ი. ე.“ დაიდგა კომინტერნის მეხუთე კონგრესისათვის.

ა.

თურქ პროლეტარულ მწერალთა გაერთიანების შესახებ

აზერბეიჯანის პროლეტარიატი ჰქმნის თავის მომღერლებს, თავის პოეტებს; თავის მწერლებს. პროლეტარულ კულტურის მუშაკები ყველგან გაერთიანებული; პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებში.

არსებობს ძლიერი საკავშირო პროლეტარულ მწერალთა გაერთიანება. არსებობს ამგვარი ასოციაციები ამიერ-კავკასიაში, საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი.

პროლეტ-მწერლების ასოციაცია ლიტერატურულ მუშაკებს აერთიანებს ცალკე ნაციონალურ სექციებში.

ეს სექციები მუშაობენ რა თავიანთ სფეროებში, ხელს უწყობენ საერთო ინტერნაციონალურ პროლეტარულ კულტურის განვითარებას; რაც საშუალებაა ა. კ. სხვადასხვა ხალხთა შორის ძმური კავშირის დასამყარებლად.

თბილისის თურქი პროლეტარული მწერლები ჯერ კიდევ გაუერთიანებელია, მაშინ როდესაც არსებობს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია რუსული და სომხური სექციით. თურქი,—ლიტერატურის მუშაკები, პოეტები, მუშკორები, ჟურნალისტები და სხვა. უნდა შევიდენ ასოციაციაში და შექმნან თავისი სექცია.

საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციაში შემდგარი თურქული სექციის საორგანიზაციო ჯგუფი იწვევს თბილისში მყოფ ყველა თურქ მწერლებს, პოეტებს, ჟურნალისტებს და სხვა. კულტურულ მუშაკებს,—საერთო საორგანიზაციო კრებაზე რომელიც შესდგება შაბათს 21 მაისს; საღამოს შვიდ საათ. **ნ. ნარიმანოვის სახლობის** კლუბის შენობაში (კომუნალური ქუჩა № 7).

ხელოვნების ქრონიკა

დისპუტი თეატრის შესახებ

ორშაბათს, 23 მაისს, სახ. ოპერაში ხელოვნების განყოფილება მართავს დისპუტს თეატრზე, რომელზედაც მოხსენებით გამოვა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვს. მეიერხოლდი. კამათში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან: **ანდრეი ბელი, ამაღლობელი ს., ახმეტელი ალ., დადიანი შ.; დუდუჩავა შ.; ესაკია ლ.; იაშვილი პ., მარჯანიშვილი კ., პესიმისტი, სუტირინი, შესტოვი; წუწუნავა ალ., ბ. ღლენტი.**

◆ **„ტყე“.** კვირას დილით მოწაფეთათვის ოპერის თეატრში მეიერხოლდის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ტყე“.

◆ **„მისი რეპუტაცია“.** კინო „მინიონში“ დაიწყო სურათის „მისი რეპუტაცია“-ს ჩვენება. დადგმა გრიფიცის.

◆ **„დეკაბრისტები“** „სოლეისა“ და „არფასტოში“ ამჟამად მიდის ახალი, სურათი „დეკაბრისტები“.

— **რუსთაველის თეატრში.** 21 მაისს გაიმართება სახალხო მომღერალის დედას ლევანას კახურ სიმღერების საღამო - კონცერტი. დედას ლევანას გარდა სიმღერებს შეასრულებს ალექსი ელოშვილი.

— **გამოცდები კონსერვატორიაში.** სახელმწიფო კონსერვატორიაში მოწაფეთა გამოცდები დაიწყება 25 მაისიდან და გასტანს 25 ივნისამდე.

— **აკადემიურ გუნდების კონკურსზე.** ამჟამად ქ. ქუთაისში სწარმოებს საქართველოში არსებულ აკადემიურ და სახალხო გუნდების კონკურსი (შეჯიბრი). კონკურსზე დასასწრებლად გაემგზავრნენ კომპოზიტორნი: მელ. ბალანჩივაძე და დიმ. არაყიშვილი.

— **აჭარისტანის ქართული დრამა.** აჭარისტანის (ბათომი) ქართული დრამის გასტროლები ქუთაისში დაიწყება 25 მაისიდან.

— **მეიერჰოლდის თეატრი.** დღეს, მეიერჰოლდის თეატრი იმეორებს ვოგოლის „რევიზორს“.

— **თბ. მუშათა თეატრის** რუსულმა დრამამ დაამთავრა თავისი გასტროლები ქ. სოხუმში. ამჟამად დასი მიემგზავრება ბათომში.

◆ **სამხატვრო აკადემიის** დაარსებიდან 22 მაისს სრულდება ხუთი წელი. ამ დღეს აკადემიაში გაიმართება საზეიმო საღამო.

— **სომხეთის კინო - მრეწველობა.** სომხეთის კინო - მრეწველობამ სურათ „ავი სული“-ს დასადგმელად რეჟისორად მიიწვია მსახიობი მ. გელოვანი.

— **ოპერა „ლატავრა“.** კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა თავისი ახალი ოპერა „ლატავრა“. ოპერა დაიდგმება მომავალ სეზონში.

ამინდი

წვიმები

18 მაისს ნაშუადღევის ხუთ საათიდან 19 მაისის დღის 12 საათამდე თბილისში განუწყვეტლივ მოდიოდა ძლიერი წვიმა. ნალექიანობა უდრიდა 30 მილიმეტრს.

ძლიერი წვიმა მოდიოდა დუშეთში, მუხრანში, საგარეჯოში; ბათომში; სოხუმში; მუკუზანში და თიანეთში. სუსტად წვიმდა გუდაურში; ფოთში და გორში.

თბილისში ტემპერატურა 19 მაისს დავარდა 12,7 გრადუსამდე.

გარდა გორისა და ბორჯომისა, 17 მაისს სეტყვა მოვიდა ლიბანში და ახალქალაქში.

წვიმების შედეგები

ძლიერი წვიმების გამო ადიდდენ ღელეები დამპალა და ალოთ-ხევი, რომლებიც გადიან დიღომის ველზე. ადიდებული წყალი გადავიდა გზაზე, წარეცხა იგი და გამოიტანა დიდძალი ლამი.

გზა-ტკეცილთა სამმართველოს თბილისის დისტანციამ გზის გასაწმენდად გაგზავნა მუშები.

საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილის მე-14 კილომეტრზე, ზაჰესის საგენერატორო სადგურის პირდაპირ მოწყდა 700 კუბიკური მეტრის მოცულობის კლდე.

ამ გარემოებამ დროებით შეაჩერა მოძრაობა გზა-ტკეცილზე.

სასწრაფოდ მიღებულ ზომებით, გზა გაწმენდილ იქნა და მოძრაობა აღადგინეს.

მეწყერი რკინის გზაზე

წვიმების გამო 18 მაისს, ღამით ბორჯომ-დაბას შუა (ბაკურიანის ხაზი) რკინის გზის ლიანდაგზე ჩამოწვა მეწყერი.

მთებიდან დაგორებული მიწის მასა (300 კუბ. მეტრის მოცულობისაა) დაეჯახა ამ დროს ხაზზე მიმავალ ნახევრად სახალხო მატ. № 83-ს, რის გამო დაზიანდენ: ორთქლმავალი, საბარგო და ერთი საქონლით დატვირთული რონოდა.

ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

მატარებელი წაიყვანა მოსულმა დამხმარე მატარებელმა.

სწარმოებს მუშაობა გზის გასაწმენდად ხაზი დაზიანებულია 40 მეტრის მანძილზე. მატარებლების მოძრაობა შეწყვეტილია.

მტკვარი ადიდდა

გუშინ მტკვარი ადიდდა 45 სანტიმეტრით და უდრიდა სამ მეტრს და 20 სანტიმეტრს.

თუ მდინარე კიდევ ადიდდა 60 სანტიმეტრით საშიშროება მოელის რიყეს.

ცხვრის ფარის დაღუპვა

მიღებული ცნობებით, ამჟამად აზერბეიჯანში არაჩვეულებრივი ცივი ამინდია. განჯის მაზრის მაღლობ ადგილებში დასთოვა. სხვა რაიონებში სამი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ სწვიმს. ასეთი ამინდების გამო, ბამბის თესვა და ცხვრის ფარის გარეკვა საზაფხულო იალალებზე შეჩერებულია. იალალებზე გარეკილი ცხვრის ფარის (დაახლოებით 50 ათასი სული) 25 პროც. სიცივისაგან დაიხოცა.

ხიდი ჭიათურაში

საქვეითო ხიდის ასაგები მუშაობა მდ. ყვირილაზე, ჭიათურაში, წარმატებით მიმდინარეობს. ერთი კვირის განმავლობაში დღე და ღამე შეუწყვეტლივ სწარმოებდა რკინა-ტინობის სამუშაოები. ხიდი შენდება რკინა-ტინობისაგან, სიგრძე უდრის 28 საჟენს.

მეცნიერება და ტექნიკა

საგვირვანქიანი ლიმონები

მრავალი წლის ცდებისა და ფრთხილი შერჩევის შემდეგ, ერთმა ამერიკელმა ბოტანიკოსმა მოახერხა ისეთი ლიმონის ხის მიღება, რომელიც არაჩვეულებრივად დიდ და ამავე დროს საუკეთესო ღირსების ნაყოფს იძლევა. თითეული ცალკე ნაყოფი იწონის 2-3 გირვანქას. ახალი ლიმონის ხე იზრდება არა ბაღში ან სათბურებში, არამედ ოთახში. ხე 1—1 ნახ. არშინის სიმაღლისაა და დარგულია ჩვეულებრივ ყვავილის ქოთანში.

„მექანიკური ძროხა“

თითეულ დიდ ამერიკულ გემზე არის მანქანა, რომელსაც ხუმრობით უწოდებენ „ძროხას“. ეს არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც განსაზღვრული პროპორციით ურევს ერთმანეთში რძის ფხვნილს, კარაქს, წყალს და სურვილისამებრ იძლევა ან რძეს ან ნაღებს. მიღებული პროდუქტი ძლიერ წააგავს ნატურალურ პროდუქტებს. როდესაც გემზე დიდძალი მგზავრები იყრიან თავს და რძეზე მოთხოვნილება ჩვეულებრივზე დიდია, მექანიკურ „ძროხას“ დღეში ორჯერ წველენ.

ხმების გავრცელება სიმაღლეზე

ლონდონში გამოიკვლიეს, თუ რა სიმაღლემდი ვრცელდება სხვადასხვა ხმები. აღმოჩნდა, რომ ეტლების ხმაური სრულიად არ ისმის 2.500 ფუტის სიმაღლეზე, ორთქლმავლის საყვირის ხმა კარგად ისმის 2¼ ვერსის სიმაღლეზე, თოფის გასროლა — 5.400 და მუსიკა — 4.200 ფუტის სიმაღლეზე. ბაყაყების ყიყინი ნათლად გაარჩიეს 3 მეოთხ. ვერსის სიმაღლეზე.

ელექტრონის რკინისგზები

ამჟამად დასავლეთ ევროპაში იხილავენ სწრაფი მატარებლებისათვის ელექტრონის რკინისგზების მოწყობის საკითხს. იტალიაში განზრახულია გაყვანა ხაზის: ტურინი—მილანი—გენუა. ამ ხაზზე მატარებლები ივლიან 175 ვერსის სისწრაფით საათში. გერმანიაში მუშავდება პროექტი ელექტრონული რკინისგზისა რეინვესტფალიის სამრეწველო რაიონში: კელნიდან—დორტმუნდამდე, დიუსელდორფში, დიუისბურგში, ესენში და ბოხუმში გავლით, 113 კილომეტრის მანძილზე, მატარებლების მოძრაობით 125 ვერსის სისწრაფით საათში.

რამდენი რადიო-სადგურია დედამიწაზე

წარსული წლის ცნობებით მთელ დედამიწაზე მუშაობდა 900 რადიო-სადგური.

600 რადიო-სადგური მუშაობს ამერიკაში. შეერთებული შტატების შემდეგ რადიო-სადგურების რაოდენობის მხრივ მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირს — ორმოცამდე რადიო - სადგური; შემდეგი — გერმანიას, შვეციას, ინგლისს და საფრანგეთს, სადაც რადიო-სადგურების რიცხვი უდრის 19-23 თითეულ სახელმწიფოში. ოთხ-ოთხი რადიოსადგური აქვთ დანიას, ფინეთს, ნორვეგიასა და ჩეხო-სლოვაკიას. ორ-ორი რადიო-სადგური მუშაობს ავსტრიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში და სამხრეთ-სლავიაში. თითო-თითო სადგური აქვთ: პოლონეთს, ლატვიასა და ლიტვას.

გულის ცემის გადაცემა რადიოთი

ბერლინის ერთ-ერთ გარეუბანში მოწყობილია მცირე სიმძლავრის რადიო-სადგური სპეციალური გამაძლიერებელით. ეს სადგური ეკუთვნის ფიზიკური განვითარების უმაღლეს სკოლას. ყოველ კვირას, სამშაბათობით, ამ სადგურიდან გადასცემენ მეცნიერული ხასიათის ლექციებს.

სხვათაშორის, ამ სადგურის მსმენელებს საშუალება აქვთ თავისი მიმღები აპარატების საშუალებით გაიგონონ თუ როგორ სცემს სხვადასხვა ავადმყოფთა გული და როგორი ხმაურობა ისმის ადამიანის ფილტვებში და სხვა ორგანოებში ამა თუ იმ ავადმყოფობათა დროს.

ბიბლიოგრაფია

ნ. ი. ბუხარინი. „ჩინეთის რევოლიუციის პრობლემები“.

სახელგამი გვ. 88 ფასი 50 კაპ.

ჩინეთის რევოლიუცია დღეს საერთაშორისო ამბების ცენტრშია, კაპიტალიზმის ისედაც ნაწილობრივ და არა მყარი სტაბილიზაცია ირღვევა, როგორც აღნიშნა ეს ხაზგასმით კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმმა, ჩინეთის რევოლიუციის გამო. მაგრამ ჩინეთი დღემდე შეუსწავლელია მასიურ მკითხველის მიერ, ამიტომ ყოველ შენიშვნას, წერილს თუ წიგნაკს ჩინეთის შესახებ ხარბათ ვეწაფებით და გვსურს მივსწვდეთ აღმოსავლეთის დიდი ქვეყნის რევოლიუციას.

ამხ. ბუხარინის წიგნაკს ასეთ პირობებში, როდესაც ქართულ ენაზე ჩინეთის შესახებ თითქმის არაფერი მოიპოვება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მისი გაცნობა აუცილებელია პირველ რიგში პარტიული მასისათვის, რომელსაც სურს ჩინეთის რევოლიუციის პრინციპიალურ საკითხებში გარკვევა. ინტერესი ამ ბუხარინის დასახელებულ წიგნისადმი, იზრდება კიდევ უფრო იმის გამო, რომ ჩინეთის საკითხის ირგვლივ ჩვენს პარტიაში არ არსებობს მთლიანი შეხედულება, არამედ დაპირდაპირებულია პარტიის და ოპოზიციის მოსაზრებანი.

ამხ. ბუხარინი მიზნათ ისახავს ამიტომ სწორედ პარტიასა და ოპოზიციას შორის არსებულ ძირითად უთანხმოებათა გარკვევას და ოპოზიციონურ შეხედულებათა კრიტიკას.

შესავალში ის არკვევს ჩინეთის ამბების საერთაშორისო მნიშვნელობას და ამის შემდეგ ჩინეთის რევოლიუციის ხასიათსა და თავისებურებას. ოპოზიციასთან უთანხმოებაში ამხ. ბუხარინის თქმით, პირველ რიგში სდგას საკითხი ჩინეთის რევოლიუციის მომავალი გზების შესახებ.

ოპოზიცია და მისი მეთაური ჩინეთის საკითხში ამხ. რადეკი აღიარებენ ჩინეთის რევოლიუციას, როგორც ბურჟუაზიულ-განმანთავისუფლებელს. ამ თეზისს—ლაპარაკობს ბუხარინი ჩვენ საერთოდ უნდა დაეთანხმოთ, მაგრამ მიუღებელია ამხ. რადეკის მეორე თეზისი, რომლის მიხედვით ოპოზიციას სურს დაამტკიცოს, რომ ვითომდა ჩინეთში მუშურ-გლეხური ბლოკი უფრო ძლიერი იქნება, ვინემ 1905 წელს ჩვენში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ მოუხდება ბრძოლა არა ორი კლასის, არამედ მხოლოდ ერთი კლასის—ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამგვარად ოპოზიცია და კერძოდ ამხ. რადეკი ამტკიცებს, რომ ჩინეთში არ არსებობს ფეოდალიზმი და ამის გამო იქ არ არის არც ფეოდალთა კლასი, რომლის წინააღმდეგ საჭირო იყოს ბრძოლაო. ეს დებულება ამხ. ბუხარინს მიაჩნია შემცდარად და ჩინეთის ეკონომიკის არ ცოდნათ. ამხ. ბუხარინი საუცხოვოდ ამტკიცებს, რომ იჯარა, რომელიც ფართედაა გავრცელებული ჩინეთის სოფლის მეურნეობაში არ არის კაპიტალისტური, როგორც ეს რადეკს ჰგონია. ჩინეთის სოფელში შეჭრილია სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს სოფლის ეკონომიკაზე და თვით იჯარას განსხვავებულ სახეს აძლევს. ბუხარინი ასკვნის, რომ ჩინეთში არის შეზრდა სავაჭრო და სავახშო კაპიტალთა ფორმებისა ნახევრად ფეოდალურ იჯარის ფორმებთან. რომ ჩინეთში—ლაპარაკობს ბუხარინი არ არსებობდეს თვით ნახევრად ფეოდალური ნაშთები, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა ბურჟუაზიული რევოლიუცია, რადგან იქ, სადაც ფეოდალიზმის აღარაფერი დარჩა, ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ არ შეიძლება დაისახოს მიზნად ბრძოლა არ არსებულის წინააღმდეგ.

ამხ. რადეკის ხსენებულ ძირითად შეცდომიდან გამომდინარეობს სხვა დანარჩენი შეცდომანი, როგორიცაა მაგ. მხოლოდ ერთი გზის დასახვა ჩინეთის რევოლიუციის წინ. ე. ი. „რადგან ფეოდალიზმი არ არის, ამიტომ რჩება ერთი პერსპექტივა რევოლიუციის განვითარების—სოციალისტური განვითარება“. ამხ. ბუხარინი უარყოფს საკითხის ასეთ დასმასაც და ლაპარაკობს, რომ ჩინეთის წინაშე დღეს ორი პერსპექტივა ისმება: კაპიტალისტური და არაკაპიტალისტური განვითარება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა ჩინეთის განვითარება წავიდეს მეორე გზით, რომელიც თავისთავად ნიშნავს ჩინეთის რევოლიუციას სოციალიზმისაკენ.

აქვე იხილავს ბუხარინი ჩინეთის რევოლიუციის სამ ფაზისს ისევე, როგორც აღნიშნა ეს კომინტერნის მე-7 პლენუმმა. ეხლა—ლაპარაკობს ბუხარინი ჩვენ გადავდივართ მესამე ფაზისში, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობის შიგ, არსებულ კლასიურ ბლოკიდან (ბურჟუაზიისა, წვრილ ბურჟუაზიისა. გლეხობასა და მუშათა კლასს შორის) გადასვლას სხვა ბლოკისაკენ, რომლიდანაც გამოდის მსხვილი ბურჟუაზია და ნაწილობრივ თვით საშუალო და წვრილი ბურჟუაზიაც. ამის შემდეგ ბუხარინი ეხება ჩინეთის რევოლიუციის დამაბრკოლებელ მიზეზებს და ხელის შემწყობ პირობებს. ხელისშემწყობი პირობებია ბუხარინის თქმით: საბჭოთა კავშირის არსებობა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი, საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება, კოლონიალური მოძრაობა მეზობელ ქვეყნებში და სხვა.

მეორე ნაწილში ავტორი იხილავს კლასიურ დაჯგუფებას ნაციონალურ მოძრაობის სხვადასხვა ეტაპებზე, ჩინეთის მუშათა კლასს, მის სიძლიერეს და სუსტ მხარეებს, გომინდანს და კომპარტიას და აკრიტიკებს ოპოზიციის მოთხოვნილებას გომინდანიდან გამოსვლის შესახებ, რაც ბუხარინის აზრით სრული უაზრობაა.

ბოლო ნაწილში ამხ. ბუხარინი ახასიათებს ჩან კაი-შის ღალატს, ბურჟუაზიის განდგომას რევოლიუციისაგან და რევოლიუციის უახლოეს პერსპექტივებს. ამხ. ბუხარინის ბროშურა მეტად საინტერესოა ჩინეთის შესახებ არსებულ ლიტერატურას შორის და მეტად სწორი ანალიზია ჩინეთის რევოლიუციის პრობლემების.

მარქსისტი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (ოთხშაბათი 18 მაისის 110) მოთავსებულ ამხ. პლ. ქიქოძის რეცენზიაში ე. პოლუმორდვინოვის მოთხრობების წიგნზე ეწერა: „ნოდარს უეჭველად უნდა დაეთანხმოდ“, უნდა იყოს „ჯავარს უეჭველად უნდა დაეთანხმოთ“.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 44

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებ. კომიტეტისა. ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული წესები ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ქ. ხომერიკი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წლ. აპრილის 20.

თბილისი—სასახლე.

წესები ღვინის დაყენების, შენახვის და გაყიდვის შესახებ

1. „ღვინო“-ს სახელწოდებით შეიძლება მხოლოდ ისეთი სასმელის გაყიდვა, რაც მიღებულია ახლად დაკრეფილი, ან დამჭკნარი (ხოლო არა ქიშმიშის) ყურძნის წვენის ალკოჰოლური დუღილით ჭაჭაზე, ან უჭაჭოთ, და რასაც არავითარი სხვა რამ, იმის გარდა; რაც ამ წესის მესამე მუხლშია აღნიშნული, არა ურევია-რა.

შენიშვნა. ქიშმიშის ღვინის დამზადება შეიძლება მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, ყოველ ცალკე შემთხვევაში, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გაცემული განსაკუთრებული ნებართვით, ამგვარი ღვინის დაყენების და გაყიდვის წესს შეიმუშავებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. ღვინისაგან მიღებული სასმელები:

1) ალკოჰოლურად დადუღებული შამპანურივით;

2) ხელოვნურად გაჟღენთილი ნახშირმჟავით, იწოდება „შუშხუნა ღვინო“-დ.

პირველ შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა აღინიშნოს „ქართული შამპანური“, ან „დაყენებულია შამპანურივით“, იმ პირობით კი; რომ იქვე აღინიშნოს ადგილი და ფირმა, სადაც ღვინოა დაყენებული; ხოლო მეორე შემთხვევაში წარწერა ეტიკეტზე „ქართული შამპანური“, ან „დაყენებულია შამპანურივით“—აკრძალულია.

3. ღვინის დაყენებისათვის არსებულ ტექნიკურ საშუალებათა შორის ნებადართულია შემდეგი:

ა) ყურძნის ტკბილისა და ღვინის პასტერიზაცია.

ბ) წმინდა სადედის ხმარება ღვინის დასადუღებლად.

გ) ღვინის დაწმენდა კვერცხის ცილით, თევზის წებოთი, წმინდა ჟელატინით, კაზეინით და ალბუმინით;

დ) ღვინის დაწმენდა ისეთი მექანიკურად დამწმენდავი ნივთიერებით, რაც არა იხსნება ღვინოში, როგორც არის მაგალითად: აზბესტი, ცელიულოსი, ინფუზორის მიწა, დაწმენდილი თაგვ-მარილის ქვიშა; კაოლინი და აგრეთვე ცხოველური, ან მცენარეული ნახშირი;

ე) ღვინის, ან ყურძნის ტკბილის გაწურვა-დაწმენდა ქსოვილებით და ისეთი ნივთიერებით, რაც ღვინოში არ იხსნება;

ვ) გარევა ღვინოში ტანინისა, ლიმონისა და ღვინის სიმჟავეებისა; საშუალო ღვინის მჟავაკალიუმისა და ქიმიურად წმინდა დალექილი ნახშირმჟავა-კალციუმისა, ისე კი, რომ კალციუმის რაოდენობა არ აღემატებოდეს 400 მილიგრამს ლიტრზე; აგრეთვე წმინდა კრისტალურ ფოსფორმჟავა ამონიუმისა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ნორმალური დადუღებისათვის;

ზ) ღვინის კონცენტრაცია გაყინვით.

თ) ღვინოების შერევა ერთმანეთში (კუპაჟი);

ი) ღვინოში ქლორ-ნატრიუმის გარევა არა უმეტეს 1 გრამისა ლიტრზე:

კ) გოგირდის აირევარი, ან თხიერი სიმჟავის ხმარება და წმინდა გოგირდის ჩაბოლება ჭურჭელში, ისე კი, რომ გასაყიდად დამზადებული ყურძნის ტკბილში ან ღვინოში გოგირდიანი სიმჟავის რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 მილიგრამს ლიტრზე, და ამ რიცხვში თავისუფალი გოგირდიანი სიმჟავე 20 მილიგრამზე მეტი არ იყოს. ჭურჭელში ჩასაბოლებლად სახმარი გოგირდი უნდა სრულებით წმინდა იყოს და არ ურიოს დარიშხანი.

შენიშვნა. შეიძლება ყურძნის ტკბილში მეტაბისულფიტკალიუმის არა უმეტეს 20 გრამისა ჰექტოლიტრზე.

ლ) ტაბაშირის (გოგირდმჟავაკირის) არევა ყურძენში, ხოლო ისე, რომ მიღებულ ღვინოში გოგირდის სიმჟავე არ აღემატებოდეს 0,92 გრამს ლიტრზე; რაც უდრის 2 გრამს საშუალო გოგირდმჟავა კალიუმის მარილის ლიტრზე;

მ) ყურძნის ტკბილის მოდუღება, ან მისი კონცენტრაცია ატმოსფერული წნევის შემცირებით;

ნ) გარევა შესქელებული ყურძნის (და არა ქიშმიშის) ტკბილისა, აგრეთვე ღვინოს რექტიფიკაციული, ან და კონიაკის სპირტისა; რომლის სიმაგრე პირველ შემთხვევაში 94 პროც., ხოლო მეორე შემთხვევაში 80 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს; ამასთანავე, სპირტის გარევის შემდეგ ღვინის სიმაგრე საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს: სუფრის ღვინოში—11 პროც., სადესერტო და სალიქიორო ღვინოში—16 პროც., ხოლო მაგარ ღვინოში—20 პროც. მოცულობით. სუფრის ღვინოს სიმაგრე, ყოველ შემთხვევაში, 3 გრადუსზე მეტად არ უნდა იქნეს გადიდებული.

შენიშვნა 1. რექტიფიკაციული სპირტი უნდა გაისინჯოს სავალლის მეთოდით და აჩვენებდეს სიწმინდეს 10-დან 9.

შენიშვნა 2. ახალი მოდუღებული, ან ატმოსფერის წნევის შემცირებით შესქელებული ტკბილის ან ისეთი ტკბილის დასპირტვა, რაც მიღებულია ვაზზე შემჭკნარი ყურძნისაგან, შეიძლება; თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული საერთო საფუძვლებისა, უმაღლეს სიმაგრემდე, ე. ი. 25 გრადუსამდე (როგორც მასალისა).

შენიშვნა 3. მაგარი ღვინისა, ლიქიორისა, სადესერტო ან სუფრის ღვინის დაყენების დროს შესქელებული ან მოდუღებული ტკბილის ან და ღვინის სპირტის მიმატება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივად, მევენახეობის რაიონებში—იქ, სადაც ღვინოს აყენებენ.

ო) ლერწმის, ან ჭარხლის წმინდა შაქრის გარევა ყურძნის ტკბილში ადუღებამდე; ან დუღილის დროს, ხოლო ისე კი; რომ საერთო რაოდენობა სპირტისა სუფრის ღვინოში არ გადიდდეს 3 პროც. მეტად და საბოლოოდ არ აღემატებოდეს 11 პროც. მოცულობით; ტკბილში შაქრის გარევა სუფრის ღვინის დასაყენებლად ნებადართულია მხოლოდ იქ; სადაც ღვინოს აყენებენ—მარტოოდენ მევენახეობის რაიონებში, თანაც ღვინის დაყენების პერიოდში და ამა თუ იმ ადგილის მევენახეობისათვის განსაკუთრებით არახელსაყრელ წლებში; ამასთანავე, აუცილებლად საჭიროა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ნებართვა. ამგვარად მომზადებული ღვინო ნატურალურ ღვინოდ ჩაითვლება.

შენიშვნა. აკრძალულია შაქრის გარევა სადესერტო და მაგარ ღვინოში, აგრეთვე იმ ტკბილში, რითაც აღნიშნულ ღვინოს აყენებენ.

პ) ლერწმისა და ჭარხლის წმინდა შაქრის გარევა დაწესებული ნორმის ფარგლებში შამპანურივით ღვინოს დაყენების დროს.

შენიშვნა. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს უფლება აქვს ჯანმრთელობისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ნება დართოს ზემოაღნიშნულ საშუალებათა გარდა, აგრეთვე სხვა ტექნიკურ საშუალებათა შემოსაღებად.

4. აკრძალულია ღვინოში გარევა:

ა) ჯანმრთელობისათვის მავნებელი ნივთიერებისა, როგორც არის; სახარინი ან სხ. ხელოვნურად დატკბილებული ნივთიერება; ქვანახშირისაგან მიღებული საღებავისა, ბენზოინისა, სალიცილისა, ბორისა, აზოტის ფლუორწყალბადისა ან მჟაუნას სიმჟავისა და მათი მარილისა, გოგირდისა და მარილის სიმჟავისა, ფორმალინისა, აბრასტოლისა, ალიუმინისა, შენაერთისა, ტყვიისა, დარიშხანისა, სპილენძისა, ვერცხლის წყლისა და ბარიუმისა;

ბ) დულცინისა, გლიუკოზისა, გლიცერინისა, სტრონციუმისა და მაგნიუმის შენაერთსა.

შენიშვნა 1. აკრძალულ ნივთიერებათა შორის არ ჩაითვლება სპილენძის მარილი, რის ნიშნებიც შეიძლება დარჩეს ღვინოში სოკოთი დაავადებული ვაზის წამლობის შემდეგ.

შენიშვნა 2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეუძლიან ამა მუხლით აკრძალულ ნივთიერებათა სია შეავსოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. აკრძალულია დამზადება და შენახვა გასაყიდის მიზნით წყალნარევი ღვინისა.

6. აკრძალულია ისეთი ღვინის დამზადება გასაყიდათ, მისი შენახვა სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში და გაყიდვა, რომელშიაც გარეულია ხილისა ან ხილეულისაგან მომზადებული ღვინის, აგრეთვე ხილის ან ხილეულის ახალი, დადუღებული ან შესქელებული წვენი, ხილის ან ხილეულის გამონაწური ან გამონახარში ან და სხვა რაიმე ნივთიერება ფერისა ან სურნელობის მისაცემად.

7. აკრძალულია დაავადებული, დამწარებული, გალორწოებული და დაძმარებული ღვინის გაყიდვა. დაძმარებულად ჩაითვლება ისეთი ღვინო, რომელშიაც მქროლავი სიმჟავე აღემატება 2,5 გრამს ძმრის სიმჟავეზე გამოანგარიშებით; დაძმარებულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისეთი ღვინოც, რომელშიაც მქროლავი სიმჟავე თუმცა 2,5 გრამზე ნაკლებია, მაგრამ დეგუსტაციით ან მიკროსკოპიული გამოკვლევით დაძმარების აშკარა ნიშნები იქნება აღმოჩენილი.

შენიშვნა. აკრძალულია დაავადებული ღვინის შენახვა, უკეთუ იგი უკვე ჩამოსხმულია ბოთლებში ან ინახება იქ, სადაც პირდაპირ ბოჭკიდან წვრილ-წვრილად ჩამოსხმით იყიდება; ამ ღვინის სარდაფში ბოჭკით დატოვება საწამლებლად, ან სპირტის გამოსახდელად ან და ძმრად გადასაკეთებლად შეიძლება, ხოლო არა უმეტეს ერთი წლისა.

8. აკრძალულია უცხოეთის ღვინის სახელით საქართველოში დაყენებული ღვინის ან უცხოეთის ღვინისა და ქართული ღვინის ნარევის (კუპაჟის) გაყიდვა. უკეთუ საქართველოში დაყენებულ ღვინოს უცხოეთის ღვინის სახელი ეწოდა, ეტიკეტზე გარკვეულად უნდა აღინიშნოს ღვინის დამზადების ადგილი.

9. აკრძალულია ისეთი სასმელის დამზადება გასაყიდად, მისი შენახვა და გაყიდვა სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში, რაც მიღებულია ჭაჭის ან თხლის ალკოჰოლური დუღილით შაქრის გარევით ან წყლით დასხმით; მაგ. „პუტიო“, „თხლის ღვინით“ „პიკეტი“ და სხვ. ასეთი სასმელების დამზადება შეიძლება მარტო შინ სახმარებლად, ყოველი ცალკე სამეღვინეო მეურნეობის ფარგლებში და ისიც იმ პირობით, რომ წლიური რაოდენობა ასეთი ჭაჭაზე წყალ-დასხმულ ან შაქარ გარეულ და დუღილით მიღებულ სასმელს („პუტიო“ და სხვ.) არ აღემატებოდეს, ვარაუდით ერთ დესეტინა მსხმოიარე ვენახზე, 20 ვედროს (250 ლიტრს).

შენიშვნა. ჭაჭისა და თხლისაგან შეიძლება სასმელის დამზადება სპირტის გამოსახდელად საამისოდ შემოღებული წესის დაცვით, ხოლო მარტოოდენ ისეთი სასმელისა, რაც უშაქროდ მზადდება.

10. აკრძალულია სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში შენახვა და გაყიდვა ღვინის სახელით ყურძნის წვენისაგან მიღებულ სასმელისა, რასაც შერეული აქვს ქიშმიშისა და წყლისაგან დამზადებული სასმელი, აგრეთვე ხილეულის წვენნარევ [illegible] ისეთი სასმელისა, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილები ყურძნის ღვინოს არ შეესაბამება.

შენიშვნა. ნედლი ხილისა და ხილეულის დადუღებით მიღებული ღვინის შენახვა და გაყიდვა სავაჭრო ან სამრეწველო სადგურში შეიძლება იმ პირობით, უკეთუ სასმელის ჭურჭელზე გარკვევით იქნება აღნიშნული ის ხილი და ხილეულობა, რისგანაც ღვინოა დამზადებული (ვაშლის ღვინო, ალუბლის ღვინო; ჭერამის ღვინო). ამ ღვინოს შეიძლება სპეციალური რამ სახელიც ეწოდოს. ხოლო, ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი, რაც ყურძნის ღვინოს ეწოდება.

11. ბოთლებში, ბოჭკაში ან რუმბებში ჩამოსხმულ გასაყიდ ღვინის ჭურჭელს უნდა ჰქონდეს სათანადო წარწერა—რა სახისაა და სადაურია ეს ღვინო (კახური, სვირული, ხვანჭკარა თუ სხვ.) ხოლო ბოთლის ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს ფირმა ან ღვინის სავაჭრო ადგილი. იგივე აღინიშნება სავაჭრო ადგილისა და სარდაფის დავთრებში, ანგარიშებში და სატვირთო ბარათებში.

შენიშვნა. უკეთუ ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო სარდაფში ან საბითუმო საწყობში ინახება, ზემოაღნიშნული წარწერა შეიძლება, ჭურჭლის ბადლად, კარადაზე ან თაროზე იყოს და ყველა იმ საცავზე, სადაც ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო ინახება.

12. ის ღვინო, რაც ამა წესების დარღვევით დამზადებულია გასაყიდად ან ინახება სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში, მისი სიავკარგის არსებული წესისამებრ გამორკვევამდე, დაიბეჭდება რის შემდეგ სასამართლოს დადგენილების თანახმად ღვინო ჩამოერთმევა პატრონს და ან გადაიღვრება ან გადამუშავდება და გაიყიდება; გაყიდვით მიღებული თანხა სახელმწიფოს შემოსავლად ჩაირიცხება.

13 საერთო ზედამხედველობის გაწევა ამა წესების შეფარდებისათვის დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომელსაც შეუძლიან ჯანმრთელობისა, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები, ღვინის დაყენების, შენახვისა და გაყიდვის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის ღონისძიებათა განსახორციელებლად. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებებში არსდება სპეცკონტროლიორების თანამდებ. და ენოქიმიური ლაბორატორიები.

სპეც-კონტროლიორის მიერ შედგენილი აქტი ფალსიფიკაციის შესახებ წარედგინება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

14. ის, ვინც გასაყიდად დაამზადებს, შეინახავს სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში ან გაჰყიდის ისეთ ღვინოს, რაშიაც ამა წესების მეოთხე მუხლში აღნიშნული, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებანია შერეული, პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197 მუხლისამებრ.

15. ის, ვინც დაამზადებს გასაყიდად, შეინახავს სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში ან გაჰყიდის ისეთ ღვინოს, რაშიაც შერეულია გარეშე, მაგრამ ჯანმრთელობისათვის უვნებელი; ნივთიერება; რის შერევაც აკრძალულია ამა წესებით, ან თუმცა აკრძალული არ არის, მაგრამ დაწესებულ ნორმაზე მეტი რაოდენობითაა შერეული, აგრეთვე დაავადებულ ღვინოს,—პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 196 მუხლისამებრ.

16. ის, ვინც დაარღვევს იმ წესებს. იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც ორი წინა მუხლშია აღნიშნული, პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144^2 მუხლისამებრ.

17. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს ამა წესების განსავითარებლად გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი და მათი დარღვევისათვის დააწესოს პასუხისმგებლობა იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია მომქმედი კანონით—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა შესახებ. გადასახდელის დადება აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს არსებული წესისამებრ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტი და ახ. ლენ. კომ. კავშ. თბილისის კომიტეტი** იუწყებიან, რომ დღეს, 20 მაისს, დღის ორ საათზე საქ. კომ. პარ. (ბ) აგიტპროპ-მუშაკის ბინაზე (რუსთაველის თეატრი, მესამე სართული, შესავალი ეზოდან) შესდგება ახ. ლენ. კომკავშირის სასკოლო უჯრედების კომუნისტ და კომკავშირელ პედაგოგებისა და მდივნების საერთო საქალაქო თათბირი.

თხოვნა ყველა ამხანაგებისადმი, რომ გამოცხადდენ დანიშნულ დროს და ადგილას დაუგვიანებლად.

— პარასკევს 20 მაისს, საღამოს რვა საათზე მოწვეულია **სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკულტეტის კომ. უჯრედის** მორიგი დახურული კრება.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა დაუგვიანებლად. კრებაზე გამოცხადდებიან აგრეთვე ის ამხანაგები, რომლების ანკეტებიც ბიურომ განიხილა.

სია

იმ პირთა, რომლებსაც შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში შესვლისათვის.

ლობჟანიძე სპირიდონ გრიგორისძე, თევდორაძე ვლადიმერ სპირდონისძე, გელენიძე სილოვან ნიკოლოზისძე, ნიჟარაძე? იასონ პავლესძე, გელენიძე სილოვან ნიკოლოზისძე, ქუთათელაძე აპალონ ერმილესძე, გენძენაძე ნილოსი კოსტასძე, გოგორიშვილი ამბერკი იოსებისძე, ზაქარიაძე ივანე ნიკიფორესძე, ვაშაკიძე შალვა ივანესძე, კოხრეიძე გალინა იოსების ასული, აბუანდაძე გიორგი ამბაკოსძე, ბოკუჩავა ზინაიდა; გძელიშვილი სოკრატი ივანესძე, ნიკოლაიშვილი ბათლომე ოტიასძე, ლაღიძე ალექსანდრე სპირდონისძე, ზუბაშვილი არჩილ იოსებისძე, ბახტაძე იპოლიტე ნიკოსძე, ცქიფურიშვილი ქრისტინე ეფრემისძე, ხორხომელიძე ტარასი ბესარიაონისძე, ჯანჯიხაძე ივლიანე იოსებისძე, ძოწენიძე ვლასი ბესარიაონისძე, კახიძე ვლადიმერ მაქსიმესძე, მუშკუდიანი დავით კონსტანტინესძე, აბდალაძე ანტონ ბესარიონის ძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩახნიძესთან.

1) იასონ ხუციშვილი, 2) ალექსანდრე ჭაჭიაშვილი, 3) პეტრე დოვლატბეგოვი, 4) შალვა გეგენავა, 5) ლიუსია ჯაფარიძე, 6) სოფიო დელიბაშ, 7) ვლადიმერ შენგელია, 8) ანდრია კობალოვი.

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება განმეორებით სთხოვს ამხ. **ნიკოლოზ ავეტისოვს** და **ვასილ მიხეილის ძე ვოიკოვს**, რომ გამოცხადდენ საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **კვირიკაძესთან** (ოთახი 34).

სახ. უნივ. პედ. ფაკ. ა. ლ. კ: კ: უჯრედის ბიურო იტყობინება, წევრ-კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ 20 მაისს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია 1-ლ აუდიტორიაში უჯრედის წევრთა დახურული კრება; დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ ყველა წევრ-კანდიდატთათვის

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე გიორგი, შვილები: აკაკი, აპოლონი, ლოლიჩკა, ვალოდია, რძალი ნადია, შვილიშვილები: კუკური და გელეჯბეგი კილასონიები, და ანასტასია, სიძე ბარნაბი, დისშვილები შალიკო და სანდრო ძველაიები ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ეფროსინე ვასილის ასული
კილასონიასი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 22 მაისს, ნოსირის წმ. გიორგის ეკლესიაში.

2793

აპოლლო ტელ. 7-61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—14 ნ. 1094

ჰოლა ნეგრი, ადოლფ მენჟუ, კონვეი ტირლ
სურათში
„ბელლა დონნა“
გრანდიოზული დადგმის სურათი
„დეკაბრისტები“ 8 ნაწილად
რეჟისორი—ივანოვსკი
(ცნობილი სურათის „სასახლე და ციხე“-ს დამდგმელი)
მთავარ როლებში: მაქსიმოვი, გრიბუნინი, ტამარინი, ანენკოვა, გოდიევსკაია, მიხურინი, ბორონიხინი.
პირველად თბილისში
„შავი მგლის შვილი“ (მეტის)
მთავარ როლში დუგლას ფერბენქსი
ანონსი: ამ დღეებში „ნიუ-იორკის საიდუმლოებანი“
ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმიჩ“

კვირას, 22 ამა მაისს, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (სასახლის პირდაპირ, შესავალი კოლოუბნის ქუჩიდან) შესდგება
ამხ. „ქართული წიგნი“-ს
წევრთა საერთო კრება და გამგეობის თათბირი
მოსმენილი იქნება:
1. ინფორმაცია ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობაზე.
2. ამხანაგობის პაების საბოლოო განაწილებისა და ძირითადი თანხის შევსების შესახებ.
კრება დაიწყება დილის 11 საათზე.
ამხანაგობის წევრთა დასწრება სავალდებულოა.
ნ. 1210, გამგეობა.

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი
სახელმწიფო საგამოცდო სესია
კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.
გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და კოსმეტიკური ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სისუსტე). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, გორონცოვის მახლობლად. ავადმყოფებს მიიღებს დილის 7 საათიდან 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალებს მიიღებს 2-დან 3 საათამდე. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სამედ-ოპტიკის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზ. № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—8

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის
ექიმთა გამოძახება სახლში
მოზღვრად ავადმყოფთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ზენის აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშურიანის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ. საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე. იქვე ექიმების მორიგეობა დღე-ღამე. 25—19

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 20 25—4

პროფესორი
გრ. მ. მუხაძე
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი ზუბალოვის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონთ-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. ლიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

თელავის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ზ. ყარასაშვილი
ამით აცხადებს, რომ 26 ამა მაისს ქ. თელავში. დილის 9 საათზე, პლეხანოვის ქუჩის შესახვევი, სახლი № 28 მოხდება საჯარო ვაჭრობა კონსტანტინე ოთარაშვილის სახლის გასაყიდათ. სახლი შესდგება ორი ქვიტკირის ოთახისაგან და ერთი სამზარეულოსაგან, შეფასებულია 800 მან., ვაჭრობა ხდება „ზაკავსტორგის“ ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღსასრულებელ ფურცლისა, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსი 9 დეკემბრიდან 1926 წ. № 31913—12 მაისი 1927 წ.
ნ. 1210

ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართ. აღმასრულებელი
25 ამა მაისს ოზურგეთში გაიყიდება ხელმეორე საჯარო ვაჭრობით ლ. გოთუას ერთ საცხოვრებელი ოდა-სახლი თანახმად ოლქის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის ძალისა № 20986 სრულიად საკავშირო საფიქრო სინდიკატის ვალის დასაკმაყოფილებლად, ვაჭრობა დაიწყება პირველ შეფასების ფასიდან.
ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი (ხელმოწერილია)
ნ. 1204

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. ყოფ. „ერმიტაჟი“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „როდინაიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

დაკარგვა პირადობის მოწმობა საბ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტ. სტუდენტის მოწმობა, [illegible] № 912, სავაჭრო წიგნაკი, [illegible] მიერ გაცემული და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული თბილისის სამხედრო კომისარიატის მიერ მაკარია გიორგის-ძე ფაღავას სახელზე, ჩ. გ. 2792

დაკარგვა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, ნიკოლოზ მახარაძის სახელზე ჩ. გ. 2790

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი ანასტასია ვლადიმირის-ძე მამულაშვილის სახელზე, მოცემული თბილისის [illegible] მაისის მიერ 1926 წ. ჩ. გ. 2791

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.